




# მართული მხედაობა



1926-1930



1990



2008-

**6**  
**2009**

# ქართული იმპერია

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია  
1926 წელს

აღდგენილია  
1990 წელს

განახლებულია  
2008 წელს

**6**

ნომერი

**2009**

დეკემბერი

**რედაქტორი**

ლევან ბრეგაძე

**სარედაქციო ჯგუფი**

მაია კუდავა  
ნინო მინიშვილი  
პაატა ნაცვლიშვილი  
მეგი ობოლაშვილი  
ნინო ყულაშვილი  
გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:  
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

## პოეზია

- ომარ დოხნაძე. ლექსები **5**  
ნათია გიორგაძე. ლექსები **9**

## მხატვრული პროზა

- ნინო დარბაისელი. მოთხრობები **12**

## ახალი თარგმანები

- იოჰან ვოლფგანგ გოეთე. სცენები „ფაუსტიდან“  
(თარგმანი დავით წერეთლიანისა) **20**

## „არდავინყება მოყვრისა...“

- ბორის დარჩია. ნოდარ ალანას გასვენება **32**

## პრიტიკა

- ზაზა გოგია. სამი მინიპორტრეტი **48**  
მარიო ვარგას ლიოსა. „ლოლიტა“  
(თარგმანი ლილი მჭედლიშვილისა) **57**

## თეატრი

- 65** ნათელა არველაძე. მას დიონისეც სწყალობს და აპოლონიც

## ნიგნები


- 78** „ინტელექტი“ გთავაზობთ  
**79** „არტანუჯი“ გთავაზობთ

პოეზია

ომარ დოხნაძე

ჩაბრული

მოდლილია ჩემი მკლავი,  
მოდლილია ჩემი მათა,  
მეთათათასედ მკლავენ  
„ულვთოს, უგვანს, უბირს, აჯამს“.  
მცოდნეს ტკბილის, მცოდნეს მწარის,  
ქვეყნის უღლის ერთგულ გამწვენს  
მასამართლებს გარეწარი  
„მოლაღატეს, ორგულს, გამცემს“.  
უსამართლოდ გულის ტკენით  
სულჩაკლული ვუმზერ შავ ძელს,  
ვითმენ, ვითმენ და ამ თმენით  
მირიადი წელი გავძელ.



კაცნი ვიყავით და თვინიერ ღვთის და ქალისა  
ცხოვრების აზრის ძიებაშიც სისხლი ვაქციეთ.  
მოხდა კი ისე, ნაცვლად მჟღერი მომავალისა  
უგზობობას და ჩიხს მივადნით.

გაუფასურდა, პირველ ყოვლის, სულის სიმდიდრე  
ათასი ჯურის გრიალ-გრუხუნ-ყროყინ-პეტელში,  
ბევრი ვეცადე და ვერ იქნა, ვერ დავიმკვიდრე  
კუთვნილი ნიშა ტანჯვით ნაგებ ქართულ კედელში.

სიცოცხლე

ხორცის ჯიჯგნა, სულის დრეკა  
ჰგვემდათ ოდით ადამს, ხეოფსს,  
მილიონჯერ კლავდნენ ძეკაცს  
და სიცოცხლე მაინც ზეობს.  
კვლავაც უყვარს დედას შვილი,  
შვილს მშობელი, თან ერთი სხვაც,  
კვლავაც გვებადება ჩვილი  
მოშურნეთა ჩვენთა რისხვად.

F12217

საქართველოს  
პარლამენტის  
ბიბლიოთეკა



და მამალი კვლავაც ყივის,  
 როგორც ძველისძველისძველად...  
 ეშურება ციდან სხივი  
 კეთილანაგ კაცთა შველად.

### ისტორიის სურათები

საუკუნეთა მიღმა  
 ვარჩევ მშვილდსა თუ აფრას.  
 რითმა მოითხოვს ჯიხვმა  
 კამარა სტყორცნოს ნაპრალს.

ქარში გაფრენილ სარეცხს  
 თოკი ეწევა უკან.  
 მადას უღვიძებს გარე-  
 წარს ჩემი ქვეყნის რუკა.

სისხლი და ოფლი მურტლად  
 გადაზელია ერთურთს,  
 იმედს უკარგავს სულმთლად  
 სურათი ლოძს და ერფურტს:

რომ ეს ლამაზი მხარე  
 მონობას თავს ვერ აღწევს  
 და ბედისწერა ჰარემს  
 კვლავ გურჯთა სახლად აქცევს.

### ნიჭი

ამოტივტივდება ხოლმე  
 მოყმე ვინმე ახალი,  
 ქვეყნის საქმის წინ წამგდები,  
 სულით მხნე და მაღალი.


ფრუანტელი გვივლის ტანში,  
 შევფოფინებთ კრებული,  
 ზოგი აღფრთოვანებული,  
 ზოგიც პირდაღებული.

ღმერთი რიგითებსაც გვწყალობს,  
 ჯილდოც გამოგვირჩია, —

სხვისი ნიჭით გახარება  
ღვთაებრივი ნიჭია.

### ზიქრაბი

უფლის ხელში ვართ ყველანი  
უზენაესი კანონით,  
მახვნიც და მარტოხელანიც,  
მორჭმულნიც და ზოგანონიც.  
გვსინჯავს ზნით, საქმით, წიგნებით,  
ყველას მიაგებს მისაგებს,  
დაქრიან ჩემი ფიქრებიც  
ნანატრი ქვეყნებისაკენ  
წეროებად თუ იხვებად  
მწკრივში ორ-ორი სამ-სამი,  
სტრიქონიც სტრიქონს მიჰყვება,  
როგორც დღეს – დღე და წამს – წამი.



### დილა

ცვარი შეაშრა ბალახს,  
დილა მზის ჭვრეტით ანცობს:  
დღეს გიძღენი ნაღღს და ხალასს,  
რად მიღონდები, კაცო.  
ჩამოიფერთხე დარდი,  
შეეშვი ბედის ჩივილს,  
შენს გულს ია და ვარდი,  
შენს მზერას ნათლის სხივი.

### მაამბოხანი

ლორდ ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონს

ხანდახან მასხამს სირცხვილის ოფლი,  
რომ ერთი მუზის მოხვდით ბადეში,  
მაგრამ ყმადმოზილს სინდისი მყოფნის,  
არ შეგეცილო სიღიადეში.

და მაინც ბოლოს ერთ რიგში ვსწორდით  
„ხვედრით მუხთალით და უსახურით“:






შენ სანაქებო ვერ გახდი ლორდი,  
 მე – სანაქებო მონა-მსახური.



რა მიზიდავდა, რა მსურდა,  
 გავერკვე ხოლმე, ვცდილობ,  
 ჯერ ერთი: ლამაზ ასულთან  
 სადმე მქონოდა გრილო.  
 მერმე: რომ სამშობლოსათვის  
 მეც შემძლებოდა რამე,  
 ექმნილიყავ დიდი ოსტატი,  
 მეტენებინა ღამე,  
 მედიდებინა მზე თანაც,  
 მებრწყინებინა რომ ცა.  
 საფლავში არ ჩამეტანა  
 ნიჭი, რაც ღმერთმა მომცა.

**ნათია გიორგაძე**

●  
შენი თითების ანაპესტი,  
ჩემი სტრიქონი უსამხილო,  
სამჯერ ასოცდართი მთელი  
და სამოცდაექვსი მეათასედი,  
ერთი წელია რაც მამრგვალეზ  
მილიარდამდე, მე ვიკვებები,  
ვპატარავდები და ყველა ჯამი  
სახსეა სისხლით და ვერ შევდივარ  
ისტორიაში, ვერც შენს  
სიზმრებში შემოვდივარ  
რომ გაგიმრავლო 365-ზე  
ხმოვნები და მძიმე როკი  
მოგაგონოს ჩემმა ხმაურმა,  
რომ კუნძულივით მარტო არ იყო,  
ვერ შემოვდივარ მე შენს გულში  
და ვიმეორებ, როგორც ლაო-ძი:  
„ნამდვილ მოგზაურს არა აქვს გეგმა“.



**სარისკო**  
(იუმორესკა)

მინდა ევროკავშირში,  
მინდა თორმეტ ვარსკვლავში.  
უნდა ვთხოვო ოლიმპიურ ღმერთს  
და მისტერ ტოპოლანეკს.  
ჩემი დღეა 9 მაისი  
და ჩემამდე იყო სხვისი.  
გავხდი ცისფერსისხლიანი,  
არც ჟღალი ვარ, არც წითელი.  
მყავდა ნოე ჟორდანია  
და მანამდე მთანმინდელი,  
კიდევ ჩემი მეფეები  
U.S.A ბრწყინვალენი:  
თამარები, დავითები,  
მირიან და არჩილები.  
ზღვა მქონდა და ზღვასთან  
კოვზი არ მიმქონდა –



არ დაშრეს-თქო,  
ჩამოსულებს ვაფრთხილებდი,  
ტარანი არ გაძვირდეს-თქო.  
წამართვეს და  
ჩემი სკოლაც დაამთავრეს წარჩინებით  
მისტერ მირეკ, მტერმა დახრა  
ჩემი ოქროს ტაშირები,  
შენთან უნდა შემოვიდე,  
ეგებ, მოვკვდე დამშვიდებით.

●  
გამოიგონე ახალი ენა,  
პურის თავთავებთან  
და ეგვიპტელებთან სასაუბროდ,  
როგორც იოსებს მანასეთი  
ღმერთი დაგავიწყებს  
ტკივილს და მამას  
გაგახსენებს, რადგან  
ის ღმერთია,  
ხოლო მე ვიქნები  
შენთვის სხვა ასული.  
მე ვერ დამივიწყებ,  
სამხრეთი ვრცელია  
ცელი ვერ მოიცლის  
ჩემი ფეხებისთვის  
და სისხლის წვეთები  
წვივებს ვერ აფოთლავს,  
ჩემო ფარაონო,  
სიზმრებს ვერ იმეტებთ  
ჩემთან გასამხელად,  
მე არ ვარ ივლიტე,  
რომლის წარმოშობა  
დღემდე უცნობია.  
მე ვარ ქანაანი და მე ვარ  
გულწრფელი ქვეყანა ქამისა.  
ნოე კი მთვრალია.

## მამას

ამითვალხილე, ბროწეული დარჩა ხსოვნაში  
და მის ხელებზე გამოზრდილ კიბოს მე ვეგებები  
ყოველ დილას, როგორც ჩემს ყოფას, როგორც სიძუნწს

ზეცის ქალღმერთის, მას ერქვა ჰერა და მე ვისწავლე მისი  
სახელი

უნაყოფობით და მე ვერასდროს დავუძახე ვერც ელითიას და  
ვერც

გიორგის. შენი სურვილი გახმა, როგორც საფლავის მიწა,  
სადაც შენ აღარ მესაუბრები, ვერ მაპატიე, ხეპრეთა და  
მანანნალათა

შორის რომ მნახე, ვერ დაივიწყე ჩემი ბავშვობა  
და აღარ გძინავს შენ მოსვენებით.

ვიცი მოვალ და დავემხო და როცა მოვალ, გაიხარებს  
ყოველი ნაკვთი შენი სახიდან, მე ხომ მინდოდა მეცხოვრა  
ისე, რომ არასოდეს წასულიყვნენ შენი ზღაპრები:

ერთ ასულზე და ერთ სამეფოზე,  
არ წასულიყო ანგელოზი ჩვენი სახლიდან  
და წამოვედი... და ის ხე დარჩა, როგორც მაისის რიცხვებში  
ათი

და სექტემბერი (მან ეს ციფრი გააორმაგა)  
და ჯვრის ფორმიდან შენ ხელები ვერ დაიხსენი.  
მე კი ვტიროდი ჩუმად, გულის ამოჯდომამდე  
არავის უთქვამს, რომ შენ გეძინა...



●  
მე რომ გამეგო, რა ეწერა შენს ორ წრენირში  
და რად არ იქცა აპოლონის ბადედ ცის თალი,  
მე რომ გამეგო მ ი-ის ზღვარს გადამცდარმა  
როგორ დავკარგე შენი მზერა  
და რომ მახსოვდეს ადგილები, სადაც მკარგავდი,  
მე იმ ადგილებს სამარხივით დავიტირებდი,  
მაგრამ გავფანტე გონებიდან რაც კი მეზადა  
და ვერ ვანყდები სიყვარულის ნაცნობ ტრაფარეტს,  
და ვერ ვკითხულობ ანი-ჰოეს, ჩვეულ ტოლობას:  
ჯვარი პლუსია, ჩვენ საკუთარ ჯვარცმას ვატარებთ.

---

**მხატვრული პროზა**


---



ნინო დარბაისელი

**მოთხრობები**

**სამარხოვო ტორტი**

არა, რა!

ეს მარხოვა-ალსარება-ზიარება ამისი საქმე არ იყო.

ღმერთისა როგორ არა სწამდა, სახარებასაც კითხულობდა ხანდახან, სანთლებსაც ანთებდა. არც მაინცადამაინც ცუდი საქმეების ჩადენზე იყო დაგეშილი, მაგრამ, რადანაირად, თან ეღიმებოდა, თან სული ეხუთებოდა, თავსაფრიანი ნამეტანი მორწმუნეები ყველა „ძნელ“ კითხვაზე ერთნაირად რომ პასუხობდნენ, ჩემს მოძღვარს შევეკითხები და მერე გეტყვიო.

ეკლესიაში „შეტყუება“ ბევრჯერ დაუპირეს დაქალებმა. ეშმაკი გიბორკავს ფეხებს, რომ მადლს აგარიდოს, უნდა სძლიოო. ამ ერთხელ წაჰყვა. ჯერ წირვას დავესწროთ, მერე კარგ სამარხოვო მარწყვის ტორტზე ვართ დაპატიჟებულიო.

– ეს სამარხოვო ტორტი რაღა უბედურებაა, თუ მარხოვო – იმარხოვლე, თუ არა და... ალბათ კრემი მცენარეულ მარგარიზზეა, მაგრამ ბისკვიტი ხომ კვერცხი, ფქვილი და შაქარია, იქნებ ქათმებმაც სამარხოვო კვერცხების დადება დაიწყეს... იცით რა, წავიდეთ ეკლესიაში, მერე იქაც გაგიყვანთ, მაგრამ ვერ ამოვალ, ჩემი საქმე მაქვს.

შეთანხმდნენ.

იდგა, იდგა ეკლესიაში. აღარ დამთავრდა წირვა. მერე: ამდენი დგომით დავიღალე, ბეჭებში ჩხვლეტა დამეწყო. არ შეიძლება, უკვე წავიდეთო? – შეაპარა.

– არა უშავს, თავიდან ყველა ეგრება. მერე მიეჩვევი, – ჩასჩურჩულა ერთმა.

– აი, ხომ გითხარი, ეშმაკი არ გასვენებს-მეთქი, ბეჭებზე გაზის, კლანჭით გჩხვლევს, რომ აქაური მადლი ვერ მიიღო, – მეორემ სასწრაფოდ პირგვარი გადაიწერა.

იმდენი ჩხვლიტა ამ ეშმაკმა, ვიდრე არ ათქმევინა, თქვენ რაც გინდათ, ქნით, მე წავედი, მანქანა ცუდად მიყენია, რომ მორჩება, ზარი გამოუშვითო, და იქვე „ჰაინცენის“ ბარში შეიყვანა. ჯერ გრევიფრუტის წვენი ააღებინა, მერე „ცეზარის სალათი“, ბოლოს – ყინულებიანი „ბელიოზი“, ყავიან-სიგარეტინანად.

აქ უფრო ადვილი იყო ღმერთზე ფიქრი. ღმერთთან თავისი „კერძო გარიგება“ ჰქონდა:

ადამიანს რაც სხვისი გაუხარდება, ის მოუვა.

კარგი გამიხარდება? – კარგს ვემთხვევი, ცუდი გამიხარდება? – ცუდი არ ამცდება!

ვინც მე უსამართლოდ მაწყენინოს, რაც მე დარდი მაქვს, სულ იმას!

თუ მე ვინმეს უსამართლოდ ვაწყენინო, იმის დარდი – მე!  
ძილის წინ, ვიდრე უცნობ-ნაცნობი ადამიანები და ხმები ნელ-ნელა მოგროვდებოდნენ და აირეოდნენ, რომ სიზმარი დაეწყოთ, „მამაო ჩვენო“ სამჯერ ზეპირად იტყოდა, თავის ამინ-ამინ-ამინებთანად. ეს ჩვევა ბავშვობიდანვე დასჩემდა. ლოცვას აზრს კი არ ატანდა, ჩქარ-ჩქარა, ერთი ამოსუნთქვით მოიშორებდა. ხანდახან სიტყვებს არც ამბობდა, გულიდან მთელ სხეულში, თავიდან ფეხებამდე აიტარ-ჩაიტარებდა და გაუშვებდა.

საჩიოზე ბევრი ფიქრითაც არ იტანჯავდა თავს. სამოთხე სხე-ბისთვის იყო. იქ რა უნდოდა, სადაც ყველა ერთნაირი და ერთნაირად ბედნიერია! ერთნაირობას აქაც ვერ იტანდა. ქალი კი არა, ცოდვების ბუკეტი იყო. რაც არ უნდა ეწვალა, ჯოჯოხეთი მაინც არ ასდებოდა, მაგრამ სჯეროდა, სათავისო საქმე იქაც არ მოაკლდებოდა, ან საპატრონო იქნებოდა ვინმე, ან დასალაგებელი იქნებოდა იქაურობა, ან დასახვეტი. კუპრის ქვაბს მაინც მისცემდნენ გამოსახეხად ან... რა ვიცი, კიდევ რა აქვთ იქ...

მერე, მაგ ქვაბში შენ თვითონ რომ ჩაგაგდონო? რა ვუყოთ, მარტო მაინც არ ვიქნები, სადაც ყველა – იქაც მეო, – პასუხობდა.

ეს მორწმუნე დაქალები მაინც არ შორდებოდნენ, ურწმუნოებიც ხომ ბევრი ჰყავდა. თუმცა ვინ იცის, სინამდვილეში ვინ მორწმუნეა, ვინ – ურწმუნო.

გუშინ კი მაგრად იცინა.

უი, იცი, რა გავიგე? – ეუბნება ერთი, – ვინც აქ ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარია, საჩიოშიც ერთად იქნებიანო.

– და, „უი“ – რატომ?

– რატომ და, ოცდასამი წელია ჩემს ქმარს აქ ძლივს ვუძლებ, მეგონა, იქ მაინც დავიცვენებდი. რა აიტანს მაგას სამარადისოდ! ან შარშანწინ ის ჯვრისწერა რას ავიტებე!

სამი შვილი ჰყავთ. მე – არც ერთი. და რომ მყოლოდა, – რა!

გააჩინე, გააჩინე! თავის გაჩენილს ღმერთი არ დაკარგავს, საარსებოსაც მოაყოლებსო.

ასეა, ჯერ გააჩენენ და მერე პამპერსის ყიდვის თავი არა აქვთ. წელზე ფეხს იდგამენ, ვალებს იღებენ... წინასწარ ხომ უნდა იცოდე, ბავშვის შენახვა რა ღირს, მკურნალობა რა ღირს, სწავლა რა ღირს? ჩაცმა? დასვენება აღარ უნდა?

აი, რომ გამეჩინა... ახლა რამდენისა იქნებოდა? ჰო, თორმეტისა. რამდენი რამე ენდომებოდა! მერე მაგ ასაკში უკვე ისეთი კითხვების დასმა იცინა, დამიწყებდა: მამაჩემი ვინ არის, სად არის, რატომ არ მოდის... მერე, ნაბიჯვარს რომ დაუმახებდნენ ისინი, ნაკავი მამები რომ უყრიათ შინ და მაინც მამიანები რომ ჰქვიათ, ან უნდა ჩაეყლაპა ან უნდა ეჩხუბა. არ იჩხუბებდა? – ვისაც არ დაეზარებოდა, ყველა თავში წამოართყამდა, იჩხუბებდა? – ხან დაიჭერდნენ, ხან გამოუმეგებდნენ და ბოლოს, ვინ იცის, რა გამოვიდოდა, იქნებ წამალზეც შემჯდარიყო. ეგ კი არა, კაი ოჯახისშვილები ხდებიან ნარკომანები...

არა მგონია, გოგო ყოფილიყო. რომ ყოფილიყო? მოიჩიბებოდა თუ არა, ყველა მგელს გასაგლეჯად მოუნდებოდა, დასწრებაზე





იქნებოდნენ. მით უმეტეს, თუ მამამის დაემგვანებოდა, სულ კუდში უნდა მედევნა, ვიღაც დეგენერატი გამოუბედურებდა, მერე მეორე დეგენერატი გამოჩნდებოდა, უპატრონოა, შემრჩებაო; მერე კიდევ მესამე... დეგენერატებს რა გამოლევს!

როგორ დავფეხმძიმდი?!

რა ვიცი, თავს ვიცავდი. თებერვალი ხან მოკლეა, ხან გრძელი. ეტყობა, რაღაც ამერია. რომ გადამიგდა, ჯერ ციკლის დარღვევა მეგონა, მერე ტესტერმა ორსულობა აჩვენა.

რა! არ ვუთხარი იმ ბედოვლათს, ფეხმძიმედ ვარ-მეთქი თუ რა? და, რა გააკეთა? ჯერ რაღაც მომენტში სახეზე კმაყოფილებამ გადაურბინა, მერე – ჩემი არ იქნება, მე რა ვიცი, ვისიაო. თანაც, ჩემები არ ვიცი, სად გადავყარო, ვითომ ხუმრობით. ძალიანაც კარგად იცოდა, მაგის მეტი არაფერ მყავდა, მაგრამ კაცი – ხებრია. შენ ჭკვიანი ქალი ხარ, რამეს მოიფიქრებო. ჰო, როცა უნდოდა, ჭკვიანი ვიყავი, როცა უნდოდა – სულელი. მერე ვითომ ქალაქგარეთ საქმეები ჰქონდა, ერთი კვირა არც მოსულა, არც დაურეკავს. რამდენი ხანი მეგადა!

აბორტი კერძოდ გავიკეთე. მარტო წავედი. არ მქონდა ამ კლინიკების თავი. ვითომ ანალიზებს გიკეთებენ, რეაქტივები მაგათ არა აქვთ და არაფერი. ტყუილად სხვადასხვა კაბინეტებში დაგარბენინებენ, რომ, რაც შეიძლება, მეტი შეგაწერონ, ტყუილ დიაგნოზებს გისვამენ, მერე ძვირიან წამლებს გაყიდვებზე, მაინცადამაინც იმ აფთიაქში მიდი, სხვის წამალს არ ვენდობითო, აფთიაქებს წილში უსხედან... მოკლედ, რა!

– პირველია? – მეკითხება გინეკოლოგი, – შვილები გყავთ?

მერე ჰაერის ჩაუსუნთქავად უბერავს:

– დედობა ქალის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. დედობის უფლება აქვს ყველა ქალს და თუ მცირეოდენი საშუალება მაინც არსებობს, ქალმა ნაყოფი უნდა შეინარჩუნოს. გარდა ამისა, ფეხმძიმობა დადებითად მოქმედებს ქალის ფიზიოლოგიაზე და სიმსივნური წარმონაქმნების ბლოკირებას, შემთხვევათა უმრავლესობაში კი საერთოდ გაქრობას უწყობს ხელს, ხოლო შეწყვეტილი ფეხმძიმობა, მით უმეტეს ქირურგიული ჩარევით... ბლა, ბლა, ბლა...

უცხოურ ფილმებში დამნაშავეს რომ ბორკილის დადებამდე უფლებებს აგნობენ, ისეა, მაგრამ აქ ტონი ვითომალერსიანია და სადაც, სიტყვებსიქიდან გრმობ, ემინია, ნათქვამი მართლა ჭკუაში არ დაგიჯდეს და კარზე შენი ფეხით მოსული კლიენტკი არ დაეკარგო.

ადგილობრივი ანესთეზიის პირველი ნემსი მწარედ ვიგრძენი, სარკის ჩადგამც, ყელის გახსნაც, ვითომ ძალიან არ უნდა მტკუნოდა, მაგრამ მეტკინა.

– დედიკო, გეხვეწები, ეს გამისინჯე, რა! – კარი იღება. ჯამიანი გოგო შემოდის, ასე, თორმეტი წლისა, ცოტა მობიჭო, ეტყობა, მამას ჰგავს.

– რამდენჯერ გითხარი, როცა ვმუშაობ, ხელს ნუ მიმლი... კარგი, შემოდი, – თან წითელპომადიან პირს უბჩენს.

ტყაპ! – და გაწვდილი კოვზიდან ვარდისფერი კრემის ნახევარი თეთრი ხალათის გულისპირზე ეცემა.

– ოოხ, ფეთხუმი, მომშორდი, მომშორდი! – რეზინის ხელთათმანიათი ხელი აუქნია, – მარწყვი შიგ ჩაათქვიფე? უხდება სიმყავე, მაგრამ მეტი

აღარ უფო, ძალიან გაგითხელდება და ბისკვიტს ვერ დაიჭერს, ცოტა ხანს მაგივარში შედგი, უფრო კარგად წაესმება... და მათემატიკას მიხედ, ხვალ გაგიძახებს, იცოდე! – მიაწია კარში გასულს.

– აი, ბედნიერი! – ვფიქრობ მე, – გაიზრდება, რამდენი დაფხმბმდებდა, მოვა სახლში, დედამისი აქვე, მუქთად გაუკეთებს აზორტს, ალბათ ამხანაგებს და დაპატივებს სადამოშობით აზორტზე, როგორც ტორტზე...

ო-ო, რა შვებაა ასეთი სულელური ფიქრი გამოუვალ მომენტებში!  
იმის მერე მარწყვის ტორტს ხომ დასანახავად ვერ ვიტან, მგონია, ზედ მარწყვები კი არა, კოლტები.

აღარ დამთავრდა და აღარ დამთავრდა ეს ფხეკა. კი ამბობდა, ხუთ წუთში მოვრჩებიო, მაგრამ გეგონება, ოპერაციას კი არ ატარებს, სადგურის მოსაცდელში ზის და ლაპარაკით ერთობა:

– ნოემბრიდან მოყოლებული, ზამთარი მკვდარი სეზონია, (ნამ-შობიარევი ყელი ნაკლებად სპაზმურია და უფრო ადვილია, ნუ იძაბები, ღრმად ისუნთქე, გენაცვალე!), ყველაზე მეტი სამუშაო მარტ-აპრილში მომარწყვდება ხოლმე, ვერ აუუდივარ, (ცოტაც და, მოვრჩებით), კაცი ხომ სულ ძაღლია და ძაღლია, მაგრამ ამ დროს ქალი და კატა ერთია...

მე კი კბილები და ღრძილები ერთიანად მეტკინა და მაგრად და-ჭერისაგან ყბა მიკანკალებს, მომუშტულ ხელისგულებში ფრჩხილების ჩანარჭობები მტკივა, არათითზე ფრჩხილიც მომტეხია.

ერთი ჭიკა მინერალური დამალევინა, კარის შუშაში ჩავიხედე, ჭიკაში ცხვირსახოცის წვერი ჩავსველე და ყბამდე ჩამოსული ტუშის შავი ნიაღვარი მოვიწმინდე. ცხვირიც ზედ მივაყოლე.

– კარგი გოგო ხარ, – მეუბნება, – დღეს-ხვალ-ზეგ ათი აზი ანტიბიოტიკი დალიე! რომელი?! რა ვიცი, რომელიც უფრო გიხდება. თუ პრობლემა გექნა, რა დროც იქნება, დამირეკე!

– შემდეგი, მოზრბანდით! – მომაცოლა ხმა, ბინის ჰოლში მომლოდინე ქალებიდან ერთი წამოდგა, ღრმად ჩაისუნთქა და საქმიანი სახით ჩამიარა. ეტყობოდა, ახალი არ იყო იქ.

წვიმა. მუცელში სიმჩატეს და სიფულუროვეს ვგრძნობდი. აფთი-აქთან გაეაჩრეე. უცებ იქვე ცარიელი ღია საპარიკმახერო დავინახე, შევედი, თმა პირდაპირ ბიჭურად შევაჭრევი. იმის მერე აღარ გამიზრდია.

შუალამემდე მთელ გულ-მუცელში დაუსრულებლად მიმეორდებოდა გადატანილი. დროდადრო მუხლი მიხტოდა, სახსრები და ბარკლის უკანა მუცლებიც ყრუდ მტკიოდა. მერე, როდის-როდის, ჩამემინა. შუა ძილში რაღაც წარმოუდგენელი სიამოვნება, არა, ნეტარება ვიგრძენი, სითბო შემომეხვია თავიდან-ფეხებამდე. მერე თითქოს ვიღაცამ უკმეხად ხელი მკრა. გამელვება და კისრამდე სისხლში ვწოლილვარ!

ორი კვირა ლოგინში ვეგდე. გადასხმებს სახლში მიკეთებდნენ. ამასობაში გარეთ ნამდვილი გაზაფხულიც დადგა...

(მოზილურმა დარეკა. უპასუხოვ გათიშა.

არა უშაეს, ცოტა დამიცადონ! „ბეილიზის“ განიერ ჭიკაში ჩარჩენილი ყინულები ერთი აკვრით პირში შეიყარა, გააკნატუნა, ბოლო სივარეტს მოუკიდა და ღრმად ჩაისუნთქა).







ის ჩემი კაცი?! გამოჩნდა. გამოჩნდა და მოუნდა ისევ ძველი ამბები. სცენებიც მომიწყო, ხან შემაშინა, ხან იტირა, ერთი შანსი კიდევ მომეცა, ყველაფერი სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ.

ცხოვრებაში სუფთა ფურცელი არ არსებობს. ყველაფერი თავიდანვე ერთგან იწერება, მერე გინდა გადახაზე, გინდა ჩაასწორო, გინდა იქვე გადაათეთრე, წაშლით კი, არაფერი იშლება..

ჰო, ის მერე სულ გაფუჭდა. საქმეებიც უკან-უკან წაუვიდა. მიხვდა, რომ კარგი ტოტი ჩამოუტყდა, მაგრამ მორჩა!

ღმერთი?!

სულ ასეა. თუ ღმერთზე ფიქრს გაჰყვები, როგორც არ უნდა იარო, ბოლოს მაინც ადამიანამდე მიხვალ; თუ ადამიანზე ფიქრს – ღმერთამდე. ან იქნებ ეს, სულაც, ერთი და იგივეა?

### ოკრიბული პროგრამა

– კარგი, ახლა, ნუ მივიკლავ თავს! კაცია და გაკრავს საცხა ფეხს, აზა რას იზამს! ოჯახი მაგის გულობიზა რომელ ჰკვიანს დოღუნგრევია!

– გასაგებია, მაგრამ მე არ უნდა დამმართოდა ეს! – დაბეჯითებით დავიწყე და: – მე ხომ, მე ხომ... მე უარ..., – წკმუტუნ-კნავილივით გამომივიდა.

– დიდაია! მე არ უნდა დამმართოდაო?! არ ხარ შენ პირველი. მეუღლე რაა, შეყვარებულის ღალატის ამბავსაც რომ გეიგებს, არაა ადამიანი, მასე რომ არ ფიქრობდეს. დამიჯერე მე.

პირველათაა ყოლიფერი ასე ძნელი, თვარა მერე...

ახლა, შენს მამამთილს რომ უყურებ, მაგფერი კი არ იყო, თელი რაიონი ეჭირა ხელში ასე, ა! – ჩემი დედამთილი უცეგ მალა აშვერილ მარჯვენას მუშტად კრავს, ზუსტად ისე, ლენინის ძეგლს რომ ჰქონდა ქული მობღუჯული და შემაგმაგებამდე უჭერს, მერე ადუნებს, გულთან მიაქვს, მარცხენათი ალერსიანად, თანმიმდევრულად იმსაყებს და განაგრძობს:

– განათლება, შენ რომ გაქ, იმფერი უნდა, მარა სხვა ჰკუა სჭირია ოჯახს, თვარა არ გამოვა არაფერი.

კომუნისტების დროს ვითომ კამანდროვკაში რომ დაარბენიებდენ ჩვენ კაცებს, იცოდა ყველა ქალმა, რას კამანდროვკაც იყო იგი, მარა ქე ვიყავით ჩუმათ.

ხმას რავა ამევიღებდი, ოჯახში ნათქვამს და მომხთარს გარეთ რავა გევიტანდი! ასე დამაჩვიეს ბაღნობიდან.

ნამეტანი გაჭირვებული იყო ჩემი ოჯახი. ძმები საცოლშვილო მყავდა, ქე ვიყავი იმფერი გოგო, ყველაფერი რომ უზდება, გადარევითაც ყველა ირეოდა ჩემზე, მარა ოცის ისე ვხდებოდი, მივიხედე-მევიხედე და, ჩემი ხნის აღარც არევიან იყო გასათხოვარი ახლომახლოში. მზითვი მე არ მქონდა და სწავლა-განათლება, არც ნათესავები მყავდა იმფერი კაი და გავლენიანი, პატრონად ქე რომ გამოადგება ადამიანს და, ვინ იყო ჩემი მოხონველი!

მეზობლის სატირალში ზაურეე რომ ჩამევიდა მანქანით, მარვალ-კოსტუმში და გალსტუკში, საცხა, კუთხეში ვიდექი ჩემთვის, მორცხვად,



ერთი კი გამეხედა თავიდან, მარა სხვა გოგოებმა, რაფერგ მაგ დროს იციან, მანდამაინგ მაშინ მეინდომეს ჩემთან ხმამალა ლაპარაკი და ზურგიით ამოვარება. ქელების სუფრაზე თეფშები რომ შემქონდა და გამოქონდა ცქრალით, ე, მაშინ დამადგა თვალი. კი მიყო გულმა რეჩხი, რაცხა უგნალად, მარა რავა ვიფიქრებდი, მეორე დღეს თლა მამულებს თუ გამომიგზანია სახში.



მაგიო, ქეთო ბიგოლამ თქვა, იმფერი გასულია ყველგან, იმფერი ქალები ეხოვიან თავზე ქუთისში, ყოლიფერი მოწყენილი აქ და აწი შენ რომ ხარ, მარტო იმფერი ლამაზი და პატიოსანი გოგო ჭირია საცილოდო. ახლა, ასაკით არაა თლათ ზდანე, მარა მაგი უკეთესიაო. დაბალია და თმები აქვს გაცვენილი-თქვა, ერთი დავიწუწუნე და, არ გამავრონო მაგი, კაცი შესახედობით ემშაკს სულ ა, ასეთ პატარაზე უნდა ჯობდესო.

ასე გამათხოვა ჩემმა პატიოსნებამ და ისე დავბერდი ქმარ-შვილში, ფრანცუკები არ გამიკარებია ფეხზე, ზაურიეზე მაღალი არ გამოვჩნდე ხალხში-თქვა. კიდო კაი, შენი ქმარი ჩემ ჯიშზე რომა წამოსული. ჩეიცი რავარიც გაგებარდება, იმფერქუსლიანი ტუფლი და გაყვი გვერდში ასე, კარალევასავით!

მაგი რაა!  
ახალი ჩამოყვანილი ვარ ოკრიბიდან, ასე, ერთი წლის, სავეს მაქ შვაფები, მარა სარკეში თუ გვეპრანქები ჩემ თავს, თვარა, სხვა ვინაა შემომხედავი. ვზივარ სახში მარტო, ვზრდი ზდანეს, ვაწკრიალებ სახკარს და ველოდები. კი ვიცი, ზაურიე არ მოვა გვიანობამდე, მარა მაინც. ხმაური შემომესმა რაცხა, გევიხედე და.....

(დედა, რას მიშობა ეს წწევის წამალი, რაფრა ამომივარდა გონებიდან! რას გიყოზოდი?).

ჰო! ზაფხულია ერთხელ, ცხელა ნამეტანი და დარეკა დილას უცეფ სამსახურიდან, ქობულეთში მივდივარ ამელამ, ჩამიწყვე ჩამადანი, შოფერი გამეივლის, გარაჟის და მანქანის გასაღებები ჩოუგდე, სამსახურის მანქანას დააყენებს და მაგი ქე გამოატანეო.

როის ჩამოხვალ-თქვა და, ერთ კვირაში მაქანე ვიქნებიო. დამწყდა გული. დაბადების დღე იყო მისი ორ-სამ დღეში, მოშზადებულები კი მქონდა წინასწარ პატარა რაცხაები, მარა რას ვიზამდი!

რომ წევიდა, ჩემი დედამთილი ჩამევიდა ჩვენთან. ზდანემ კი იუცხოვა თავიდან, მარა მეერ იმფრად მიეჩვიენ ერთმანეთს, კალთიდან არ მოშორებია თელი დღე.

ამის შემხედვარეს დამკრა თავში აზრმა და შევეხვეწე, რა მოხდება, აგი ზდანე ერთი ღამით რომ დაგიტიოთ, გავამზადებ პატარა, ზაურიეს რომ უყვარს, იმფერ რაცხაებს და გავყვები ღამის მატარებელს, დილაზე ქე ვიქნები იქანა, ევიყვან ტაქსს, ჩოუტან პრავეზიას და ქე გამოვყოზი ისევე მატარებელს-თქვა.

დავაცხვე ზაქაპურები, შევწვი ტაბაკა-ქათმები, დავაკარი ჭადები, ჩავასხი დიდ ბოთლში ახალი ტყემალი, ცოტა პატარა კიტრი და პამიდორი, რაცხა ხილი, ბოცით ღვინო და წევედი.

ჩევედი, მარა მისამართი მე არ მაქვს და არაფერი. კი იცი შენ, ქობულეთი – ერთი გმელი ქუჩაა სულ. დავყვი ტაქსით

F1221X

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ნელ-ნელა ქუჩის თავიდან და ვიხედები ეზოებში. დილაა, ხალხი არ ჩანს ჯერ. დევინახე, აგერ არ დგას ჩემი ქმრის მანქანა, ერთ ეზოში?!

გადმოვტვირთე ჩემი პრავეზია, გოლში ტაქსი, შვევედი და ხაზეიკას ვეკითხები, სადანა ჩემი ზაურის ოთახი-თქვა.

დებიზა, ხო იცი! აქანე მაგფერი არევიანაო.

რავა არევიან, აგერ არ დგას მანქანა-თქვა?

ავედი მეორე სართულზე, გმელი ბაღკონია და მიყოლებაზე კარებები და ფანჯრები ჩამწკრივებული, კარებები კია მიხურული, მარა ფანჯარა ყველა ღიაა. დავეყვი, ვიყვიტები ზანავესკების კუთხეებიდან და... დედა, რას ხედავს ჩემი თვალები, აგერ, ჩემი ქმარი ვიგბა ტიტველ რუსის ქალთან ჩახუტებული არ ხვრინავს?!

ავკანკალი ქალი, ერთ წაშში ღონე გამომეცლება – მომივა, გამომეცლება – მომივა. დამიზნელდა თვალები, მივეყუდე მოაჯირს. გაეჩრდი ასე პატარა ხანს და ვფიქრობ: რა ვქნა აწი!

შვიდე, დვეითროს ის ვინცხა ქერა თმებით და ვაჩაქუნებით თავი რკინის კრაოტის თავზე? რა მისი ბრალია.

ზაურის ვეჩხუბო, წავალ სულ სახლიდან, მორჩენილია ჩვენ შორის ყველაფერი-თქვა? რომ მითხრას, კაიო, სად ოხრობაში წვიდე!

შენ წადი-თქვა, რავა უთხრა! რომ მოუსვას ხელი ყოლიფერს და დეიკარგოს საცხა, რაფრა ვზარდო ბაღანე მარტო?

ვინაა ჩემი პატრონი! – ამომიჯდა გული.

ერთი გაფიქრება ისიც ვიფიქრე, წვიდელებ ამ ჩემს ჩამოტანილს უკან, სახში-თქვა, მარა ზაფხული იყო და გაფუჭდებოდა გზაში, მერე – გვეიტან ამ ეზოდან, მოვშორდები აქოურობას, ვნახავ საცხა ახალგაზრდებს და იმათ მეიხმარონ, მარა მერე ჩემი დედამთილი რომ შემეკითხება, დეიჯერებს, რაც მოხთა-თქვა?

უფვათ, შუქი რომ მოვა დიდი ხნის წასულზე, ისე გამინათდა თვალეებში.

კიდო კაი, არ დოუნახივარ არცერთს.

ჩამევედი ფეხაკრეფით მეორე სართულიდან. მივედი ხაზეიკასთან და შევეხვეწე, არ დამლუპოთ, თუ ღმერთი გწამთ, არ თქვათ, აქანე რომ ვიყავი. ამგენს ქე დავტოვებ და რომ გეიღვიმებს ჩემი ქმარი, ასე უთხარით, ვინცხა შოფერმა მეიტანა და ჩამაბარა თქვენთვის გადმოსაცემად, დაბადების დღე გქონიათ-თქვა.

აქანე კიდო, ჩემი დედამთილი გავაფთხილე, არ წამოგცდეთ, ქობულეთში მე თითვან რომ ვიყავი ჩასული და, ვითომ, ბიძაშვილი რომაა ჩემი, ანზორიე, გზათ მიდიოდა და იმას გავატანე პრავეზია-თქვა.

გვეიდა ის კვირა და ქე დაბრუნდა პატოსნათ ჩემი ქმარი ქობულეთიდან, არ მომხთარა ვითომ არაფერი.

ორი დღე იძინა, მესამე დღეს, ჩეიცი, საცხა უნდა წაიყვანოო. ჩამსვა მანქანაში, მიმიყვანა, ქე რომ მოედანზე დიდი ოქროსულობის მაღაზია იყო, შემეიყვანა საწყობში, და... ე, მაგი საყურეები, შენ რომ მოგწონდა ნამეტანი და რომ გაჩუქე, მაშინ მიყიდა.

იმაზე ხმა არ გოულია, მერეც ბევრი მომხთარა აქა-იქ რაცხაები, მარა აგერ ოცდაათი წლის ცოლ-ქმარი ვართ და მისგან ჩემი წილი დაფასება და სიყვარული არ მომკლებია დღემდე.

ახლა დედამთილს არ იკითხავ? გვარიშვილი ქალი იყო და ისედაც ზემოდან უცქეროდა ყველას, ახლა, მე თავიდან თლათ თვალში რავა მოუვიდოდი, მისი გვარიშვილობის პატრონს და მას მერე სიკვტილამდე თან მყოზოდა საწყალი. თავისი ქალიშვილებიზაც რომ არ ემეტებოდა, თლათ ჩემთვის უნდოდა ყოლიფერი.

ასე, ჩემო კარგო. თუ ქმარი და ოჯახი გინდა, ქე უნდა მეითმინო ამფერი პატარა რაცხა-რაცხაები...

მეიწყენს მერე და, ძალით რომ გაავდო სახლიდან, ქალებში გვიარე-თქვა, სა წამსვლელია!

ეიღე ახლა ამ მაგიდიდან უკან შენი გასაღები და წადი წყნარად სახში, ვითომ არ მომხთარა არაფერი!



ვიბრუნებ გასაღებს.

რკინა ცივია.

გამოვდივარ ქუჩაში.

მანქანაში ვჯდები.

ვაჩერებ.

რა გუდია, რომ დილით ფანჯრებიდან შუქი არ გამოდის. იქნებ არც მოსულხარ შინ. თუ დაბრუნდი, ჯერ ალბათ გაღვიძებულცი არ იქნები წუხანდელის მერე.

პირველი შენ არა ხარო, პირველად ყველაფერი ასე მწელიაო...

რა გქნა? ამოვყვე სადარბაზოს კიბეებს? გავალო კარი? შემოვიდე, გამოვიცვალო და ვითომც არაფერი, აბაზანაში ხაოიანი ხალათი ძელეზურად შემოგაწოლო? ძველებურად მოგიმზადო უშაქრო თურქული ყავა, სიგარეტზეც მოგიკილო და ისე მოგაწოლო, როგორც შენ გიყვარს დილდილობით?

გასვლის წინ რიტუალურად ვაკოცოთ ერთმანეთს და კარგი დღე ვუსურვოთ.

მერე ცოტას წავუძინებ, მერე გავალ, დავუყვები „შოფებს“. თუ რაიმე საშენოდან მომეწონა, დაგირეკავ. შენ, როგორც ყოველთვის, საქმიანი შეხვედრის გამო, მოზილი გამორთული გექნება. მეც ისეც იმ პირობითი წამოვლებ, თუ ჩემს ქმარს არ მოერგო, ხვალ დაგიბრუნებთ-მეთქი. მერე შენი მოსვლისთვის უცებ მოგიმზადებ რაიმე სუპერმარკეტულს. უზრალოდ, მიკროლუმელში შევაწყობ.

ყველაფერი თითქმის მზადაა, მხოლოდ წამები სჭირდება.

მუდამ ზუსტ პროგრამაზე უნდა დააყენო, რომ არც დაგეწვას და არც უმი გამოგივიდეს.

ეს უჩემოდან შეგიძლია.

წესი ყველაფერს ზედ აწერია. თუ წაიკითხავ. არაფერი შეგეშლება.

მერე მიეჩვევი და თვითონ მიხვდები, რა და როგორ.

მთავარი – მაინც პროგრამაა...

ძალღურსავე გარსში, რომლითაც ღამღამობით მეცხადებოდა ხოლმე და გარიგარ დანრიალეზდა! ფეხებში ეზლანდებოდა უწყინარ მგზავრებს, ნააფორხილებდა, მხრებზე ჩამოეკიდებოდა! დაუბრუნე თავისი სანუკვარი სახება, ისევ ისე მუცლით ახოხე მინა-მტვერში ჩემ ნინაშე, რომ ფეხქვეშ ამოვიდო ეს უწმინდური, ნიხლებით გადაფუარო! „პირველი არ არის!“ უბედურება! უბედურება! კაცის სულში ასეთი რამ ვერც გაბოგინდებოდა! თურმე მით უკეთესი, რომ იგი ერთადერთი არ არის და მაგ ცოდვის მორევეში სხვაც ბევრი დანთქმულა! რომ იმ პირველისაგან გაღებული მსხვერპლი საკმარისი არ აღმოჩნდა მარადმიტვევების თვალთა ნინაშე ყველა დანარჩენის გამოსახსნელად! მე ამ ერთადერთის სიბრალულით გულ-ღვიძლი მეთუთქება, ეს კი დამდგარა და ღმერთი მანუგეშებს, რომ ასეთი რამ კიდევ ათასთა ხვედრი!

**მეფისტოფელი**

აჰა, იმ ზღვარსაც მივდგომივართ, კაცთა მოდგმას რომ გონება ებინდება. რალაზე გვეტორლიალეზოდი, თუ მეტის ატანა არ შეგეძლო? ფრენას ეპირები და იმის ილაჯიც ვერ გიპოვია, თავბრუ არ დაგვსხას? ვინ ვისკენ მიიბრძოდა, ჩვენ შენკენ თუ შენ ჩვენკენ?

**ფაუსტი**

ნუ მიკრეჭ მაგ მძორიჭამია კბილებს, გული მერევა! ჰოი, დიადო, სასნაულმოქმედო სულო, შენ, რომელმაც ღირსმყავი, შენი სახე მეხილა, შენ, რომელიც ჩემს სულსა და გულში იხედები, რისთვის გადამაჯაჭვე ასეთ უღირს თანამგზავრს, თვალი რომ მხოლოდ სიავესა და ნაწყმედაზე უჭირავს?

**მეფისტოფელი**

დაამთავრე?

**ფაუსტი**

იხსენი! თორემ ვაი შენს დღეს! წყევლა და კრულვა ათასი და კიდევ ათასი წელი!

**მეფისტოფელი**

მეარშემიძლია, გავხსნა მსჯავრმდებლისაგან გაკვანძული ნასკვი, ავხსნა კარს მისგან დადებული ურდული. გამოშვარეთ!

აუგუსტ ფონ კრელინგი. მიტოვებული გრეტენი (ფრაგმენტი)





მორიცი რეცხი. საპყრობილე (ფრაგმენტი)

საპყრობილიდან გამოუყვანეთ! ვინ ჩააგდო მაგ დღეში, მე თუ შენ?

**ფაუსტი**

გაშმაგებული თვალს აქეთ-იქით მიმოატარებს.

**მეფისტოფელი**

მეხს ეძებ, თავზე რომ დამატეხო? კიდევ კარგი, ბედკრულ მოკვდავებს ეგ ძალა არ გბოძებიათ. მტარვალის წესია, მუსრი გაავლოს ყველა უდანაშაულოს, როცა სხვა პასუხი არა აქვს.

**ფაუსტი**

წამიძეხი! უნდა საპყრობილიდან გამოვიდეს!

**მეფისტოფელი**

მერედა, თავი იმოდენა საფრთხეში გინდა შერგო? იცოდე, შენი სისხლიანი ცოდვის კვალი ქალაქში ჯერაც არ წაშლილა! მკვლელობის ადგილს შურისძიების სულები დასტრიალებენ და მკვლელის დაბრუნებას ელიან.

**ფაუსტი**

და მაგას შენ მეუბნები? ქვეყნიერების ყველა ჭირი და სნება შენს თავს, შე ურჩხულო! წამიძეხ-მეთქი და საპყრობილიდან გამომახსნევენ!

**მეფისტოფელი**

კარგი, წავიდე. ოღონდ ისიც მინდა იცოდე, რისი გაკეთება შემიძლია. მე ხომ არ მაბარია ცა და ქვეყანა? მედილეგებს ბურანს დავცემ, აიღე გასაღები და შენით, შენი კაცური მარჯვენით, გამოიყვანე, მე კართან დაგელოდები. ჯადოსნური ცხენები მზად მეყოლება, რომ იქაურობას გაგარიდოთ. მაგდენი შემიძლია.

**ფაუსტი**

გავეშუროთ!

ღამე. ტრიალი მინდორი  
ფაუსტი და მეფისტოფელი შავი ცხენებით მიგელავენ

**ფაუსტი**

ის რა გნისასია იმ შიშველ ადგილთან?

**მეფისტოფელი**

ჰგავს, საქონდაქრეა, შეეშვი, რად გინდა!

**ფაუსტი**

დაფრენენ, ბრუნავენ, შექმნიათ ფართქალი.

**მეფისტოფელი**

გრძნეულთა დასია, ალქაჯთა ამქარი.

**ფაუსტი**

ჩხიბავენ, ქარჩხავენ, რაღაცას ფანტავენ.

**მეფისტოფელი**

გავნოთ, ნუ გინდა! მიუშვი სადავე!

საპყრობილე

**ფაუსტი**, შერკინული კარის წინ, ხელში გასაღებების ასხმითა  
და სანათით

ძრწოლა დამეცა! ოდინდელი! გადაჩვეული!  
ყველა ტკივილმა, კაცებრივმა, იხმია ძალა!  
აქ, ამ ნოტიო კედლის იქით ზის ბრალეული,  
არადა, სრული სიგიჟეა, რაც ადევს ბრალად.  
ყოყმანობ? ველარ ენახვები? გემწარა შხამი?  
იჩქარე! სიკვდილს უახლოებს ყოველი წამი.  
(საკეტს სინჯავს.)

**სიმღერის ხმა**, შიგნიდან

დამკლა ნაბოზარმა



მორიც რეცში. საპყრობილე  
(ფრაგმენტი)



იჟენ დელაკრუა. საპრობოლე  
 (ფრაგმენტი)

ჩემმა დედამაო,  
 ჩემმა ქვებუდანმა  
 მამამ შემჭამაო,  
 ძვლები შეაგროვა პატარა დამაო,  
 გრილოში დაანყო, ცრემლებით ლამაო.  
 ჩიტად ვიქეციო,  
 გაფვრინდი ტყეშიო,  
 გადავრჩი ღვითოთ.  
 იფრინე, იფრინე, ლამაზო ჩიტო!

### ფაუსტი

არც იცის, სატრფო ყურს რომ უგდებს შემოპარული,  
 ჩალის შრიალიც გამოესმის, ჯაჭვის ჟღარუნიც.  
 (შედის.)

### მარგერეტე, სანოლზე გადაემხობა

ვაიმე! მოვიდნენ! სიკვდილი! სიკვდილი!

### ფაუსტი, ხმადაბლა

ჩუმად! ნუ ყვირი, გაალვიძებ მძინარ დარაჯებს!

### მარგერეტე, მუხლებში ჩაუვარდება

დამინდე! შეგბრალდე! ვარ სასომისხილი!

### ფაუსტი

მოველ, დაგიხსნა, გამოგტაცო მაგათ განაჩენს!

### მარგერეტე, დაჩოქილი

ვინა ხარ?

ვინ მოგცა უფლება, რომ ასე ძალადობ?

ჯერ შუალამეა, ჯერ დრო მაქვს დილამდე, ჯალათო!  
 დილაც გეშორა? არ წამოგყვები ნებით!

(წამოდგება.)

უდროოდ ვკვდები, გესმის, უდროოდ ვკვდები!

ლამაზიც ვიყავი მე საწყალობელი,

დამლუპა მაგან!

ის, ვინც მეგონა მეგობარი და ახლობელი,

გამქრალა, წასულა სხვაგან.



გვირგვინი ძირს გდია დაშლილ-დაფურცლული,  
ვარ ყოვლად უძლური.  
ნუ მტკენ, გამიშვი, ისიც მეყოფა, რაც მერგო ხვედრად!  
რა დაგიშავე განა ასეთი, პირველად გხედავ!

**ფაუსტი**

რითი გავუძლო, როგორ შევძლო ამის ატანა!

**მარგერეტე**

მადროვე, ჯალათო, ჯერ უნდა ვანოვო პატარას,  
არ გესმის, ძუძუს რომ ითხოვს?  
გულში მეხუტა მთელი ღამე,  
ამართვეს, წამართვეს,  
დამწამეს, მე მოვკალ თითქოს.  
გამომალექსეს, ქვეყნად რა დაღვეს ბოროტს,  
დადიან, გამღერენ გზად.  
ის მომაკერეს, იმ ძველი ზღაპრის ბოლო!  
საიდან სად?

**ფაუსტი, დაიჩოქებს**

აჰა, შენს ფერხთით ვარ დაიჩოქილი,  
უნდა საჩქაროდ აგხსნა ბორკილი.

**მარგერეტე, მუხლებზე დაეცემა მის გვერდით**

ჰო, დავიჩოქოთ, ერთად ვილოცოთ, რაკი მოხვედი!  
უსმინე, ზღურბლქვეშ რა გუგუნია, დულს ჯოჯოხეთი!

**ფაუსტი, ხმამალლა**

გრეტხენ! გრეტხენ!

**მარგერეტე, მიაყურადებს**

მეგობრის ხმა!  
(წამოხტება, ბორკილები ძირს დაცვივა.)  
გამოხსნილი ვარ!  
ცხრება ქვესკნელი!  
ის არის! გულში ჩავეკერები! მკერდს დავესკენები!  
გრეტხენ! — მეძახის, აქვეა, ზღურბლს უკან დგას!  
ჯოჯოხეთური ცეცხლის გრიალში,



იჟენ დელაკრუა. საპრობილე  
(ფრაგმენტი)



პეტერ კორნელიუსი. საპყრობილე  
(ფრაგმენტი)

ბოროტეულთა ორომტრიალში  
ვცნობ ძვირფას, სანატრელ ხმას!

**ფაუსტი**

მე ვარ!

**მარგერეტე**

შენა ხარ? კიდევ მითხარ, კიდევ ერთხელაც!  
(*გულში ჩაეკვრება.*)

ახდა, გადავრჩი! კვლავ აქა ხარ! ჩემთან ბრუნდები!  
ალარაფერი ამის მეტად არ შემემთხვევა,  
სად გაქრა ძრწოლა დილეგისა? ბორკილ-ხუნდები?  
ისევ ის ქუჩა, სადაც შევხვდით! სახლი, მდებლობი!  
პატარა ბალი, მე და მარტა სადაც გელოდით!

**ფაუსტი, აჩქარებული**

ნულარ ვაყოვნებთ!

**მარგერეტე**

ჯერ დაიცა, ცოტაც მადროვე!  
დანატრული ვარ შენთან ყოფნას, მკლავს სიმარტოვე.

**ფაუსტი**

აჩქარდი! ძვირად დაგვიჯდება დროის დაკარგვა!

**გრეტხენი**

კოცნა რა უყავ, აღარ მკოცნი? ხსოვნაც აღარ გაქვს?  
(*ეფერება.*)

ახე უეცრად დაგავინყდა კოცნაც, ფერებაც?  
ცა მესხნებოდა! ისევ ის ხარ? არც მეჯერება!  
ხვევნით მახრჩობდი, ვნება გქონდა დაუყურები.  
მაკოცე, თორემ მე გაკოცებ!

(*კოცნის.*)

რა ცივია შენი ტუჩები!

რა იქნა შენი სიყვარული? სად დასამარდა?

შენი თავი ვინმემ წამართვა?

**ფაუსტი**

ნამომყვე, ძალა მოიკრიბე, გთხოვ, გვედრები!  
დროზე დავტოვოთ ამ საზარი ციხის კედლები.  
ასმაგად უფრო მეყვარები, ალერსში დაგნთქავ!  
ნამო, ძვირფასო...

**მარგერეტე, პირს მიიბრუნებს**

ეს შენა ხარ? შენა ხარ მართლა?

**ფაუსტი**

მე ვარ, ნამოდი!

**მარგერეტე**

ბორკილები უკვე ამხსენი,  
გულში მიხუტებ, მომიმზადე გზაც ნასასვლელი.  
ნუთუ არ გაფრთხობ? მეძალები მოუთმინარი.  
ვის გამოხსნასაც ეპირები, იცი, ვინ არის?

**ფაუსტი**

ლამე ილევა, ნუ ახანებ! დალუპვა გველის!

**მარგერეტე**

იცი, ვინ არის? ჩემი ხელით მოვწამლე დედა!  
შვილი ტბორშია, ჩვენი შვილი! ვარ მისი მკვლელი!  
შენც, შენც გეჩუქა!  
ეს შენა ხარ?

თუ სიზმარს ვხედავ?  
ხელი მომეცი! საყვარელი, ძვირფასი ხელი!  
მაგრამ ზედ სისხლის შხეფებია! საიდან გაჩნდა?  
ღმერთო, რა ქენი, ეს რა ქენი! ჩააგე დაშნა!

**ფაუსტი**

კარგი, მაკმარე, თუ არ გინდა მოგკვდე ახლავე!

**მარგერეტე**

არა, შენ დარჩე უნდა ცოცხალი,



პეტერ კორნელიუსი. საყვარელი  
(ფრაგმენტი)



პეტერ კორნელიუსი. საპრობილე  
(ფრაგმენტი)

მიხედო საფლავებს.

აი, აგისხნი, დაიხსომებ, რა როგორც არი.  
პირველი დედის საფლავია, მის მერე — ძმისა,  
ხვალვე, დილითვე, მეც იქ უნდა გამიჭრა მიწა.  
ჰო, ცალკე, მათგან მოშორებით, ჩემს საფლავს გაჭრი,  
ოღონდ ძალიან შორსაც არა! და მკერდთან, მარჯვენე —  
ჩემი პატარა! სხვა არავინ, არავინ გვერდით...  
როგორ გეკვროდი! ნეტარების აღმურში მხვევდი.  
გახსოვს? არ გახსოვს! აღარა გაქვს ის გული ჩემზე.  
ისე ვერასდროს ჩამეხვევები... მეც ველარ შევძლებ...  
არადა, თითქოს ისევე ის ხარ, კეთილი, თბილი...

**ფაუსტი**

თუ გრძნობ, ისა ვარ, წამომყევი!

**მარგერეტე**

სად?

**ფაუსტი**

შორს აქედან!

**მარგერეტე**

გარეთ? იქ, გარეთ, სიკვდილია, საცა გახედავ...  
ჩემი სამარე მელოდება, მარადი ძილი...

სხვაგან ფეხს ვერსად გამოვადვამ, არც მითხრა მეტად!  
მიხვალ, ჰაინრიხ? მეც შემეძლოს წამოსვლა ნეტა...

**ფაუსტი**

ქმენ! შეგიძლია! გზა ხსნილია, ოღონდ ისურვე!

**მარგერეტე**

ტყუილად მებრძვი, მაგ საწადელს ვერ შეგისრულებ.  
უცხო მხარეში ხეტიალი... ყოფნა მათხოვრად...  
და ქენჯნა, ქენჯნა! რითი შევძლო მისი ჩაცხრობა!  
თან, სულერთია, მომაგნებენ... ღირს ორი დღისთვის?  
ჩასაფრებულა! ყველგან, ყველგან სიკვდილი მიცდის!

**ფაუსტი**

მაშინ მეც ვრჩები!

**მარგერეტე**

ჩქარა ნადი!  
იხსენ შენი საბრალო შვილი!  
ლელეს აივლი,  
ტყის სიღრმეში შეჰყვები ბილიკს.  
ტბორზე ძელი დევს,  
ის ადგილია!  
იცნობ მაშინვე!  
წყალში ფართხალებს!  
იხსენი! იხსენი!  
გადაარჩინე!



პეტერ კორნელიუსი. საპრობილე (ფრაგმენტი)

**ფაუსტი**

გონს მოდი! ერთი ნაბიჯი და აქედან შორს ვართ!

**მარგერეტე**

ბორცვთან როგორღა ჩავიარო, იმ ბოლო ბორცვთან?  
დედა ზის ქვაზე,  
ზის, თავს აკანტურებს,  
ცივი ჟრუანტელი მასხამს.  
არაფერს მანიშნებს,  
ზის, თავს აკანტურებს,  
ვერ გაულვძიძია სანყალს.  
დიდხანს ეძინა, შემომეშვი ჩემთან ფარულად —  
ახ, რა დრო იყო! — გვესიამა, გვესიყვარულა...

**ფაუსტი**

რაც გემუდარე, რაც არ გითხარ, ვერ გაგაგონე!  
ძალით ნაგიყვან, აღარ დამრჩა, ვხედავ, სხვა ღონე!

**მარგერეტე**

დამეხსენ, თავი დამანებე! გამიშვი ხელი!  
მტკივა, ნუ მახრჩობ!  
რაზე მახრჩობ, თუ არ ხარ მკვლეელი!  
აკი ყველაფერს გისრულებდი დაუყვედრებლად...



გაბრიელ ფონ მაქსი. საპრობილე

**ფაუსტი**

უკვე თენდება! დღე მოგვისწრებს! გესმას ვედრება!

**მარგერეტე**

თენდება, ბოლო დღე თენდება... მიხმობს, მიჩქარის!  
 ქორწილის უნდა ყოფილიყო, სიკვდილის არის!  
 ნურავის ეტყვი, რომ გრეტხენთან იყავ ნუხელის...  
 ვაი ჩემს გვირგვინს! დაშლილია! რაღა უშველის!  
 რაც იყო, გაქრა, ნუ მაძალებ, არ გამოგყვები!  
 კიდევ შევხვდებით, მაგრამ ველარ — ცეკვა-როკვებით.  
 შეყრილა ხალხი, მოედნისკენ უხმოდ დაძრულა,  
 ზარები რეკენ, გადატეხა ჯოხი მსაჯულმა.  
 ხელებს მიკრავენ... კიდევ ცოტაც... ნაბიჯიც კიდევ...  
 აჰა, კუნძთან ვარ ჩაჩოქილი, ზედ თავი მიდეგს.  
 ცულის მოქნევას გრძნობს გარშემო ყოველი კეფა...  
 ისეთი, როგორც სამარეში, სიჩუმე დგება.

**ფაუსტი**

ნეტავ არასდროს ვშობილიყავ!

**მეფისტოფელი, შემოიხედავს**

მეტს ვერ მოგიცდი!  
 თავს დაილუბავ; ჟამიც ნახე მაგ ყბედობისთვის!  
 ბინდი დაიძრა, სულ ახლოა დრო გათენების!  
 კმარა ყოყმანი, ძაგდაგებენ სუსხში ცხენები.

**მარგერეტე**

ეს აქ მინიდან ვინ ამოძვრა? ის არის! მეძებს!  
 უთხარ, წავიდეს! მე ვუნდივარ! გეში აქვს ჩემზე!  
 წმინდა ადგილსაც, ღვთის სამსჯავროს, არ ეკრძალება!  
 ლამობს, წამწყმიდოს! კვლავ მომაგნეს მისმა ბრჭყალებმა!

**ფაუსტი**

არა, იცოცხლებ! შენ იცოცხლებ! არავის მიგცემ!

**მარგერეტე**

შენი ვარ, უფლის სამართალო! მამაო, მისხენ!

**მეფისტოფელი**

თუ არ მოდიხარ, გტოვებ, წავედი.  
შემბეზრდა, რამდენს გეძიდავები!

**მარგერეტე**

ანგელოზებო, წმინდანებო, ძალნო ცათანო,  
ფრთა დამაფარეთ, ბოროტეულს არ გამატანოთ!  
ჰაინრიხ, წადი, გზა მშვიდობის! გიცქერ და მზარავ!

**მეფისტოფელი**

ქვესკნელს დაინთქა!

**ზეგარდმო ხმა**

ცად ამაღლდა!

**მეფისტოფელი**

მომყევი ჩქარა!

(გაუჩინარდება ფაუსტთან ერთად.)

**ხმა**, თანდათან სიღრმეში იკარგება.

ჰაინრიხ! ჰაინრიხ!

იოჰან ჰაინრიხ რამბერგი. გრეტხენის  
ცად ამაღლება



გერმანულიდან თარგმნა დავით წერეთლიანმა.

## „არდავინყება მოყვრისა...“

## ბორის დარჩია

## ნოდარ ალანინას გახსენება



ნოდარ ალანია

ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი, მეცნიერ-პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ჩინებული მოქალაქე და კოლორიტული პიროვნება, ნოდარ ალანია, დაიბადა 1924 წლის 28 ნოემბერს დაბა ხონში. ბავშვობა და მოსწავლეობის წლები ბათუმში გაატარა. მამამისი – ვასილ მიხეილის ძე ალანია (1898-1932) – სახელმწიფო გამომცემლობაში მუშაობდა, დედა – თამარ ფილიპეს ასული სანოძე (1888-1980) – ფარმაცევტი იყო.

რვა წლის ნოდარს მამა გარდაეცვალა. მასთან ერთად ობლად დარჩა მისი თორმეტი წლის ძმა ილია, შინაურობაში იღო (1920-1994), შემდეგში – იურისტი.

1942 წელს ნოდარმა ბათუმში დაამთავრა საშუალო სკოლა. ერთხანს მუშაობდა ბათუმის რკინიგზის კვანძის ბიბლიოთეკის გამგელ. 1945 წელს შევიდა და 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1950-1953 წლებში უახლესი ქართული ლიტერატურის განხრით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტია, 1955 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – ამავე ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების თანამშრომელი (1957 წლიდან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი). 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული საბჭოთა პოემა“. 1954-1956 წლებში იყო გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი. სხვადასხვა დროს მიწვევით ახალი ქართული ლიტერატურის კურსს კითხულობდა მაშინდელ ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისისა და ასევე მაშინდელ ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში. გარდაიცვალა 1976 წლის 20 ნოემბერს. განისვენებს საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

\*\*\*

ნოდარს 1974 წლის გაზაფხულზე შედგენილ ბეჭდურ ნაშრომთა ბიბლიოგრაფიაში, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივში დაცულ მის „პირად საქმეშია“ ჩადებული, 42 ნაშრომი აქვს მიითვებული. ოჯახში დაცულ ბლოკნოტში სათაურით „ჩემი-ჩემთვის-ჩემზე“ ჩაწიკწიკებულად ჩაუწერია როგორც 1975 წლის ზაფხულამდე გამოქვეყნებული თავისი ნაწერების, ისე მასზე არსებულ გამოხმაურებათა სიები. პირველი შეიცავს 213 ერთეულს, მეორე – 67-ს. ამის მერე და გარდაცვალების შემდეგც ნოდარისა და ნოდარზე სხვატ ბევრი გამოქვეყნდა. ამ მონაცემების მიხედვით ის ქართული ლიტერატურისა და კულტურის სარბიელზე ყოველდღიურად მოფუსფუსე ხელხვაიან მუშაკად წარმოგვიდგება.



ნოდარს 1940 წელს, როცა ჯერ კიდევ 16 წლისაც არ იყო, გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ დაუბეჭდავს წერილი „ნორჩი მეზღვაურის წინაშე“. დანარჩენი აღრიხველი წერილები ეხმაურება საიუბილეო თარიღებს, ახალგაშობულ წიგნებს, სპექტაკლებს, საზოგადოების საჭირობოტო საქმეებს და ა. შ.

ნოდარის კვლევის საგანი იყო ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა, თუმცა მათთან დაკავშირებით სტატიები აქვს გამოქვეყნებული ძველ ქართულ მწერლობაზეც: „სულხან-საბა ორბელიანი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ (1959), „საიათნოვა ქართულ პოეზიაში“ (1965), „რუსთველი XIX საუკუნის ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“ (1966), „თეიმურაზ ბაგრატიონის რეგულიდან“ (1960) და სხვ.

ახალი და უახლესი ქართული მწერლობიდან ცალკეული წერილები აქვს დაბეჭდილი გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ს. დოდაშვილის, გ. ერისთავის, რ. ერისთავის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ბაჩანას, თეოდ რაზიკაშვილის, აღ. ყაზბეგის, ა. ფურცელაძის, შ. მღვიმელის, დ. ყიფიანის, დ. მაჩაბლის, დ. კვლიაშვილის, ვ. ბარნოვის, გალაკტიონის, გ. ლეონიძის, კ. გამსახურდიას, შ. დადიანის, ტ. ტაბიძის, გ. ქიქოძის, ი. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, ო. ჩხეიძის, ლ. ასათიანის, ანა კალანდაძის, შ. ნიშნიანიძის, მ. ლებანიძის, მკვლევარების - დ. ჩუბინაშვილის, მ. ზანდუკელის, გ. აბზიანიძის, თინათინ ჯინიაძისა და სხვათა შესახებ.

ნაწილი ნაშრომებისა ნოდარს წიგნებად აქვს გამოქვეყნებული - ათამდე წიგნის ავტორია. 1959 წელს გამოცემულ წიგნში „ქართული საბჭოთა პოემა“, რომელიც მისი საკანდიდატო დისერტაცია იყო, ის ჯერ მიმოიხილავს პოემის ისტორიას, დაწვებული ანტიკური ხანიდან, მერე - ძველი და ახალი ქართული პოემის განვითარების გზებს და შემდეგ გადადის დასმულ საკითხზე. ეპოქასთან მიმართებით მეტნაკლები სისრულით გაანალიზებული აქვს ოციათი, ოცდაათიანი, მერე მსოფლიო ომისა და მომდევნო ხანის მნიშვნელოვანი პოემები.

1964 წელს გამოსულ წიგნში „XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოემა“ დახასიათებული აქვს ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“, გ. ერისთავის „ოსური მოთხრობა“ და დ. მაჩაბლის გამოუქვეყნებელი პოემა „მთიული“.

მომდევნო, 1965 წელს ბეჭდავს ამ წიგნის გაგრძელებას - „ქართული პოემა, ნაკვეთი II“, სადაც აანალიზებს ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებულსა“ და „ბანდელილს“ და აკაკის „თორნიკე ერისთავსა“ და „გაშზრდელს“.

1966 წელს გამოსცა წიგნი „რათელი სიყვარულისა“, სადაც გვიჩვენებს იმ უღრმეს სიყვარულსა და აღტაცებას, რომელსაც, სავთოდ და კერძოდ, საიუბილეოდ ა. წერეთლის მიმართ გამოხატავდნენ როგორც საქართველოში (თბილისში, გორში, ქუთაისში, ხონში, ფოთში, სამკერელოს, რაჭა-ლეჩხუმისა და კახეთის სოფლებსა და დაბებში), ისე მის გარეთ (პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ბაქოში...).

1968 წელს გამოცემულ წიგნში „სოლომონ რაზმაძე“ სარქიო მასალებზე დაყრდნობით მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს ამ პოეტისა და მთარგმნელის ცხოვრება და შემოქმედება. თბილისის არქივებში მასალების მოპოვების შემდეგ ნოდარი საგანგებოდ გაემგზავრა პენზაში, სადაც 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის სოლომონ რაზმაძე გადასახლებული იყო, სადაც იგი აღესრულა და დასაფლავებულია. ამ



ბორის დარჩია და ნოდარ ალანია (1974 წ.)



ალექსანდრე ვახუშტის მუზეუმის  
ვხობი (1973 წ.)

მივლინების დროს ჩავიდა ვიატკაში, გაეცნო საარქივო მასალებს სოლომონ ლოდაშვილზე და მისი საფლავიც მოინახულა. ორივე ქართველ მოღვაწეს სანთლები დაუნთო და მღვდელს წირვა აღავლენინა.

ამავე წელს ბეჭდავს აგრეთვე უადრესად საჭირო საცნობარო-სამაგიდო წიგნს „ნიკოლოზ პარათაშვილის ბიბლიოგრაფია“, რომელიც 1852-1967 წლებს მოიცავს.

ნოდარი თანავეტორია ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემული „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ექვსტომეულის მესამე და მეოთხე ტომებისა (1969, 1974 წწ.). მას ეკუთვნის სტატიები: „სოლომონ რაზმაძე“, „დავით შაჩაბელი“, „ვახტანგ ორბელიანი“, „კირილე ლორთქიფანიძე“, „სერგეი მესხი“, „ეკატერინე გაბაშვილი“, „თედო რაზიკაშვილი“. თანავეტორია აგრეთვე ამავე ინსტიტუტის მიერ მომზადებული „ლიტერატურის მცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონისა“ (1966), რომელიც შეესებოდა სახით მეორედ 1972 წელს გამოვიდა სახელწოდებით „ლიტერატურის თეორიის მცირე ლექსიკონი“ და განკუთვნილი იყო საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეებისა და ლიტერატურის მოყვარულთათვის.

ნოდარის წერილები და რეცენზიები ეხება ქართული ჟურნალისტიკის, პედაგოგიკის, თეატრალური ხელოვნებისა და სხვა საკითხებს: „ჟურნალ «ცისკრის» ახი წელი“ (1952), „პირველი ქართული გაზეთი გორში“ (1963), „პოზია გაზეთ «კვალში»“, „ი. ჭავჭავაძის «განდევნილის» სწავლებისათვის“ (1956), „ი. ჭავჭავაძისა და ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებითი ურთიერთობის სწავლებისათვის“ (1962), „თბილისის სომხური თეატრის წარსულიდან“ (1958), „ქართული სპექტაკლები პეტერბურგსა და მოსკოვში“ (1958), „«ქრისტინე» სომხურ სცენაზე“ (1959), „საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის“ (1961), „მოთხრობა განაწამებ სპორტსმენებზე“ (1961) და ა. შ.

ნოდარი ავტორია სხვადასხვა საცნობარო და პოპულარული ხასიათის ნაშრომებისა. შეადგინა და გამოსცა: ლ. მახარაძესა და ჯ. დადიანთან ერთად ალბომი „ილია ჭავჭავაძე, პორტრეტები და ილუსტრაციები“ (1959), ბუკლეტი „ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში“ (1962), ალბომი „ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და შემოქმედება, საგამოფენო მასალები სკოლებისა და საბავშვო ბიბლიოთეკებისათვის“ (1987), წინასიტყვაობებით ზურაბ ანტონოვის თხზულება „მზის დაბნელება საქართველოში“ (1955) და ვარლამ მალაქიაშვილის (ხუროდის) თხზულებანი (1970), წინასიტყვაობით, ლექსიკონითა და შენიშვნებით რაფიელ ერისთავის თხზულებათა კრებული (1974), „ილია ჭავჭავაძის რჩეული“ ორ წიგნად (1974, 1975). „სოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ სერიით ივანე ლოლაშვილთან ერთად შენიშვნებითა და კომენტარებით ქართველ რომანტიკოსთა თხზულებების კრებული (1978) და სხვ.

ნოდარის ყველა ნაშრომი, რომელთაგან ნაწილი რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული, შესრულებულია მეცნიერული სიღრმითა და სიფართოვით, დიდი გემოვნებით, უაღრესად ნათელი, დახვეწილი ენითა და სტილით. როცა ნოდარს ვინმეს ნაშრომი ენობრივად არ მოეწონებოდა, თქმა იცოდა, დაწოლილმა უნდა წაიკითხო... თორემ წაიქცევიო.

ნოდარი შესანიშნავი ორატორი გახლდათ. ხშირად გამოდიოდა ლექციებითა და მოხსენებებით წარმოება-დაწესებულებებში, რადიოთი და ტელევიზიით...

ჩვენი დავაწმომოსილი წინაპრების ყველაფერი აინტერესებდა. სანკტ-პეტერბურგში ვახუშტი ბაგრატიონის რაღაც (არ მახსოვს, რა) მემორიალს ეძებდა და ამას იმდენად თავგამოდებით აკეთებდა, ქალაქის საბჭოში მისთვის ისიც კი უკითხავთ, თქვენი ნათესავიაო? როცა საიდანღაც შეიტყო, მანანა ორბელიანის საფლავის ქვა დააზიანესო, სასწრაფოდ წავიდა კუმისში (მე დარეზო გოგელია თან გაგვიყოლია), დარწმუნდა ცნობის სიმართლეში და პრესით განგავში ატეხა.

როცა პოლიკარპე კაკაბაძე დავასაფლავეთ, რამდენიმე კაცი მშრალ ხილთან, მტკვრის პირას რესტორანში წაგვიყვანა და მთელი საღამო ამ უდიდესი დრამატურგის შემოქმედების ფანტასტიკურ სამყაროში ვგატარა.

ნოდარი ბევრ რამეში სხვებისთვის უხილავს აღმოაჩენდა. ამ მხრივ თავისი უცნაურობებითაც გვხიზლავდა. აგროვებდა და კარგა ბლომად შექმნა ვირების სურათებისა და სტატუეტების კოლექცია, რომელსაც ყველანი დიდი ინტერესით ვათვალიერებდით. ამ უცნაურობაშიც იყო პოეტური ხიზლი.

თავისი უშუალოებით, გულწრფელობით, გულისხმიერებით, ავკარგავანობით, სიყვარულით და, რაც მთავარია, პოეტურობითა და ინტელექტით იგი ყველას ყურადღებას იპყრობდა. დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა. ეს გარეგნობით არაფრით გამორჩეული კაცი უდიდეს სულიერ ძალას, შინაგან სიღამაზესა და მომხიბვლელობას ამჟღავნებდა. ვის არ იცნობდა და ვინ არ მეგობრობდა მას! ცხადია, ძირითადად ისინი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და სხვა შემოქმედებითი დარგის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ მათში ისეთებიც ერივნენ, გაგიკვირდებოდათ. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთთაგანი იყო აზერბაიჯანელი ჯვალისა აგაჯანოვი, რომელიც მალაზის ექსპედიტორად მუშაობდა. ლხინსა და ჭირში ის ჩვენ გვერდით იდგა. ასევე იყო ნოდარი (და ჩვენც) მის მიმართ. მამამისის გასვენებაში გვერდიდან არ მოვშორებივართ,





ხოლო ნოდარის გარდაცვალების კარგა ხნის შემდეგ, როცა თვითონაც გარდაიცვალა, ცოცხლად დარჩენილმა ნოდარის მეგობრებმა სამარემდე მივაცილეოთ იგი.

როგორც ყოველმხრივ ტოლები, ისე დადიოდნენ ერთად ტანმორჩილი ნოდარი და ორმეტრიანი კალათბურთელი რეზო გოგელია. ახლაც უხერხულად ვიმშუშნები, როცა გამახსენდება რეზოს გულითაღობა და თავმდაბლობა, – ნოდარის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრაპეზობაზე ხელი რომ არავის გაგვკანძრევინა და გვემსახურებოდა.

როცა ნოდარს ვინმესგან რამე არ მოეწონებოდა, თვალს არავის მოუხუჭავდა, ირონით გააკვივავდა და ჩხუბსაც არ მოერიდებოდა. ერთხელ შოთა მიქაშაიძეს რაღაცაზე ისე შეუტია, მეგონა, ჩხუბი ატყდებოდა. მაგრამ, რადგან ნოდარი მართალი იყო, შოთამ ქუთაისურად დაუყვავა: ნოდარა, შენი ჩანჩხალი ღმერთმა ნუ მომიშალოსო.

ნოდარი, როგორც იტყვიან, თხემით ტერფამდე ლიტერატორი გახლდათ. ახალგაზრდობისას თვითონაც წერდა ლექსებს, მაგრამ მათი დაბეჭდვა არასოდეს უცდია. ეს იყო, სუფრაზე იცოდა გამომშეურება. ზოგი მათგანი სატრფიალო შინაარსისაა. ერთ-ერთი ასე იწყება:

„ზარ ჯიოკონდა ცისფერ თვალებით,  
შენს გამოხედვას ცივად ვდარაჯობ,  
ვიცი, არა ხართ სანდო ქალები,  
შენს ღიმილს მაინც მღელვარედ ენატრობ!“

ზოგი ლექსი უმორისტული შინაარსისაა. სტუდენტობისას დაწერილ ერთ ლექსში თბილი და ხალისიანი ფერებით არის დახატული მისი ლექტორები.

ნოდარმა ზეპირად იცოდა ქართული (და არა მარტო ქართული) ლირიკის შედევრები. არცერთი ახალი კარგი ლექსი არ გამორჩებოდა, მთელი ძალით იგრძნობდა და სხვებსაც განაცდევინებდა მათ მშვენიერებას. მის მოსმენას არაფერი სჯობდა, მეტადრე ლხინში, მით უფრო, თუ იქვე იმყოფებოდა დიდებული პიროვნება, ბრწყინვალე ლიტერატორი და მეცნიერ-მკვლევარი, მომდერალი, მოცეკვავე და ლექსების მოქმელი გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძე. ორივე ბრწყინვალე დეკლემატორი გახლდათ, რომელთათვისაც უცხო იყო სცენისათვის რამდენადმე დამახასიათებელი ხელოვნური, განწყებული ზეაწეულობა. ორივენი თავიანთი სისხლხორცეული უშუალოებით გამოირჩეოდნენ. უყვარდათ გალაკტიონის, გ. ლეონიძის, კ. გამსახურდიას, ლ. ასათიანის, ანა კალანდაძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილისა და სხვათა და სხვათა საუკეთესო ლექსების თქმა. ბევრჯერ მინახავს, რა კმაყოფილი და ნეტარი სახით უსმენდა მათ გიორგი ლეონიძე. ბევრი ჩემთვის უცნობი ლექსი პირველად მათგან მოვისმინე და შევიფარე. ახლაც თვალწინ მდგას, საკუე ჭიქით ხელში ფეხზე მდგომი ნოდარი მთელი განცდით ამბობს კოლაუ ნადირაძის ლექსს „ორი ქოჩორა“:

„ორი ვარია, ორი ქოჩორა,  
ერთი ნაცარა, მეორე ჭრელი,



ვიყიდე ერთხელ, ცოლმა მოჭორა,  
რომ იყვნენ ერთობ ძვირი და ხმელი...“

ბორის დარჩია, ნოდარ ალანია  
ნოდარის მუდღის, ქალბატონ ლილი  
გოგობიას ძმისწულთან, ძაბული  
(ლია) გოგობიასთან ერთად (1972 წ.)

ძალიან მოგეწონდა და ხშირად ვამეორებინებდით იუმორისტულ ლექსს  
„ჰიმნი ლობიოს“, რომელიც ასე იწყება:

„ჩვენი მგონები კოცნაზე წერენ,  
გაიძახიან: ჰოი, სოფოი!  
შენ დაგივიწყეს პილპილმოყრილო,  
ამოლესილო ჩემო ლობიო...“

გვეგონა, მისი იყო. ბოლოს გაგვიმხილა, სანდრო შანშიაშვილისაა, ცოტა  
ჩემებურად გაეჩარხეო.

უნგრელი ქართველოლოგი მარტონ იშტვანოვიჩი პეცებოდა: უნგრეთში  
ყოფნისას ნოდარს რესტორანში სკამზე შემდგარს ქართულად წარმოუთქვამს  
შანდრო პეტევის საკმაოდ გრძელი ლექსი „მიყვარხარ“ (თარგმანი გრიგოლ  
აბაშიძისა):

„მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ,  
მიყვარხარ ცხადად, მალეით,  
როგორც აროდეს არვინ  
არ ყვარება არვის...“

იმდენად შთაბეჭდვად წარმოუდგენია მას ეს ლექსი, რომ მთელი დარბაზი  
გასუსული უსმენდა და დამთავრების შემდეგ თავიანთი აღტაცება მხურვალე  
ოვაციით, – ტაშით, ხელის ჩამორთმევითა და კოცნით გამოუხატავთ.



მირიან აბულაძე, გრიგოლ  
 კაკიაშვილი, ზორის ღარჩია, ნოდარ  
 ალანია, გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძე  
 (1974 წ.)

ნოდარი ზოგჯერ მეგობართა ვიწრო წრეში ხუმრობით თავისებურად  
 გადააკეთებდა და თავის თავს დაუკავშირებდა ამა თუ იმ ლექსს. ერთხელ  
 ანა კალანდაძის ლექსი ასე შეცვალა:

„თუ დავიხრჩეები, ღვინომ დამახრჩოს,  
 ვგავლე ყაყაოს სათის ხალიანს,  
 ძლივს მობარბაცებს მთვრალი ყაყაო,  
 ნოდარ ალანია!“

იოსებ გრიშაშვილის ლექსს ასე ამოობდა:

„საქართველო ბეჭედა ბაჯაღლო,  
 ალანია შიგ ჩასმული ბადახში...“

ნოდარი უაღრესად პურმარილიანი კაცი იყო. ჯიბეზე ხელის გაკვრას  
 პერავინ მოასწრებდა. უყვარდა მეგობრებთან ერთად სუურაზე ყოფნა და

იქ პოეზიასა და სილამაზესთან ზიარება. ერთ თავის ლექსში, რომელსაც „შესანდობარი“ ჰქვია, იგი წერს:

„ნუ მსაყვედურობ!  
რა ვუყოთ, რომ ღვინოს ვსვამ ხშირად,  
არა ვარ ლოთი, გუეციები, თუმც მიყვარს ღვინო,  
ოცნების ალმა ნელღი გული დამინახშირა,  
არ მსურს ფხიზელმა თვალთა სარკეს ცრემლი ვადინო.  
ნუ მსაყვედურობ!  
შენც აიღე ხელში სასმისი,  
ღვინოთ დავლოცოთ მზე, სიკვდილი, ღამე და დარი,  
ნუ მსაყვედურობ!  
დამიზამთრდა გულის მაისი,  
დავლით ჩემი დანისლული შესანდობარი!“

ერთ „შაბათობაზე“ ინსტიტუტის თანამშრომლები ცხრა აბრილის (როგორც მაშინ ეძახდნენ, კომუნარების) ბაღში დასასუფთავებლად და დასაბარავად წავიყვანეს. საქმეს რომ მოვრჩით, რამდენიმე კაცი იქვე ბაღის მხრიდან სასტუმრო „თბილისის“ ქვეშ მდებარე სასაუზმეში შევედით. საესე, მოვყვანე დარბაზში, როგორც იქნა, თავისუფალი ადგილი ვიშოვეთ და მოვრჩი, დაბალ სუფრას მივესხედით. თამალობს ნოდარი, მისებურად, მთელი პოეტური ეშხით. მესამე თუ მეოთხე სადღეგრძელოზე გვერდით შორიახლო სუფრაზე მსხდომი ბიჭებიდან (იქნებოდნენ 18-20-22 წლისანი) ერთი მოგვიახლოვდა და გვთხოვა: თქვენს სადღეგრძელოებს ყურს ვუვადებთ და ვიმეორებთ, მაგრამ კარვად არ გვესმის. თუ ნებას დაგვრთავთ, სუფრას მოვანჩოჩებთ და მოვიმენთო. რამდენადაც შესაძლებელი იყო, ასეც ვქენით. ნოდარი ახალგაზრდებს ყურადღებას არ აკლებდა და მათი სადღეგრძელო-ბავც მოწიწებითა და ამაღლებულად შესვა.

ნოდარისათვის ლექსი არამარტო სულიერი მასაზრდოებელი იყო, გადამრჩენელიც აღმოჩნდა.

1973 წლის II ივნისს მაშინდელ ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებისას ნოდარს ქუჩაში წყლულიანი თორმეტგოჯა ნაწლავი გაუსკდა. სასტუმროში ძლივს დაბრუნებული დროდადრო გონებას კარგავდა. ბედად იქ სამეცნიერო მივლინებით მყოფი ენათმეცნიერი ვაჟა შენგელია გადაეყარა, რომელმაც უმაღლეს სასწრაფო დახმარებას გამოუძახა. ისიც ბედად იყო, იმ დღეს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამედიცინო აკადემიის პოს-პიტალური ქირურგიის ინსტიტუტი მორიგეობდა. ბედად იმიტომ, რომ ეს სამკურნალო დაწესებულება ასეთ საქმეს არცთუ ხშირად ასრულებდა და თანაც თავისი სამედიცინო აღჭურვილობითა და კვალიფიციური კადრებით იგი ჩვეულებრივ საავადმყოფოებზე გაცილებით მაღლა იდგა.

ოპერაცია დაუყოვნებლივ უნდა გაკეთებულიყო, ნოდარი კი ოპერაციაზე უარს ამბობდა და გაიძახოდა, თბილისში გადამაფრინეთო. ქირურგმა ანატოლი კურიგინმა, რომელიც ბრწყინვალე დასტაქარი და ადამიანი აღმოჩნდა, ნოდარს აუხსნა: ათ წუთში გონებას დაკარგავ, მაინც გავჭრიო, მაგრამ გვიანი იქნება და მოკვდებიო. ნოდარმა ესენინის ლექსით უპასუხა: „В этой жизни умирать не ново“.





კურიგინი ესენინის სოფლელი ყოფილა, მის პოეზიაზე უზომოდ შეყვარებული. მაშინვე მიხვდა, მისი პაციენტი რიგითი მოქალაქე არ იყო, თავი გადაღო, როგორც განყოფილების გამგემ, თანხმობაზე ხელი თვითონ მოაწერა, ოპერაცია გაუკეთა და მორიგე ექიმთან ერთად მთელი დამე უთია. ოპერაცია იმდენად რთული და დაგვიანებული ყოფილა, ამ დროს, თურმე, ათასში ერთი თუ გადარჩება და ეს ერთიც ნოდარი აღმოჩნდა.

დილითვე, როგორც კი ეს ამბავი ნოდარის მეუღლემ, ლილი გოგოხიამ, გაიგო, ლენინგრადში გადაფრინდა, მას მირიან აბულაძე გაკავა.

ნოდარმა თავისი გადარჩენის ეს დღე, II ივნისი, თავის მეორე დაბადების დღედ გამოაცხადა და მას ყოველ წელს აღნიშნავდა. კურიგინი, რა თქმა უნდა, დაიმეობრა და მასთან ახლო და მშური ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. კურიგინის სახელი ჩვენთვის, ნოდარის შეგობრებისთვისაც, ახლობელი გახდა და ნოდარის გარდაცვალების შემდეგაც, ნოდარისადმი მიძღვნილ ყოველ შეხვედრაზე მის სადღეგრძელოს დიდი მოწიწებითა და სიყვარულით ვსვამთ.

„ლექსი“ იყო ბოლო სიტყვა, რითაც ნოდარი ამქვეყნას გაშორდა.

1976 წლის ზაფხულში ნოდარს პაერის უკმარისობა დასწემდა. ძალე გამოჩნდა, უკურნებელი სენი, ფილტვების სიმსივნე, შეკეროდა. ლილიმ და ცოტნე კიკვიძემ ნოდარი ისევ ლენინგრადში წაიყვანეს და კურიგინის დახმარებით იმავე საშხედრო სამედიცინო აკადემიის პნევმოლოგიის ინსტიტუტში დააწვიეს. ნოდარის სანახავად ლენინგრადში სხვადასხვა დროს ჩავიდნენ გურამ ბარნოვი, მიხეილ ქავთარია, ოთარ გაგუა. იქ მივლინებით იმყოფებოდა და მასთან ხშირად დადიოდა ბენო ლობორჯინიძე. ბოლოს მირიან აბულაძე ჩაფრინდა და ლილის ავადმყოფის მატარებლით შინ ჩამოყვანაში დაეხმარა.

მკურნალობას რაიმე უკეთესობა არ გამოუწვევია. ნოდარი უფრო და უფრო უარესად ხდებოდა და საშინლად იტანჯებოდა. ვხედავდით, სიკვდილი ძალიან ახლოს იყო, მაგრამ 20 ნოემბერს (მისი დაბადების დღემდე ერთი კვირით ადრე), როცა საღამოს მისგან წამოვედი, მას არ მოველოდი. მოგვიანებით ტელეფონით ამბავი ვიკითხე და მაცნობეს, ისე ცუდად არის, ამაღამ ვერ გააწვესო. უმაღლე წავედი. უამრავი მნახველიდან, ყოველდღე რომ მოდიოდნენ, ღამის სათევად რამდენიმე დარჩენილიყო. ნოდარს თავზე ისევ მისი მეგობარი და მკურნალი ექიმი ოთარ ზენაიშვილი ადგა.

მისუსტებული და მიმქრალი ნოდარი მიხვდა ჩემი მისვლის მიზეზს და მკითხა, ამ შუალაშეს რამ მოგიყვანაო. თავი ვიმართლე, აქვე ახლოს მეგობართან შემოვრჩი და გამოვარე-მეთქი.

მაჯა ძლივს უფეთქავდა, თვალების გახელა უჭირდა. ნემსს რომ გაუკეთებდნენ, ოღნავ გამოცოცხლდებოდა, მაგრამ ეს დროც მომეტებულად მცირდებოდა, ცოტა ხანში სულ მიწყდა და ხმასაც ვეღარ გვცემდა. სულის ამოხდომას რომ შევყურებდით, მოულოდნელად ნოდარმა ჩაილაპარაკა, — ჯავახიშვილს ბოდიში უნდა მოვუხადოთო.

მაშინ საქართველოს რუსეთთან შეერთების 200 წლისთავის იუბილეს აღნიშვნისათვის დიდი ზარ-ზეიმით ემზადებოდნენ. რამდენიმე დღის წინ მაშინდელი ჩვენი მთავრობის პირველმა პირმა, ელვარდ შევარდნაძემ, დიდ რესპუბლიკურ ფორუმზე ივანე ჯავახიშვილი გააკრიტიკა. ივანეს (რამდენადაც ვიცი, იოსებ სტალინის) დებულებაზე, საქართველოს რუსეთთან





ნოდარ ალანია, ბორის დარჩია, გლაკტიონ (კუსა) სიხარულიძე (1968 წ.)

შეერთება ნაკლები ბოროტება იყო, ის ამბობდა: რას ჰქვია ბოროტება, ნაკლები ბოროტებაც ბოროტებაა და ამის თქმა ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენაზე არ შეიძლებაო. ნოდარის საწოლთან შეკრებლები ამაზე ბევრს ვლაპარაკობდით და ნოდარიც და ჩვენც მძაფრ უკმაყოფილებას გამოვხატავდით. ჩანს, ნოდარს სიკვდილის ფაშს ეს ამავე უტრიალებდა თავში და ამის გამო მოითხოვდა ჯავახიშვილისათვის ბოდიშის მოხდას.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნოდარმა ისევ შეძლო ხმის ამოღება. ჩაილაპარაკა, ლექსი გათავდაო და... თვითონაც გათავდა.

დაიხ, ნოდარმა მთელი ცხოვრება სამშობლოზე, სამართლიანობაზე, პოეზიაზე ზრუნვაში გალია და მათზე ფიქრით გაშორდა მას!

მაგონდება ტარიელ ჭანტურიას ლექსი „აკაკის წამოსვლა ქუთაისიდან“, რომელიც ავტორმა ნოდარს სიცოცხლეშივე მიუძღვნა. დღეს ამ ლექსს ნოდარის გარდაცვალებაზე დაწერილად და მასთან განშორებით გამოწვეულ ტკივილის გამომხატველად აღვიქვამ:

„შენ რომ წადი, წყალწითელამ  
თვალი ცრემლით დაისია!  
განშორება არ იგლოვოს,  
აბა, რა ქუთაისია!..  
შენთან ყოფნა დილა იყო, —  
უშენობა დაისია...  
რა იოლად ჩამომჭვანარა  
ის მიმოზა და ის ია!  
უშენობა არ დაეტყოს,  
აბა, რა ქუთაისია!“

დასასრულ, რადგან ნოდარი სიცოცხლის უაღრესად მოყვარული, ხალისიანი, იუმორის ფრიად დამფასებელი და ამ გრძნობით დიდად დაჯილდოებული იყო, გავიხსენებ ზოგიერთ შესაბამის ამბავს, რომელიც მას გადახდა ან მის სახელთან არის დაკავშირებული.

\*\*\*

ნოდარს არ გამოეპარებოდა იუმორით ოდნავ შეფერადებული სიტყვა თუ შემთხვევა, მაშინვე აიტაცებდა და წინ წამოსწევდა მას. ერთხელ, ერთ ჩვენს საერთო მეგობარზე, რომელსაც თავის მოვლა ძალიან უყვარდა, ბნელ ღობორჯგინიძემ თქვა: იგი, ბიჯო, ყურძენს იმიზა ჭამს, რომ იცის, სასარგებლოა.

ნოდარი ამ უწყინარ, მაგრამ ფრიად დამახასიათებელ ხუმრობას სშირად ივინებდა და ღიმილით იმეორებდა.

\*\*\*

ნოდარი, ახალბედა სტუდენტი, რამდენიმე მეგობართან ერთად პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საერთო მეგობრის სანახავად მივიდა. როცა გარეთ იდგა და მის გამოსვლას ელოდებოდა, შავებში ჩაცმული ქალი მოახლოვდა და მკვეთრი მგერული აქცენტით შეეკითხა: შვილო, ჯანმრთელი ხომ ხარო. ნოდარი გააკვირვა ამ შეკითხვამ, მაგრამ მალე გაირკვა, რაც უცნობს აწუხებდა:

– ჩემი შვილი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აბარებს, – აუხსნა ქალმა, – ყველა საბუთი აქა მაქვს, ოღონდ ჯანმრთელობის ცნობა მაკლია, თვითონ სოფელშია, ჩამოსვლას ვერ ასწრებს და იქნებ სამედიცინო შემოწმებაზე მის მაგივრად გახვიდეო.

ნოდარი მაშინვე უყოყმანოდ დათანხმდა და კომისიაზე გავიდა.

– შენ ხარ, ბიჯო, არსენა? – როცა ქაღალდს ჩახედა, გაფართოებული თვალებით ეკითხება სამედიცინო კომისიის თავმჯდომარე.

– დიახ, მიუგო ნოდარმა.

ეს შეკითხვა რომ ისევ და ისევ გაუმეორეს და ნოდარიც ერთსა და იმავე „დიახს“ ბეჯითად გაიბახოდა, კომისიის წევრებში ჩოჩქლი ატყდა და თავმჯდომარემ რისხვით წამოიძახა:

– ასეთი აფერისტობით შოულობ ხომ ფულს!?

... და ნოდარი დააბატირეს.

თურმე ეს არსენა ტუბერკულოზიანი ყოფილა, სამედიცინო შემოწმებაზე რამდენიმეჯერ გასული და „ღაბრაკული“.

ნოდარის დაკავების ამაჟამა გარეთაც გამოაღწია. მაშინ პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი არტემ ბოჯუგვა გახლდათ, მის ერთ ქალიშვილს ნოდარი და მისი მეგობრები იცნობდნენ და ერთ-ერთი მასთან გაიქცა.

დაბატონებულ ნოდარს გაახსენდა, რომ შინ ანთებულ ნათქურაზე მოსახარშავად ღობითი ჰქონდა შემოდგმული და ნერვიულობამ კიდევ უფრო აიტანა.

რამდენიმე წნის შემდეგ ნოდარი გაათავისუფლეს. მაშინ ის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის ზედა თავში, დეიდასთან, ცხოვრობდა. ომი ახალდამთავრებული იყო, ტაქსი და სხვა ტრანსპორტი იშვიათად დადიოდა და ნოდარი შინისაკენ ფეხით, სირბილით გაეშურა. მივიდა და... ღობით დაქება დამწვარ-დახრუკული დახვდა.

\*\*\*

სტუდენტობისას, სტუდენტობისას, სტუდენტობისას შინ რომ რჩებოდა, უფრო კი, ალბათ, ახალგაზრდული ონავრობით, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კა-



რისკაცს, როგორც ვეძახდით, მია მოსეს, რომელიც მეორე სართულზე ასასვლელ კიბესთან ხარისხის თავში იდგა და უსტუდობილეთოდ არავის ატარებდა, ნოდარი ჩქარი ნაბიჯებით ჩაუვლიდა, არც შეხედავდა, საქმიანი ხმით მიუგვებდა – ალანიასთან მივდივარო და გზას განაგრძობდა. ამას ისე თამამად და დამაჯერებლად აკეთებდა, მია მოსე ერთხელაც არ დაინტერესებულა, ვინ იყო ეს ალანია, ვისთანაც მისვლა ასე დაუბრკოლებელი უნდა ყოფილიყო.

ერთხელაც, უნივერსიტეტის გამორჩენილ რექტორს, ნიკო კეცხოველს, ნოდარი თავის კაბინეტში რაღაც საქმეზე ჰყავდა გამოძახებული. საუბარი ცოტათი მას შემდეგაც გაუგრძელდა, რაც ლექციების დაწყების ზარი დაირეკა. არ გაგატარებუნო, ბატონმა ნიკომ გაყოლა დააპირა. ნოდარმა, ნუ შეწუხდებით, არ მინდაო, ღერუფანი სწრაფად განვლო და ნაცადი ხერხით მია მოსეს ჩაუარა.

– მოიცა, მოიცა! – მოესმა ნოდარს რექტორის ხმა, რომელიც მას უკან მიჰყოლოდა.

– რატომ გაუშვი ასე დაგვიანებული და თანაც უსაბუთოდ? – ბატონი ნიკო მია მოსეს მიადგა.

– რა ვიცი, კაცო, მითხრა, ალანიასთან მივდივარო! – დაიბნა მია მოსე. ნოდარმა ბატონ ნიკოს გულახდილად გაუხილა თავისი ეშმაკობა. ამის შემდეგ ნოდარი მია მოსესა და სხვა კარისკაცებსაც დაუახლოვდა და სტუდობილეთს მას კვლავ აღარავინ სთხოვდა.

\*\*\*

ესეც ნოდარის სტუდენტობისდროინდელი ამბავია. ის იაგო ვარდოსა-ნიძესთან ერთად ახლანდელ დიმიტრი უზნაძისა და მაშინდელ კამოს ქუჩაზე ბეჟან ჯაფარიძესთან იმყოფება. რაღაცასთან დაკავშირებით ავლიბი ზურაბაშვილზე, როგორც დიდ ფსიქიატრზე, ჩამოვარდა სიტყვა. ნოდარმა თქვა: კი, მჯერა, რომ უდიდესი სპეციალისტია, მაგრამ შემიძლია მოვატყუო და თავი გიჟად მოვაჩვენო. მაშინ ნოდარი უნივერსიტეტის თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობდა და გარდასახვის უნარი გამაზვილებული ჰქონდა. მეგობრები არ დაეთანხმნენ: ფსიქიატრებმა იმდენი ნიუანსი იციან, ვერაფერს გამოაპარებო. დადეს სანაძლეო პურმარხზე.

იქვე იყო ფსიქიატრიული საავადმყოფო და გადავიდნენ. ბეჟანის მამა, ვიქტორ ჯაფარიძე, რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი და, როგორც თერაპევტი, ფსიქიატრიული საავადმყოფოს კონსულტანტი გახლდათ. ბეჟანი ავლიბთან მამის სახელით მივიდა: ჩვენს ბათუმელ მეგობარს, ახალგაზრდა მწერალს რაღაც გადახრებს გამჩნევთ და მოვიყვანეთო. ის იყო ბატონ ავლიბს ვიღაც ავადმყოფზე კონსილიუმი დაემთავრებინა, ჯერ არ დაშლილიყვნენ და ნოდარიც იქვე მიიღეს.

– რა გაწუხებთ, ყმაწვილო? – ეკითხება ბატონი ავლიბი ნოდარს.

ნოდარი „მოწყენილი“, თავჩაღუნული ზის და მარცხენა ტუჩსა და ლოყას ზევით და ქვევით ათამაშებს.

– როცა დავდივარ, ქვევიდან ხმები მესმის, ვიღაც მეძახის, ნოდარ, ნოდარო, – ხმადაბლა, დაყოვნებით, თავაუღებლივ პასუხობს ნოდარი.

– როგორია ეს ხმები? – ისევ ბატონი ავლიბი სვამს კითხვას.

– ნოტიო ხმებია, – კვლავ პაუზით ჩაილაპარაკა „ავადმყოფმა“.





– თქვენ ჭკვიანი, განათლებული ყმაწვილი ბრძანდებით, განა შეიძლება ხმები ნოტიო იყოს? – საუბარში ჩაერია კონსილიუმის ერთ-ერთი მონაწილე. ნოღარი უცებ ზეზე წამოიჭრა, თვალები გადმოკარკლა და „ნერვებაშლილმა“ დაიყვირა:

– თოფილე გოტიეს თუ აწუხებდა ყვითელი და ლურჯი აზრები, მე არ შეიძლება სველ-სველი ხმები მომიდიდეს?!

საუბარი აღარ გაგრძელებულა. ბატონმა ავლიპმა ბეჟანი განზე გაიხმო და ღატოვე, დავაწვინოთო, უთხრა.

ბეჟანმა მოიმიზეზა, ბათუმში ოჯახს ვავაგებიანებო, მოვამზადებო და მოვიყვანოთ, და მადლობით გამოემშვიდობა.

იმ საღამოს ნოღარს 40 გრადუსამდე სიცხე მისცა. ბოღავდა. ორი-სამი დღე ყმა მიღრიცილი ჰქონდა, თავებუ ესხმოდა. სანამდღო მხოლოდ თვის თავზე მოითხოვა და მაშინ კი ბიჭებმა კარგად მოიღხინეს.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბეჟანს მამა ეკითხება: ვინ ავადმყოფი გყავდათ ავლიპთან, სად არის და რას შერება ახლა ისო.

ბეჟანი დაიბნა და მიკიბ-მოკიბა, ნოღარის ამხანაგი იყო ბათუმიდანო. ვიტქორმა იფნოსა, ახლავაზრდებმა რაღაც იემშაკესო და შვილს თითი დაუქნია, მეტად აღარ გაბეღოთ ასეთ რამო.

\*\*\*

ნოღარის ერთი მეგობარი დაბადების დღეს იხდიდა და სურსათის ყიდვასა და მოტანაში ნოღარიც ეხმარებოდა. ხელსაყრელ ფასში თევზი რომ ვერ იშოვეს, თუბილარმა გამოაცხადა, თევზი ამოვარდაო. საღამოს რომ გოჭხეც იგივე გაიბოროა, ნოღარმა უთხრა: მაშინ „უფაჩკები“ ვიყიდოთ და სტუმრებს დავერიგოთო.

\*\*\*

ერთ დღეს შალვა ნუცუბიძე, რომელიც იქვე გვერდით ცხოვრობდა, ლიტერატურის ინსტიტუტში გვეწვია და ლიტერატურის თეორიის განყოფილების ოთახში შევიდა. ხელში ბზის ტროსტი უჭირავს. განყოფილების ხელმძღვანელი მამია დუღუჩავა და ყველა იქ მყოფი დიდი მოწიწებით შეეგებნენ მას.

– რომელია ნოღარ აღანია? – იკითხა სტუმარმა.

გივი ლომიძე ოთახიდან გავარდა და ნოღარი მოიყვანა, რომელიც მოკრძალებით წარუდგა ლეგენდად ქვეულ მეცნიერს.

– ამას ხომ ხედავ, ზურგზე გადაგამტკრევე! – ბატონმა შალვამ ტროსტი მრისხანედ აღმართა. ყველა შეცბა.

– ახლა არავინ არაფერს კითხულობს, – განავრძობს ბატონი შალვა, – ყველა წერს, შენ რამ წაგაკითხა ჩემი წერილი?!

თურმე იმ დღეებში ბატონი შალვას წერილი გამოქვეყნებულა, სადაც აკაკის ლექსი უნებლიეთ ილიას მიეწერება, თუ პირიქით. ეს შეცდომა ნოღარს შეუძნევეია და პატარა ბარათით ავტორისათვის უცნობებია. თან დაუყოლებია, თქვენმა მტრებმა ბოროტად არ გამოიყენონ, გაასწოროთო.

ბატონი შალვა ნოღარის გასაცნობად და მადლობის სათქმელად მობრძანებულიყო.



\*\*\*

ვაკის პარკის რესტორანში სუფრა გაშლილი. უმეტესად მწერლები არიან თავმოყრილი. დაპატივებული გახლდათ ნოდარ ალანიაც, რომელიც იმ დღეს მისალბე გამოცდაზე იმყოფებოდა და აგვიანებდა. წინა დღეებში თბილისში ხმა დაირხა, მისალბე გამოცდაზე ქრთამის აღებისათვის დანობირილი ფულით ესა და ეს დაიჭირესო. ამაზე საუბრისას უცებ ჯანსუღ ჩარკვიანი სერიოზული ხმით ამბობს: რომ არ ჩანს, ნოდარ ალანიაც დაჭერილი არ იყოსო. ერთ ახლობელ მანდილოსანს თვალეხში შიში ჩაუდგა. ნოდარ ღუმაბემ ის ასე დამშვიდა: ნუ გეშინია, ნოდარ ალანია ფულს არ იღებს და მწვალებს არ ნობრავენო.

\*\*\*

სამსახურიდან შინ დაბრუნებული ნოდარი ზედავს მეუღლეს მისი ხალათი გაურეცხავს, ვიბიდან მანამდე ჭორად დარხეული ამის დამადატურებელი ქალის სამიჯნურო ბარათი ამოუღია, მაგიდაზე ჭიქის ქვეშ დაუდგია, თვითონაც მაგიდას უხის და ხელსაქმობს.

ნირწამხდარი ნოდარი სკამზე დაეშვა და გულისფანცქალით ჩხუბს ელოდება. ერთხანს იცადა და შემდეგ მოთმინებადაკარგული ცოლს ეუბნება:

— ლილი, დავიწყეთ, თუ ვიწყებთ, აღარ შემიძლია, გასკდა გული!

ქალბატონი ლილი ის ქალი არ გახლავთ, ამგვარ რამეებს რომ გამოსლევებოდა.

\*\*\*

ლუცინა გუგუშვილი და ილია აბულაძის დისშვილი, ლელია (ქიცი) თუშშალიშვილი, დიდუბის პანთონში ბატონ ილიას საფლავზე მიდიან. გზაში ნოდარი შემოხვდათ, ოდნავ ნასვამი იყო და გოგონები ოჯახში მიიბატიჭა. მათ ოუარეს, ახლა არ შეგვიძლია, პანთონში მივევიართო. თხოვნა და უარი რომ რამდენიმეჯერ გამეორდა, ნოდარმა უთხრა: ახლა აქ პირაღმა დავწყები და პანთონიც აქ იქნებაო.

\*\*\*

ლენინგრადში თორმეტგოჯა ნაწლავზე გაკეთებული ოპერაციის გამო ქორეგმა ანატოლი კურიგინმა ნოდარს მკაცრი და ხანგრძლივი დიეტა დაუნიშნა: ალკოჰოლიან სასმელებს დიდხანს არ უნდა გაკარებოდა. ის კი არა, უთქვამს, ერთ ხანს მაგარი ჩაის დალევასაც ერიდეთ.

ნოდარი დარიგებას თავიდან კარგად ასრულებდა. უსუფროდ ყოფნა მას არ შეეძლო და სუფრაზე რომ არ მოეწყინა, თამადად მას ვაყენებდით (მერედა, რა ნადლი და ცოცხალი სადღევრძელოების თქმა იცოდა!), მაგრამ ასეთ შეზღუდვებს წლამდეც ვერ გაუძლო, ქეიფს თანდათან უმატა და მალე ჩვეულ ფორმაში ჩადგა.

ერთ დღეს, კარგა მაგრად შეზარხოშებული ნოდარი ცოტნე კიკვიმე შინ მიაცილა. ნოდარმა ლილის უბრძანა, სუფრა გაავიშალეთ. ცოტნე შეეზგეწა, ღვინო არ გვინდა, ჩაი დავლიოთო. ნოდარმა თავი მოისაწყვლა და ღიმილით უპასუხა: ხომ იცი შენ, ჩემდა ჩაი არ შეიძლება!



\*\*\*



ნოდარი თავის დაბადების დღეს, 28 ნოემბერს, ყოველწლიურად საკმაოდ გრძელი სუფრით აღნიშნავდა. ბოლოს ამას ოპერაციის, გადარჩენის დღე, II იენისიკ, დაუმატა. როცა 50 წლისა გახდა, დიდი ქვიეთი მცხეთის პრესტიჟულ რესტორანში გადაიხადა. ვინ არ იყო მაშინ იქ?! პირველი თამადა კოტე ჩოლოყაშვილი გახლდათ. ნოდარის გარდაცვალების შემდეგ ეს ტრადიცია ღილიმ განაგრძო, მეუ – ძმამ, ილომ. საფლავზე გასვლის შემდეგ ერთხანს რესტორანში მივდიოდით, რაც დრო აირია, ილოს ბინაში ვიკრიბებოდით. ცოტ-ცოტა ჩვენც მიგვექონდა, მაგრამ ძირითადად ეს ილოს ხარჯზე ტარდებოდა, რისთვისაც ის მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდა. 1994 წლიდან, ილოს გარდაცვალების შემდეგ, ნოდარის ახლო მეგობრები ჩვენ-ჩვენი მცირე ხარჯით ამ დღეს ნოდარის საფლავზე აღვნიშნავდით. გადიოდა წლები და ჩვენი სამო თანდათან მცირდებოდა. გარდაიცვალენ: გურამ აბესაძე, გივი და ვაჟა ჭანიშვილები, მირიან აბულაძე, ანდრო მირიანაშვილი, რეზო გოგელია... ბოლოს დავერჩით: ცოტნე კიკვიძე (2001 წლის მარტში ისიც გარდაიცვალა), გურამ ბარნოვი, ბორის დარსაძე, გივი ლომიძე და მე. ხშირად გვეერთლებიან მიხეილ ქავთარია და თეიმურაზ ღლიაშვილი. ადრე შიგადაშიგ შეძლებისდაგვარად ღლიოდნენ: აკაკი ხინთიბიძე, გალაქტიონ (კუსა) სიხარულიძე, შოთა ვაშაყმაძე. ერთ წელიწადს შოთა ვაშაყმაძემ ცხვარი იყიდა და საბურთალოზე, თავის ბაღში, იქ მოწეული ღვინითა და სხვა ხარჯით ეს დღე თვითონ გადაიხადა (სხვათა შორის, ჩვენი მცირე ჯგუფი ბოლო ორ წლამდე ილოს გარდაცვალების დღეს, 6 აპრილს, მის საფლავზეც გავდიოდით).

2000 წლის 28 ნოემბერია. გაცივებული ვიყავი და გარეთ პირველად წინა დღეს გავედი. თუმცა მძიმე, განუკურნებელი სენითაა დაავადებული, ცოტნე კიკვიძე დილით ტელეფონით მიკავშირდება და ნოდარის საფლავზე გასვლის სათაზე ვთანხმდებით. ვიცი, დღეს კიდევ უფრო ცოტანი ვიქნებით. გივი ლომიძე თბილისში არ არის, გურამ ბარნოვი და ბორის დარსაძე შეუძლოდ არიან.

შინ ჰამიდერის ახალი წინილი მქონდა და ავიღე, სახაჭაპურეში იმერული და ფენოკანი ხაჭაპურები ვიყიდე და ნოდარის საფლავზე ნაადრევად მივედი. სხვა დროსაც ნაადრევად მივდიოდი, რადგან წესად მაქვს, შეკრებამდე იქვე შორიანხლოს მდებარე ჩვენი თანამშრომლების – ელენე ვირსალაძის, ქსენია სიხარულიძის, თამარ ოქროშიძის, იოსებ მეგრელიძისა და დავით გამეზარდაშვილის საფლავებს ჩამოყვლილი ხოლმე. ახლაც ასე გადავწყვიტე: ხელბარგი მინ არ მეტარებინა, ნოდარის საფლავს ზანდუკის მსგავსი რკინის სათავსო ახლავს და შიგ ჩავდევი. ადრე ილო მასში საფლავის მოსაკვლელ ნივთებს ინახავდა და ბოქლომით კეტავდა. ახლა იგი დია დამხვდა. სახურავის ახდისას დაეინახე, შიგ ღვინო და პურმარილი ეწყო. ვიფიქრე, რომელიღაც ჩვენნიანა მოსული და მისი მოტანილი იქნება-მეთქი.

ცოტაც და ცოტნე კიკვიძე, მიხეილ ქავთარია და თეიმურაზ ღლიაშვილი ერთად მოვიდნენ. უნივერსიტეტში სამეცნიერო სესიაზე ვიყავით, იქდან მოვიღეთ, ამიტომ სელცარიელები ვართ, რაც გვაკლია, აქვე ვიყიდეთო. მე უუთხარი: არაფერი არ გვინდა, ვიღაც ჩვენინანს ყველაფერი მოუტანია-მეთქი და სათავსოდან ჩემს მოტანილთან ერთად ამოვალაგე: ოთხი ბოთლი ღვინო, ლავაში პურის, ხაჭაპურისა და ნამცხვრების ნაჭრებით საცხე

პარკი, შემწვარი გოჭის, შემწვარი და მოხარშული ქათმებისა და მწვადის ნაჭრებიანი მერე პარკი, რომელშიც კიტრის, წიწაკისა და ჯონჯოლის წნილიანი პატარა პარკი იყო, და კიდევ მესამე ცალკე პარკი – ზაფხუთი სანახევროდ სახსე კილოიანი მინის ქილით.

ვღვაერთ და ველოდებით პურმარლის მომტანს. ყურადღება მივაქციეთ, რომ საფლავის ქვაზე ნოდარის დაბადებისა და გარდაცვალების შემოკლებით დაწერილი ციფრები „24-76“ (ე. ი. 1924-1976 წწ.) ახლა მეთრენარ თარიღებსაც აღნიშნავდა: ნოდარის გარდაცვალებიდან 24 წელი იყო გასული და დაბადებიდან – 76 წელი.

ამასობაში საფლავების მომვლელებმა ქალმა ჩამოიარა. ვკითხეთ: ხომ არ დაგინახათ, აქ ვინ იყო-თქო. არავინო, გვიპასუხა.

ბოლოს და ბოლოს მოსული გამოჩნდებო, ვთქვით და პური გავტეხეთ. გაღის დრო და არავინ ჩანს. ის იყო შეხვედრას ვამთავრებდით, ბოთლში ორიოდ ჭიქა ღვინო გვექონდა დარჩენილი, რომ საფლავების მომვლელებმა ქალმა ამოიარა. მოვიპატიეთ, ჭიქით ღვინო მივაწოდეთ და კითხვა ისევ გაუმეორეთ: ვიღაც ნამყოფია, პურმარული მოუტანია-თქო.

– უიმი, – უცებ წამოიძახა ქალმა, – ეს პურმარული მე ჩავდეო. მესაფლავე დაასახელა, მისთვის ვიღაცას ორმოცისა თუ წლისთავის ხარჯი მიუცია, მან მე მომაბარა და აქ შევეუნახეო.

ყველას სიმწრის სიცილი წაგვსკდა. რაღას ვიზამდით, ღვინო არა, მაგრამ საჭმელი მაინც ბევრი იყო. მომვლელ ქალს ხუმრობით მივამაძლეთ: თქვენსაზე ბევრი არაფერი მოგვიკლია, ა, ბატონო, ჩვენს მოტანილ საჭა-პურებსა და პამიდერის წნილს გიტოვებთ-თქო და წამოვედით.

**მინაწერი:** 2008 წლის 1 აპრილს ნოდარის მეუღლე, ლილი გოგოზია, გარდაიცვალა. გვიან საღამოს ტელეფონით ველაპარაკე. ჩვეულებრივად, კარგად და მხნედ გრძნობდა თავს, დილით კი საწოლში გარდაცვლილი ნახეს. ქალბატონი ლილი დამსახურებული პედაგოგი და მწიგნობარი გახლდათ და მის დაკარგვას უამრავი ხალხი დაესწრო. მე უკვე „ჩარეცხილი“ გახლდით და განვიცადე, რომ ამ მძიმე ფაშს ოჯახს ვერაფრით ვეხმარებოდი. ამიტომ იყო ქელეხზე არ წავედი და სასაფლაოდან გამოვიპარე.

ქელეხიდან დაბრუნებული გვიე ლომიძე (ჩვენ ერთ სადარბაზოში ვცხოვრობთ) ჩემთან ამის საკითხავად ამოვიდა, ქელეხზე ვერ დაგინახეო. ვსაუბრობთ და კარებზე ზარის ხმა გაისმა. რას ვხედავ, კარებთან ხელში რამდენიმე სახსე პარკით დგას ლილის მძისშვილი ძაბული (ლია) გოგოზია და მისი ვაჟიშვილი. ნოდარისა და ლილის ქალიშვილს, ნანას, იმდენ ხალხში არ გამოჰპარვია, რომ სუფრაზე არ ვიყავი და ქელეხის სუფრიდან ღვინო და ყველანაირი კერძი გამოეგზავნა. დიდად შევეწუხდი, რომ პირიქით გამომივიდა, ამ მოუცლელობის ფაშს ოჯახს საქმე მიუმატე. მაგრამ, ამავე დროს, ასეთმა გულისხმიერებამ შემძრა და თვალებზე სიხარულის ცრემლები მომადგა, – ნოდარისა და ლილის ხელწერა დავინახე, მათი დიდესლოვნება მათ შემკვიდრეში ჩასახლებულიყო!



## კრიტიკა

ზაზა გოგია

## სანი მინიპორტრატი

## გოდერძი ჩოხელი



ერთმა ფრენსის ფუკოიამაზე უიძელოდ შეფერებულმა საკმაოდ ჭარმაგმა ლიტერატორმა უცერემონიოდ განაცხადა, რომ „ისტორიის დასასრულმა“ ჩვენი ლიტერატურული ტრადიციებიც ბეჭებზე გააკრა. მაგალითად გოდერძი ჩოხელის „პროვინციალური“ პროზა დასახელა, რომლის „გუდამყურელი მითები“ პოსტმოდერნიზმმა და დემითოლოგიზაციამ ბავშვების გასართობ გულუბრყვილო ზღაპრებად აქცია. ცხადია, ამ აზრთან კამათი არ ღირს, რომლის მოქმედს არც ტრადიციის გაკეცა, არც პოსტმოდერნის, არც „დიდი რღვევისა“, და მითოლოგიის მნიშვნელობის თანამედროვე გაგებაში მითოგრაფიის ანუ მითოსური ტექსტის სიუჟეტურ ფასადს გარდა ვერაფერს ხედავს.

მონტენი ოთხი საუკუნის წინ წერდა – ვინც ბრმად მიჰყვება სხვას, არავის მიჰყვებაო. სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ბრმად მოსიარულეთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. მაგრამ გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ეფუძნებიან და არა – სხვებისას.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებისათვის, როცა მწერლობის მმართველი ხერხემალი საბოლოოდ დაიმსხვრა, შეიქმნა ახალგაზრდა ინტელექტუალთა კორპორაციული დაჯგუფებები, რომელთაც თვალნათლივ დაგვანახეს, რომ ლიტერატურულმა მისწრაფებებმა თვისებრივად იცვალა ფერი. რატი ამალღობელი, ზაზა შათირიშვილი, დავით ანდრიაძე, დავით ბარბაქაძე, დავით ჩიხლაძე, შოთა იათაშვილი, მალხაზ ხარბეღია, გაგა ლომიძე, ნინო დარბაისელი, ზურაბ რთველიაშვილი ის სახელებია, რომელთაც ახალი სიო შემოიტანეს ჩვენს ლიტერატურულ თუ კრიტიკულ საზოგადოებაში (არაფერს ვამბობ საშუალო და უფროსი თაობის ინტელექტუალურ ელიტაზე, რომელსაც დღემდე არ დაუხრია ლიტერატურული ცხოვრების დროსა). „არილი“, „აფრა“, „ალტერნატივა“, „პოლილოგი“, „იასარი“, „რუბიკონი“, „ახალი პარადიგმა“, „ომეგა“, „ჩვენი მწერლობა“, „XX საუკუნე“, „ქომაგი“, ლიტერატურის ინსტიტუტის ხუთი პერიოდული გამოცემა თავისთავად მეტყველებს მწერლურ ინტერესთა სიმრავლეზე (მართალია, ეს ინტერესები ხშირად თანუხვედრელია). სტატიის ფორმატიცა და მიზანიც მეტად დაკონკრეტების საშუალებას მიზღუდავს, მაგრამ ერთი ამი მინც უნდა ვთქვა – ზოგიერთ ავტორის პუბლიკაცია უსაფუძვლო ურთიერთბრალდების ხასიათს ატარებს. ამის მიზეზი ხშირად საკმაოდ გამჭვირვალეა – ნიჭიერ ავტორთა შემოქმედებისადმი კრიტიკის უყურადღებობით გამოწვეული გულისწყრომა, რაც ზოგჯერ



„ძველებისადმი“ დაპირისპირების საბაბად იქცევა, ტრადიციულობა კი რეტროგრადულად გადმონაშთად ცხადდება. უკმაყოფილების მიზეზი სამართლიანი და გასაგებია, მაგრამ ეპატაჟის ფორმა – აბსოლუტურად მიუღებელი. შევიანხმდეთ, რომ ავანგარდიზმი აზროვნების ნიშანია და არა – დროის ან ასაკის. ამასთანავე, საეხსით ვეთანხმები დავით ჩიხლაძის აზრს, რომ „ტრადიციულობა თვითონ მწერლობის ფუნქციაა“, თუნდაც მას ზოგჯერ სიახლესთან გამიჯვნის ტენდენციებიც ახლდეს.

ერთ დროს საკმაოდ წონიანმა ლიტერატორმა ბრძანა, რომ ვოდერიძე ჩიხელი საკუთარ გუდამაყარშია გამოშვებული და ჩვენც თავისკენ გვეზივდებაო. მწერლობა ძალაუფლებაც, ამიტომ, თუკი მწერალი თავისკენ გვეზივდა, ეს მის ძლიერებაზე მეტყველებს და არა – უძლეურობაზე.

ზოგიერთი კრიტიკოსის მიერ ნებისმიერი უცხოური, გარეკულტურული ორიენტრის განურჩეველი მიღებისათვის მზაობა ლიტერატურულ ტექსტსა და მის აღქმას (რეცეფციას) შორის შესაბამობას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე – მეტაანალიზს. კულტურული ერის სინერგეტიკული გამოცდილება ვერ ითვისებს საკუთარი კულტურული სივრცის გარედან უხეშ მეთვალყურეობას. კულტურის განახლების სტრატეგიას ორი არსებითი პირობა უდევს საფუძვლად: პირველი – ფასეულობათა მიღება-გაცემისათვის მზადყოფილი ნახევრადღია, და არა – მოღიავეული, სივრცე, და მეორე – ადრე გამოუყენებელ შესაძლებლობათა ხორცშესხმისათვის მზაობა ანუ ძველ სანიშნებსა და ენობრივ სტიქიაში ახალ მნიშვნელობათა ძიება (კულტურათა მიერ ურთიერთგამდიდრების პრაქტიკა რომ ჩვეულებრივი ისტორიული პროცესია, ბევრ დასავლელ ავტორზე ადრე შალვა ნუცუბიძემ ახსნა).

უკმარისობის გრძობას იწვევს არა ფსევდოტრადიციულ კოორდინატთა სისტემის ნგრევის ან უახლესი დასავლური კრიტიკულ-თეორიული სკოლების გამოცდილებით გამდიდრების წყურვილი, რომლის მიმართ თავადაც არ ვარ გულგრილი, არამედ – ტრადიციისა და ნოვაციის წინააღმდეგობრიობის ნიშნით დაწყვილება.

პრობლემა არ ახალია – ძველია. ცალმხრივობის საფრთხეს თავის დროზე გერონტი ქიქოძეც კი ვერ ასცდა. ერთ-ერთ ადრეულ ესეში („ვაჟა-ფშაველა“) იგი გამოთქვამს უცნაურ თვალსაზრისს, რომ „ვაჟას „გონების უნივერსალობა აკლდა“ იმ მარტივი მიზეზით, რომ იქ, სადაც ჩვენ მეცნიერების მიღწევებს ვხედავთ, მას დევები და ალქაჯები ელანდებო. გასაკვირი არაა, რომ მოგვიანებით მეცნიერმა თავად გადააფასა საკუთარი შეხედულება.

მოდერნიზაციის პროცესს, უპირველესად კი აზროვნების მოდერნიზაციას, ეროვნული ცნობიერების წიაღში რომ აქვს გადგმული ფესვები, სხვაზე უკეთ ვოდერიძე ჩიხელმა დაგვანახა.

მის ერთ-ერთ საუკეთესო თხზულებას „ადამიანთა სევდა“ ჰქვია („ციცკის“ 1983 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა).

„რა არის სიცოცხლე?“

– სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

– სიკვდილი?





– სიკვდილიც სვედა არის, ადამიანად არყოფნის სვედა“, – ასე მთავრდება გოდერძი ჩოხელის ეს რომანი. გამოდის, რომ ცხოვრება სიკვდილ-სიცოცხლეზე ტკივილიანი ფიქრია, სატუსაღოა, სადაც ადამიანის თავისუფლების ხარისხი შეზღუდულია მიუხედავად იმისა, რაზე ოცნებობს – ამქვეყნიურ ბედნიერებასა თუ საიქიო ნეტარებაზე. სიკვდილ-სიცოცხლე ერთი მოვლენის ორი მახასიათებელია, მათ შორის წინააღმდეგობა კი – ოპტიკური ცდომილება, მირაჟი; „– მე მინახია, როგორ ყვალდნენ იები მიწიდან ამოყრილ კაცის ძელებში“, – ეს თვალსაჩინო ალეგორია ზედმეტ კომენტარს არ საჭიროებს – მასში ყოფიერების საკურთხეველთან მიტანილი მსხვერპლის ხარჯზე სხვათა სიცოცხლის ჩასახვისა და სამყაროს მუდმივი თვითგანახლების უნივერსალური კანონი იკითხება.

სიკვდილის მეტაფიზიკა დასაბამიდან დღემდე კაცობრიობის მარადიული საზრუნავია, რომელსაც აზროვნების სინკრეტული პერიოდიდან მოყოლებული გარკვეული მოკრძალებით, პიეტეტით შესტკეოდა ადამიანი. სიკვდილის ცნებას წარსულის გაგებაცა აქვს და მომავლისაც. გარდაცვლილია სიკვდილს წარსულში ჭვრეტით, ცოცხლებისას – მომავალში. სიკვდილი აწმყოს მნიშვნელობითაც გაიაზრება, როცა აქაცა ვართ და მცირე ხნით სხვა დროულ განზომილებაში ვინაცვლებთ. ეს არის ძილი (სოზმარი). „მე მგონი სული და სიზმარი ერთი ქვეყნისანი არიან“, – ამბობს ჩოხელის გმირი. ბერძენთა წარმოდგენაშიც ბნელში (ტარტაროსში) ბუდობს ძილიც (ჰიპნოსი) და სიკვდილიც (თანატოსი), ოღონდ ერთი კეთილია, მეორე – ბოროტი.

ყველა ეს განსაზღვრება ძველია და მრავალგზის ნაჩხრეკი. ამიტომ ხილული თუ გრძობადი ხატების ქრესტომათიულ მნიშვნელობაზე მეტად მათ ფუნქციაზეა მიპრობილი მკითხველის შხერა, მსგავსად თეატრში მისილი ძველი ბერძენისა, რომელმაც ზედმიწევნით იცის მითის შინაარსი.

ქართულთა უძველესი წარმოდგენით, სამყარო სამ ვერტიკალურ და ორ ჰორიზონტალურ ნაწილებად იყოფა. ვერტიკალურებია – შუასკნელი (ამქვეყნიური საუფლო), ქვესკნელი (მიწისქვეშა საუფლო) და ზესკნელი (ზეციური საუფლო), ზოლო ჰორიზონტალურები – წინასკნელი და უკანასკნელი, მთელი ეს სამყარო გარემოცულია გაუვალი ვარსით – გარესკნელით. სამ სკნელს ვერტიკალში ერთმანეთთან აკავშირებს სიცოცხლის ხე, რომელსაც ფესვები ქვესკნელში აქვს, ტანი – შუასკნელში, ზოლო ტოტები – ზესკნელში. ჰორიზონტალურ სამყაროებს მხოლოდ სივრცული განზომილება აქვს, ვერტიკალურს – დროისმძივით. ქვესკნელში მოგზაურობა არა მხოლოდ საიქიოში, წარსულში მოგზაურობაცაა და ბოლოს სული ან სხეულს უბრუნდება ან სამუდამოდ იქა რჩება.

გოდერძი ჩოხელის რომანში მთელი ეს სამყარო გუდამაყრის ხეობაშია მოქცეული. ბაგილა აღდიაურმა სხეული კუთხეში მიაყუდა და სამოთხეში იმეგზაურა, შინ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა – „შევიდა თავის სახლში, გამოიტანა სხეული, სულ ჩაკირკილაულ-ჩაჭიკივებული, მზეზე გაბურტყა და ჩაძერა შივ. უცებ გაცოცხლდა სხეული და ისევ კაცად მაქცია, იმ დღეს ნახევარზე მეტი სოფელი გავიდა“.

სხეულში სულის ვერდატევის მეტაფიზიკა გახელებული ცნობისწაილის ან დიდებისა და თავისუფლებისაკენ უსაზღვრო ლტოლვის ჰიპოსტაზია.



გავიხსენოთ ნაპოლეონის სიტყვები ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან „ნაპოლეონ“ – „მაგრამ მე ვეაში სული ვერღა მომთავსებია, მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი“. თუმცა, როცა პირადი თავისუფლება განუსაზღვრელ ძალაუფლებაში გადადის, დროზე გაბატონების პრეტენზია ჩნდება, რაც სხვათა თავისუფლებას უქმნის საფრთხეს – „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“.


ბონაპარტისტული იდეის პაროდიულ გამოვლინებას ვხედავთ ვაჟი გოგის სახეში. ვერშემდგარი მფრინავი და წუალქვეშა ნავის კაპიტანი გუდამაყრის სოფლების „დაპყრობაში“ ხედავს საკუთარი მოწოდების (მთავარსარდლობის) გამართლებას. ამავე სააზროვნო კონტექსტში ჯდება ქათმების მხედართმთავრის, გალილეის, სახე, რომელმაც ადრე აქილეგის, ჯალალედინისა და ჰიტლერის „წაასლიკა“ თავები. გოდერძი ჩოხელის ეს პერსონაჟები გარკვეულ ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებენ გიორგი ლეონიძის „ნატურის ხის“ გმირებთან. ამ თხზულებებს შორის ისიცაა საერთო, რომ გმირთა პორტრეტები იქაც და აქაც ცოცხალი ნატურიდანაა გადმოღებული.

ნატურით სარგებლობა მწერლობაში პრიმიტიულ ფოტოიმიტაციას არ გულისხმობს. აქ რეალური ცხოვრებიდან აღებული სახეა ლიტერატურის მძევალი და არა – პირიქით. რაც მთავარია, მას არა მხოლოდ კონკრეტული კულტურული რეგიონის, ხშირად მსოფლიო ცივილიზაციის ამოცანათა ტარების უნარიც შესწევს.

### ჯემალ ქარჩხაძე

გოდერძი ჩოხელის პერსონაჟთა ცნობიერების დისკრეტულობას ჯემალ ქარჩხაძის ტრილოგიაში „ზეზულონი: შურისძიება, სიყვარული, სიკვდილი“ გმირის ხასიათის ეპიკური მონოლითურობა ენაცვლება. თხზულება იმ ისტორიულ დროს ეხება, როცა ქართველები „სახელს ზომზე მეტ ფასს ადებდნენ და უმალ ხმალს შეუსვერდნენ კისერს, ვიდრე – ულელს“. ამ დაწურულ განსაზღვრებაში ჩვენი ეროვნული მრწამსი და ხეობრივი ცხოვრების დვრიტაა გამონასკეული.

სანამ თხზულებათა ზოგად პათოსზე ვისაუბრებდეთ, მცირე კულტურულ-ისტორიული ექსკურსი: საბჭოური სკოლის ყოფილ მოწაფეებს არაერთხელ დაგვიწერია თემა საბჭოთა ადამიანის იდეალზე ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში. მხოლოდ „სოციალისტური პატრიოტიზმის“ თემაზე ათი-თხუთმეტი ასეთი გმირი მაინც ჰყავდათ სასკოლო პროგრამაში შეტანილი. იქამდეც კი მივიდნენ, რომ ილიას ურთიერთსიყვარულის იდეით გამაერთიანებულ ეროვნულ კონცეფციასაც კლასთა შორის სიძულვილის იდეა დაუდეს საფუძვლად (საბედნიეროდ, ქართულს ბრწყინვალე პედაგოგი თამარ ბურჯანაძე მასწავლიდა და სხვებთან შედარებით თავისუფალი ვიყავი ცრუიდეალთა ყალბი ტირაჟირებისაგან). დღევანდელი ლიტერატურა აიდეოლოგიური ტრადიციებით „ნაკურთხ“ ამ მანკიერ დაკვეთას არ ასრულებს, მაგრამ ყველა სიკეთეს ახალ დროს ნუ მივაჭერთ (ისიც გავითვალისწინოთ, რომ მემკვიდრეობით ნანდერძევი მრავალი





მანკიერებისათვის დღესაც ვერ დაგვიღწევია თავი). არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ სამოცდაათიანი წლებიდან ქართულმა მწერლობამ უმძიმესი დარტყმები მიაყენა რეჟიმის, რომლის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი მწერლობისა და მისი პროდუქტის – გმირის (სიტყვის პერიოკულ მნიშვნელობას ვგულისხმობ და არა ზოგადად პერსონაჟის) სახელის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ექსპლუატაცია იყო.

ზნობრივ მხარეზე რომ არაფერი ვთქვა, იდეოლოგიური კონიუნქტურის ჭკურუნადიდან დანახული მხატვრული სამყარო ხელიდან გვაცლის სიტყვის, შესაბამისად – ცხოვრების, როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ შინაარსს (ამ საკითხს საკმაოდ საფუძვლიანად შეეხო როლან ბარტი, თუმცა მისი დაკვირვებები უფრო მეტად კრიტიკის სფეროზე ვრცელდებოდა, ვიდრე ზოგადად მწერლობაზე).

შემოქმედებით პროცესს აცდენილი სერვილური, უტოპიური „პერიოკული“ მოდელების მსხვერვეის ერთ-ერთი აქტიური „ორგანიზატორი“ ჯემალ ქარჩხაძე, რომლის შემოქმედებითი მიზანი პერიოზმის მნიშვნელობის დაზუსტება ან განმარტება არაა. „გმირის იდეალი“ მისთვის ეროვნული ცხოვრების მრავალსაუკუნოვან ტექსტში ჩაღრმავების, ქართველთა თვითცნობადობის, სამკვიდროს არსებობის უზარეულოდ გაგრძელების ინსტრუმენტია, „მიოლოგემა“, წარსულის სახეებში აწმყოსა და მომავლის მარადიულ, ინვარიანტულ ღირებულებათა წარუვალობის ჭკურეტა, კვაზირომანტიკული პათოსიდან რეალობაში ჩაბრუნება, ჯერაც განუხორციელებლის განხორციელების მარადიული წადილი, სიცოცხლის პროცესის უწყვეტობის განცდა და არა – მისი მყისიერი ფიქსაცია. აზრთა ასეთი მდინარება არღვევს მიშელ ფუკოს მიერ შემოთავაზებული გმირობის, სიკეთის, სამართლიანობის, დანაშაულის თეორიის განმარტებას, მიმართულს მხოლოდ კონკრეტული სიტუაციისა და ეპოქისათვის.

ბერტოლტ ბრეტის „ვალდის ცხოვრებაში“ ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს, საბრალოა ერი, რომელსაც გმირები არა ჰყავსო. ამაზე ვალდისი პასუხობს, რომ საბრალო ის ერია, რომელსაც გმირები ესაჭიროება. სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიული ცხოვრების ბელუკულმართობის გამო მუდამ გმირის ძიებაში ვიყავით („მაგრამ ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვსტირი“ – ილია) და კრიტიკულ ჟამს ეპოპულობით კიდევ – ზოგს სახელოვანს, ზოგსაც – უსახელოს. ჯემალ ქარჩხაძის ზებულონი ის უსახელო გმირია, რომელმაც ქართველებს ფიზიკური არსებობა და ზნობრივი ცხოვრების წესი დღემდე მოგვატანინა. გმირი და გმირობა ჯემალ ქარჩხაძესთან კანონს ან ეთიკური ქცევის წესებს არ ექვემდებარება. გმირობა ადამიანისა და საზოგადოების სულის სიფხიზლეა, კულტურის ღირებულებრივი სისტემის იპოსტასი, დროის კულტითა და მოქმედების კონიუნქტურული სიერციით შემოუფარგლავი.

ზებულონის ციკლის სამი მოთხრობა პროტაგონისტის სამსაფეხროვან გრადაციაზე მოგვითხრობს. „ზებულონის შურისძიებაში“ ყმაწვილი გმირი სიბრძნის დაუფლებაზე ოცნებობს, მაგრამ ბედის უკუღმართობის გამო წინის ნაცვლად მახვილი იქცევა მისი ცხოვრების განუყრელ თანამგზავრად. ზებულონს პირველივე დამოუკიდებელი ნაბიჯი ცხოვრების მოუცილებელ კომპარად ექცევა მას შებღვ, რაც მამამისის მუნანათურად მკვლელების ოჯახს



დედაწულიანად ამოვლევტს (ეს ნაბიჯი გმირს სიტუაციური აუცილებლობის ლოგიკამ გადაადგმევინა). მორალური ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ამ ერთი შეხედვით გაუმართლებელ საქციელს მოჰყვება გმირის პირველი ტრავიკული თვითდაკვება, რაც მთელ მის შემდგომ ცხოვრებას ბედისწერასავით თან სდევს.

ზებულონს ცხოვრებაში რამდენიმე მეგზური ჰყავს, რომელთაგანაც ყველაზე უტყუარი საკუთარი ღირსების თვალთა და სხვისეულზე მეტად ზებულონს ზებულონისვე მსჯავრის ემინია. გმირი, რომლის ცხოვრების მიზეზი გზა სიყვარულის, მოვალეობისა და სინანულის გზაა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს სიბრძნის იმ ჰუმანიტარულ დაუფლებსაკენ, რომელიც სულს იცავს გაფუჭებისაგან, ანუ, როცა სინდისისადმი მორჩილება გონების უმაღლეს ფუნქციად ექცევა. მართალია, წიგნური სიბრძნისაკენ ლტოლვა აუხდენელ ოცნებად დარჩა, მაგრამ გმირი საბოლოოდ მიდის თვითსრულყოფის, უღრტ-ვინველობისა და თავისუფლების იმ ზარისზამდე, როდესაც გარესამყარო მისივე სულიერი მოთხოვნების ფილოსოფიურ პროექციად იშლება.

გმირს შინაგანი ევოლუციის სამივე ფაზა – ქაოსი, კოსმოსი, ლოგოსი უკვე განვლილი აქვს და მისი სიკვდილიც გარეგნულად ახალი სიცოცხლის დასაწყისს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე – ძველის დასასრულს. ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როდესაც „ინდივიდის სიკვდილი მოდგმის გამარჯვებას უდრის“ (კეგელი). მოდგმის გამარჯვება კი ჩვენი თვისტომისთვის მუდამ ეროვნული იდეის უძღველობასაც უკავშირდება. ვერც იმ ფაქტს მივაწერთ შემთხვევითობას, რომ ავტორი ტრილოგიას ზებულონის სიკვდილის სცენით იწყებს და მისი სიკვდილის სცენითვე ამთავრებს. ეს მისტერიული სანახაობა ღვთისა და ერისათვის უშურველად დახარჯული სიყვარულის, სულიერი ტრიუმფის, წარმატებით განხორციელებული ეროვნული მისიის რწმენითაა გაჯერებული: „ციხფერი სიკვდილის ფაფუკი მკვლავები ზებულონს რბილად, ნაზად, სათუთად შემოეხვია, როგორც წმინდა და აუმღერველი სიყვარული, რომელშიაც სიყვარულის მეტი სხვა არაფერი ურევია... ირგვლივ ყოველივე ისე კაშკაშებდა, თვალთა აღარა იხედებოდა რა, და ამის გამო ზებულონი ვერ მიხვდა, სინათლე იყო ეს თუ – სიბნელე“.

ინდური ჯაინიზმის ფუძემდებლური დოქტრინა, რომელიც მოვანიებით თითოეულმა მოძღვრებამ თავისებურად გადახარშა და განავრცო, ქადაგებს, რომ სულიერ შესაძლებლობათა ზღვარს მიღწეული განსპეტაკებული ადამიანის ცხოვრება არ საჭიროებს შემდგომ გაგრძელებას და ლოგიკური დასასრულისაკენ ილტვის. ამავე აზრის პოეტურ ვარიაციად მოჩანს გალაკტიონის სიტყვები – „სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“; ასეთია სულიერი არსებობა-არარსებობის ზღვრული თანაფარდობის ფორმულა. ბოლოს და ბოლოს ჩვენი არსობის საფუძველთა საფუძვლის, ქრისტიანული სარწმუნოების, დედაარსიც ხომ ისაა, რომ ხორციან ღირსეული გაყრა სულის მარადიული ტრიუმფის საწინდარია სიყვარულის სხვიით განსპეტაკებული.

გაუზიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ზებულონი ერთ-ერთი ყველაზე მონუმენტური ფიგურათაგანია უკანასკნელი ათწლეულების ქართულ ლიტერატურაში, რომლის ზეადამიანურმა სულიერმა და ფიზიკურმა შემძლებლამ დინჯად გაუსწორა თვალთა ბედის უღმობელ ტირანისა და ჩვენი გამრუდებული ეროვნული ცხოვრების ნათელ გზამკვლევედ იქცა.



### ჯემალ თოფურიძე

ჯემალ თოფურიძის ერთ-ერთი მოთხრობა, რომელსაც „გარდაცვალება“ ჰქვია, უკვე სათაურშივე შეიცავს კრიზისულ წინათვრძობას. საგულისხმოა ისიც, რომ იგი დიდხანს შერჩა უჯრას, როგორც გაუშვლელი შიში და მხოლოდ მწერლის გარდაცვალების შემდეგ, 1984 წელს, გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“.

„მე იქიდან გელაპარაკებით. დამცინებთ, ვიცი, თქვენ შეგიძლიათ სიცილი და უნდა იცინოთ. ჩვენ აღარა, ვინც აქა ვართ. ეს „აქ“ – საიქია. არც სიცილი შეგვიძლია, არც – ტირილი, არც ერთმანეთთან ლაპარაკი. ვისმენთ და ვხედავთ, ერთმანეთისა ცვესმის, სხვათაშორის. ოპ, ეს ჭია, ჯერ ფეხსაცმლის ძირი იმდენი ღრუნა, სანამ არ გახვრიტა. მართალი ვითხრათ, მეცინებოდა, გადახარხარება მინდოდა, მაგრამ ღრანჭი ისე მაგრად მაქვს შეკრული, რომ ვერაფერი მოვახვრებ... ჩემს ფეხს მღრღნელს, ძალიანაც რომ მოვიწოდო, ვერ დავინახავ რა უცნაურია. მთელ ქვეყანას ვხედავთ და საკუთარ ფეხს და საკუთარ ჭიას – ვერა... ახლა შედარებით შეჩვეული ვარ იმიტომ, რომ უფრო ღრმად არის შესული, დაახლოებით კოჭს მიადწია. გულს რომ მიადწევს, მაშინ თურმე რაღაც სასწაული მოხდება“.

ამ შემადრწუნებელი, ნატურალისტური მონოლოგი იწყება გმირის საუბარი სამარიდან. არ მახსენდება სიკვდილის ვიზუალური ხედვის ასეთი ზემოწვევითი და მიწიერი წარმოსახვა, თუმცა სიკვდილის რაობაზე კაცობრიობა გაჩენის დღიდან დაფიქრდა და აღაპარაკდა. ეგზისტენციალისტ ფილოსოფოსისაგან მარტინ ჰაიდეგერი ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობს ამ მტკივნეულ თემას და სიცოცხლის არსს განსაზღვრავს, როგორც „ყოფიერებას სიკვდილისათვის“. იგი არანორმალურობად ან ფარისევლობად მიიჩნევს გულგრილ ან არასერიოზულ დამოკიდებულებას სიკვდილის მუყუებისა, როგორც სიცოცხლის განუყრელი ელემენტისადმი (ბრინჯა გულგრილობას არ ნიშნავს. ამის თვალსაჩინო მაგალითი დანის პრინცია, რომლის ირონიული დამოკიდებულება სიკვდილისადმი საბოლოოდ სიკვდილ-სიცოცხლეს შორის არჩევანის ტრაგიკულ პრობლემად უქოყვება). ირონიის გარკვეული დოზის მიუხედავად, ჯემალ თოფურიძის მოთხრობასაც საბეჭდისწერი საშხადისის ელფერი დაჰკრავს, სადაც მწერლის ფიქრები სიკვდილ-სიცოცხლის ერთდროულობის შეგრძნებას ერწყმის.

ქრისტიანულ ტრადიციებზე აღზრდილებს ოდიოგანვე გვასწავლიდნენ ბიბლიურ ჭეშმარიტებას, რომ ყოვლისმომწყალებ შემოქმედის მიერ დადგენილი წესრიგი და ჰარმონია მართავს სამყაროს, რომელსაც განმგედ ადამიანი განუწყესა უფალმა. სიმწიფეში შესული კაცობრიობის ერთმა ნაწილმა ეს პატივი არ იკმარა, როცა ანგარიშმიუცემელი ბუნდერიების მწვერვალზე იგრძნო თავი; რენესანსული ანთროპოცენტრისტული „წესრიგი“ განებერებულმა, თვითონ აირჩია ხსნის გზაცა და ქვეყნიერების გვირგვინი თავზე საკუთარი ხელით მოიგრო. ნაპოლეონის იმპერატორად „თვითკურთხევის“ ცერემონიალიც ხომ ისტორიის ამ აქტის ფარსულ-გროტესკული განმეორებაა. პოლ ვალერის ერთ-ერთი წერილიდან საფრანგეთის ორგზის პრემიერ-მინისტრის მისამართით წარმოქმნილი ფრაზა მახსენდება – ჟორჟ კლემანსოს თავდავიწყებით უყვარდა საფრან-




გეთი, მაგრამ სძულდა ფრანგი ხალხიო (ცნობილია, კლემანსო საფრანგეთის სამხედრო ჰეგემონიის დამყარებაზე ოცნებობდა ევროპაში, თუნდაც ეს საქმე საკუთარი ხალხის ზღვა სისხლის ფასად დასჯდომოდა. ისტორიის ირონიით მალე მისივე სამშობლო გახდა გერმანიის აგრესიის მსხვერპლი).


აშშ-ისთან გაზავებული ისტორიის, კაცობრიობის გამოცდილების მუგამასშტაბთა წერილ-წერილ გამოვლინებებს ჩვენზეც ცხოვრებისეული დრამის ყოველ ნაბიჯზე შევხვდებით. მრავალ ჩვენგანს „უყვარს“ უფალი, მაგრამ არ უყვარს მის მიერ გაკვალილი იმ გზით სიარული, რომელსაც საინფორმაციო, სიყვარული, სურვილთა და ანგარებათა დაურევება ჰქვია. ვუ-მაღ თოფურბიძისათვის ნიშნული არ არის მწერლური „დესპოტიზმი“, სათქმელის გაშიშვლება და „მოწინააღმდეგის“ გასრესა. თუმცა მისი ირო-ნია საკმაოდ გამჭოლია. ამიტომ მოქმედების მიღმა არსებული ცოდვა-მადლის ზნეობრივი „დრამატურგია“ კეთილსინდისიერებისა და ზომიერების ფარგლებს არ სცილდება. ამ აზრის საილუსტრაციოდ ამონარჩნდს მოვიტან მითხრობის ერთ-ერთი გარდაცვლილი გამომავალი მოვლენებიდან: „შევედი, სადაც მიცვალებული ესვენა, ცოლს მივუსამძიმებ და იქვე, სკამზე ჩამოვჯექი. ერთი საათი ტიროდა ახალგაზრდა ქალი. მერე წამოდგა, მეორე ოთახში გავიდა და იქიდან ხელით მანიშნა, მოდიო. უცებ წამოდექი. იცი რა მითხრა, მეორე ოთახში რომ გავედი? ახალი, შავი ფეხსაცმელები რომ არ მიშოვო, სადმე, დავიტოპებო. მე ჰჯერა, რომ იმ ქალს ქმარი ძალიან უყვარდა, მაგრამ ახალ ფეხსაცმელებსაც არანაკლებ ძლიერი შეყვარება სცილნია“.

დასკვნა ნათელია.

ჯემალ თოფურბიძის მეორე „დაგვიანებულ“ მითხრობაში („ოცნებაო, ჩემო ძეგლო...“) სიკვდილის განცდას ცხოვრების ფიქტიურობის, განუხორციელებლობის შერჩნება ენაცვლება. ამ თხზულებაში უზრუნველობისაგან გაქსებულ ბუტაფორიულ ადამიანებს ვხვდებით, ასეთივე ბუტაფორული გარემოთი, ფიქრებითა და საზრუნავით. ერთი ჩვეულებრივი კვლევითი ინსტიტუტის ფარგლებში მოქცეულ პერსონაჟთა ცხოვრების იმიტაციაში არა მხოლოდ ამ ადამიანთა ყოფის, მთელი ეპოქის „სიდიადის“ ყალბი ფურადლობა იკითხება.

მწერალი ინსტიტუტის დირექტორის შთამბეჭდავ პორტრეტს ვეხი-ტავს: „მირიანოვიჩის ოთარი ჰქვია, მაგრამ, რასაკვირველია, ყველა მირი-ანოვიჩს ეძახის. მირიანოვიჩი ორმოცი-ორმოცდახუთი წლის არის. თმა თავზე იმდენი აქვს, სულ მგონია, ყველა თმის ღერს საკუთარი სახელი აქვს. ეს თმის მსგავსი ჩალა მარჯვნიდან მარცხნივ აქვს გადავარცხნილი მულოტ თავზე. გადავარცხნილი კი არა, დასველებულ-გადაწყობილი. სახეზე მი-რიანოვიჩი პუტუნაა. მრგვალი, პატარა კაკლები სწრაფად დაურბიან სასმელისაგან დასიებულ თვალებში. ბოლომდე შერული პერანგიდან ყე-ლაამდე მაინც ამოდის დახვეწილი და გაჭლარაგებული თმა. მირიანოვიჩს ძალიან დიდი უკანალი აქვს. რომ ვუყურებ, მგონია, რომ ჩასვრილია. ყოველ შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, რომ კაი ათ წლამდე ქვეშ ისევ იდა. შორიანხლოს თუ ჩაუვლი მირიანოვიჩს, შეიძლება ოფლის სუნმა დაეავადოს. ადრე მირიანოვიჩი თურმე პურში მუშაობდა, მერე ყველაში გადასულა იქიდან. მისდა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ სადოქტორო დისერტაციაც





მოსწრებული აქვს და ინსტიტუტშიც იმიტომ მუშაობს, რომ თვითონ როგორც იმახის: „ახლა ასეთი დროა“.

ძნელი მისახვედრი არაა, რომ ტექსტის აზრობრივი მახვილი ბოლო ფრაზაზე მოდის. თუკი შეიძლება კაცი ქვეყანას შეადარო (არადა, ადამიანი და სახელმწიფო განვითარების ერთსა და იმავე ფაზებს გადიან), გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით თოფურდის ეს მოთხრობა ძვირფას ჩარჩოში ჩასმული, შიგნიდან დაჭიანებული, ღირსებისაგან დაცლილი ქვეყნის პორტრეტს გვიხატავს მანკიერი სისტემითა და მანკიერი ადამიანებით. ღმერთმა არ ჰქნას, ჩვენს შვილებსაც ვათქმევინოთ, რომ „ახლა ასეთი დროა“. არადა, პესიმისტური პროგნოზებისათვის დღესაც საკმაო მიზეზები გვაქვს.



მარიო ვარგას ლოსა

„ლოლიტა“

„ლოლიტამ“ ნაბოკოვის სიმღი-  
დრე და სახელი მოუტანა, მაგრამ  
სკანდალმა, რომელიც მის გამოჩე-  
ნას მოჰყვა, რომანი გაუგებრობის  
ბურუსში გაახვიდა, რაც ჯერაც არ  
გაფანტულა. დღეს, როცა მშვენიერი  
პატარა ნიშა ორმოცი წლის ხდება,  
დროა ყველას გასაგონად ითქვას,  
რომ მას უფლება აქვს ჰქონდეს  
ჩვენი დროის ყველაზე დახვეწილ  
და რთულ ლიტერატურულ ქმნი-  
ლებათა შორის დამკვიდრების  
პრეტენზია, ისე, რომ ამავე დროს  
სკანდალური წიგნის რეპუტაციაც  
შენარჩუნოს.

მაგრამ, ის ფაქტი, რომ მისმა  
პირველმა მკითხველებმა მხოლოდ  
ეს უკანასკნელი დაინახეს და არა  
ის, რაც მის უმთავრეს ღირსებას  
წარმოადგენს და რაც დღეს ყველა  
ოდნავ გონებაგახსნილი მკითხველ-  
ისთვის არის აშკარა, ფრიად ყუ-  
რადსაღები ვახლავთ. ამით ერთხელ  
კიდევ იქნა დემონსტრირებული,  
რაოდენ ძნელად ღებულობს სამარ-  
თლიან შეფასებას ყოველივე ის,  
რაც ნოვატორულია.

შეგახსენებთ: ოთხმა ამერი-  
კულმა გამოძეგვლობამ უარი თქვა  
„ლოლიტას“ ხელნაწერის მიღე-  
ბაზე და მხოლოდ ამის შემდეგ  
გადასცა ნაბოკოვმა იგი პარიზის  
გამომცემლობა „ოლიმპია პრეს“,  
რომელიც ინგლისურ ენაზე გამო-  
ცემა წიგნებს და ცნობილი იყო  
მორალურ ნორმათა დარღვევის,  
უხამსი თხზულებების გამოცემის  
ბრალდების გამო სასამართლო  
გარჩევებითა და კონფისკაციებით.  
მის კატალოგებში იაფფასიანი პორ-

ნოგრაფიის გვერდით სრულიად აბ-  
სურდულად გამოიყურებოდა ისეთ  
ჰუმბრიტად ნიჭიერ მწერალთა  
წიგნები, როგორც ჰენრი მილერი,  
უილიამ ბეროუზი და დონლივია.  
ნაბოკოვის „ლოლიტამ“ დღის სინა-  
თლე პირველად 1955 წელს იხილა,  
თუმცა ძალიან მალე, დაახლოებით  
ერთი წლის შემდეგ, საფრანგეთის  
შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ  
იგი აკრძალული იქნა. მაგრამ ამ  
დროის კანძობაზე რომანმა მოას-  
წრო და დიდი ოდენობით გაიყიდა.  
განსაკუთრებით კი მას შემდეგ,  
რაც გ. გრინმა, უწოდა რა წლის  
ყველაზე საუკეთესო წიგნი, ცხარე  
კამათის პროვოცირება მოაწყო.  
„ლოლიტა“ დღეხანს „დაწყვე-  
ლილი რომანის“ შარავანდით იყო  
მოსილი, რასაც გარკვეული და არა  
საყოველთაოდ მიღებული აზრით,  
იმსახურებდა კიდევაც. მხოლოდ  
1958 წელს, როცა, როგორც იქნა,  
გამოჩნდა ამერიკული გამოცემა და  
მოკლე ხანში უამრავ ენაზე ითარგმ-  
ნა, რომანმა ნამდვილად დააინტე-  
რესა საზოგადოება და მკითხველი  
წიგნს, რომ იტყვიან, მოშიებუ-  
ლივით დააცხრა. ერთდროულად  
ხმარებაში შემოვიდა ტერმინი „ლო-  
ლიტა“, რომლის მიღმა სრულიად  
ახალი შინაარსი იგულისხმებოდა,  
რაც არაცნობიერად ემანსიპირებულ  
გოვონა-ქალს, რევოლუციის იმ უნ-  
ებლივ სიმბოლოს ნიშნავდა, მთელი  
თანამედროვე ცხოვრების ნირსა  
და ყაიდას რომ შეეხო. გარკვეულ-  
წილად „ლოლიტა“ ამავე დროს  
სექსუალური ტოლერანტობის ეპო-  
ქის პირველი მერცხალი, ერთ-ერთი



დომინიკ სუენი, ლოლიტას როლის  
შემსრულებელი ევრიან ლაინის  
ფილმში (1997 წ.)



სოუ ლაიონი ლოლიტას როლში

პირველი ბიჭის მიძეცვია, რამაც თავის აპოკავს სამოციანი წლების შუახანებში მიაღწია. ეს იმ დროს, როცა ამერიკელი და დასავლეთეუროპელი ახალგაზრდობა გადაჭრით თავისუფლდება ყოველგვარი ტაბუსაგან. „ნიმფულა“ (ფიქრობ, ეს სიტყვა უკეთესად ჟღერს, ვინაიდან მასში ადგილი არა აქვს ავტორისეული ნეოლოგიზმის – „ნიმფეტკას“ – მანკიერსა და პროვოკაციულ ორაზროვნებას) არ არის ნაბოკოვის მოვინილი – განა არ არსებობდა ის უწინაც, ვთქვათ, გამზრწნელთა სიზმრებსა თუ უმანკო გოგონების მთრიოლვარე ოცნებებში? მისი სინათლეზე გამოსვლა მორალისა და ზნეობის ევოლუციის მთელი ლოგიკით მზადდებოდა, რომანის დამსახურება კი ის არის, რომ მან გამოიყვანა იგი ბუნდოვანი აჩრდილის მდგომარეობიდან, მოხსნა ნეეროზული აკრძალულობის ბორკილი, აღჭურვა მოქალაქეობის უფლებით.

ის ფაქტი, რომ სწორედ ნაბოკოვის რომანმა გამოიწვია ასეთი ზმაური, გავლენა მოახდინა მილიონობით ადამიანზე და თანამედროვე მითოლოგიის ნაწილად იქცა, უკვე გასაოცარია თავისთავად, ვინაიდან ჩვენს საუკუნეში ძნელია იპოვო

მეორე მწერალი, საკუთარი შემოქმედების პოპულარობითა თუ სხვა საჭირობოტო საკითხებით მასზე ნაკლებ იყოს შეურევბული და რეალობის მიმართ ისეთივე გულცივი არ იყოს.


ვლადიმირ ვლადიმირის ძე ნაბოკოვი დაიბადა 1899 წელს სანკტ-პეტერბურგში, რუსულ არისტოკრატიულ ოჯახში. მამის მხრივ მის პაპას ეკავა ოუსტიციის მინისტრის თანამდებობა ორი მეფის დროს, ხოლო მისი მამა ლიბერალი პოლიტიკოსი იყო და იგი მონარქისტებმა ბერლინში მოკლეს. ვლადიმირ ვლადიმირის ძეს მართლაც რომ დიდებული განათლება ჰქონდა მიღებული, იყო პოლიელოტი, ზრდიდა ორი ინგლისელი ძიძა, ჰყავდა შვეიცარიელი გუვერნანტი ქალი, ფრანგი აღმზრდელი და ჯერ კიდევ რევოლუციამდე სწავლობდა კემბრიჯში. მაგრამ მალე ოჯახმა რუსეთი დატოვა და გერმანიაში გადასახლდა.

ნაბოკოვმა ყველაზე თამამი წიგნი („უფერული ცეცხლი“) მხოლოდ 1962 წელს გამოსცა, თუმცა „ლოლიტას“ გამოცემამდე მან უკვე მოასწრო თავისი ნაწარმოებების უდიდესი ნაწილის პუბლიკაცია. მართალია, გამოცემული მასალა საკმაოდ მრავალრიცხოვანია – რომანები, ლექსები, პიესები, კრიტიკული ესეები, გოგოლის ბიოგრაფია, თარგმანები რუსულად და რუსულიდან – მაგრამ არც ისე განხორბული. თავიდან წერა რუსულად დაიწყო, მერე ჯერ ფრანგულზე გადავიდა, შემდეგ კი ინგლისურზე. გერმანიის შემდეგ ერთხანს საფრანგეთში ცხოვრობდა, მაგრამ საბოლოოდ ამერიკაში დასახლდა. მუშაობდა უნივერსიტეტში მასწავლებლად, ზაფხულის თვეებში კი მთელ დროს თავის უსაყვარლეს გატაცებას, უფრო სწორად, თავის მეორე პროფესიას – ენტომოლო-

გიას, ზუსტად კი ქერცლფრთიანთა შესწავლას ახმარდა.

„ლოლიტამდე“ დაწერილ ნაწარმოებებს უმეტესწილად „ლოლიტასავე“ დიდი წარმატების წყალობით მრავალრიცხოვან გამოცემლობაში ფართო გზა მიეცა. ეს იყო ჰუმბერტად „ლიტერატურული“ ნაწარმოები და ამ უკიდურესი „ლიტერატურულობის“ მიღწევა ნაბოკოვის თანამედროვეთაგან მხოლოდ ერთმა — ზორხე ლუის ბორხესმა — შეძლო. „ლიტერატურულს“ მე ვუწოდებ წიგნებს, რომლებიც განსაკუთრებული სიტყვიერი და ინტელექტუალური დახვეწილობით აღინიშნება. ამ წიგნების რიცხვს განეკუთვნება, რა თქმა უნდა, „ლოლიტაც“, მაგარამ ამასთან ერთად მწერლის მთელი შემოქმედების კონტექსტში „ლოლიტა“ წარმოადგენს რაღაც სრულიად ახალს. ამ რომანში ნაბოკოვისთვის ჩვეული, მართლაც რომ ჯოჯოხეთურად ჩახლართული მხატვრული ხერხები შედარებით უბრალო, მაგრამ საოცრად მომხიბვლელი ფაბულითაა შენიღბული. ეს არის ამავეი იმის შესახებ, თუ როგორ აცდუნებს თორმეტი წლის გოგონას — დოლორეს გეიზს, ლოს, ლოლიტას — მამინაცვალი, მისადმი ენებით შეპყრობილი ორმოცი წლის შევიცარიელი, ვინც ნაწარმოებში პირობითი სახელით — ჰუმბერტ ჰუმბერტით არის შესული.

ყოველი დიდი ნაწარმოები თავის თავში ანტაგონისტური წაკითხვის შესაძლებლობას ფარავს, ეს ის პანდორას ყუთია, სადაც თითოეული მკითხველი თავისთვის ნაირნაირ აზრებს, ფერებს, თემასა და სიუჟეტებსაც კი აღმოაჩენს. ასეა „ლოლიტაც“. ერთი მხრივ, მან შეძლო მიეხიბლა ყველაზე ზერელე-ზედაპირული მკითხველი, ხოლო მეორე მხრივ, იდეისა და ალუზიის უმრეტლობისა თუ ფაქტურის სინატ-



იფის გამო თვით ის ყველაზე გაწაფული ადამიანებიც კი დაიმორჩილა, რომლებიც ყოველ წიგნს ხელში იმ გამოწვევით იღებენ, ერთმა ახალგაზრდა კაცმა ოდესღაც კოქტოს მისამართით რომ ისროლა: „Etonnez-moi!“ („აბა, გამაკვირვეთ!“).

რომანში ყველაზე ხელმისაწვდომი შრე ჰუმბერტ ჰუმბერტის აღსარებაა. ეს აღსარება სასამართლოს იმ წევრებისადმი მიმართული, რომლებმაც მის მიერ ჩადენილი მკვლელობის საქმე უნდა განიხილონ. იგი ჰყვება, ბავშვობაში, როცა ჯერ ისევ ევროპაში ცხოვრობდა, როგორ იგრძნო ლტოლვა პატარა გოგონების მიმართ, როგორ გადაიზარდა შემდეგ ეს მოუთოკავ ენებაში, რომლის დაოკების ობიექტსაც მხოლოდ ახალი ინვლისის ერთ პატარა მიყრუებულ ქალაქში — რამზედელში — მიაგნო. აქ ჰუმბერტ ჰუმბერტი ცოლად ირთავს შედარებით უზრუნველყოფილ ქვრივს — შარლოტა გეიზს, თუმცა მოსვენებას არ აძლევს გულში ფარულად ჩამარხული მიზანი — დაუახლოვდეს ცოლის ჯერ ისევ მცირეწლოვან ქალიშვილს — ლოლიტას. წადილის აღსრულებაში ჰუმბერტ ჰუმბერტს ეხმარება შემთხვევა, რომელიც აე-

კადრი სტენლი კუბრიკის ფილმიდან (1962 წ.). ლოლიტა (სიუ ლაინი), ჰუმბერტ ჰუმბერტი (ჯეიმს მესისონი)



ტომობლითან არის დაკავშირებული – ავტოკატასტროფაში იღუპება მისი მეუღლე, რის შემდეგაც ობლად დარჩენილი გოგონა მთლიანად მისი მუერვეობის ქვეშ აღმოჩნდება. ამ უზნეო კავშირმა თითქმის ორ წელიწადს გასტანა. ამის შემდეგ ლოლიტა დრამატურგთან და კინოსცენარისტთან – ვინმე კლერ კუილტისთან – ერთად გარბის, მძიმე და ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ჰუმბერტ ჰუმბერტი მას პოულობს და კლავს კინოსცენარისტს, რის გამოც ასამართლებენ კიდევაც. და აი, სასამართლოს მოლოდინში ჰუმბერტ ჰუმბერტი იწყებს წერას იმისას, რასაც შემდეგ „ლოლიტას“ სახელი ერქმევა.

თავის სათქმელს იგი სანახევროდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ გადმოსცემს, მკითხველს ყალბ კვალზე აყენებს, ლაპარაკობს ირონიულად, გზას ათასნაირად ხლართავს და ყოველივე ამას აკეთებს ისე, როგორც გამოცდილ მთხრობელს შეჰყურის, მთხრობელს, ვინც იმ ხელოვნებას ფლობს, რასაც აუდიტორიის მუდმივ დაძაბულ ცნობისმოყვარეობაში ყოლის ხელოვნება ჰქვია. მისი ამბავი სკანდალურია, მაგრამ ეს პორნოგრაფია არ არის, არ არის თითქმის არც ეროტიკა. ეროტიკულ სცენებს იგი პორნოგრაფიისთვის აუცილებლად დამახასიათებელი ტკობის გარეშე აღწერს. მისთვის უცხია ჰედონიზმი – სიამოვნებას იგი თვით თხრობის პროცესითაც კი არ განიცდის. ჰუმბერტ ჰუმბერტი არც გარყვნილია, არც ავხორცი, არც აკვიატებული აზრით შეპყრობილი. მისი ამბავი სკანდალურია უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი ამას თავად აღიქვამს ასე და შესაბამისადც ჰყვება, უწოდებს რა თავი თავს „შეშლილს“ და „ურჩხულს“ (ეს მისი სიტყვებია). სწორედ გმირის ეს თვითგვემა აძლევს განსაკუთრებუ-

ლად ავადმყოფურ, ზნეობრივად მიუღებელ ხასიათს ამ ამბავს და არა მსხვერპლის ასაკი – გოგონა ხომ სულ რაღაც ერთი წლითაა შექსპირის ჯულიეტაზე უმცროსი. გმირის დანაშაულს აძლიერებს და მკითხველის თანაგრძობას უკარგავს კიდევ ერთი გარემოება: იგი უსიამოვნო, ქედმაღალი ადამიანია, დაუფარავი სიძულელით ეკიდება არა მხოლოდ მის ირგვლივ მყოფ ყველა ქალსა და მამაკაცს, არამედ იმ ჯერ ისევ მოზარდ გოგონასაც, ვინც ცეცხლივით ავიზივებს მის წარმოსახვას.

დახა, რომანი სკანდალური იმის გამო კი არ არის, ვიღაც პირქუში ტიპი პატარა ნიძვას რომ აცდუნებს, არამედ იმის გამო, რომ წიგნის ყველა პერსონაჟი სასაცილო თოჯინად არის წარმოსახული, ყველა აბუნად აგებული და დამცირებულია. ჰუმბერტ ჰუმბერტის მონოლოგი თავიდან ბოლომდე საზოგადოებრივი ინსტიტუტების თუ პროფესიული და სხვა სახის საქმიანობის ბირობი და ცინივა – დაწყებული ფსიქოანალიზით (რომელიც ნაბოკოვისთვის იგივე იყო, რაც ხარისთვის აფრიადებული წითელი ნაჭერი), დამთავრებული ოჯახითა და ბავშვის აღზრდით. გმირის გესლიანი კალმის ქვეშ ყველა, ვინც კი მის ირგვლივია, სულელად, პატივმოყვარედ, სასაცილოდ, უხამსად და მოსაწყენ ადამიანად გამოიყურება. არაერთხელ ითქვა – რომანი შეიცავს ამერიკელი საშუალო კლასის დაუნდობელ კრიტიკას, წარმოადგენს სატირას უგემოვნო მოტყუების, ცხოვრების პრიმიტიული ყიდისა და ამერიკელების ზნეობრივ ფასეულობათა არამდგრადობის შესახებო. ეს არის მხატვრული განაჩენი იმისა, რაც ჰენრი მილერმა „კომფორტაბელურ კომარად“ მონათლა. თავის მხრივ პროფესორი ჰარი ლევინი განმარ-



ტავს, რომ „ლოლიტა“ ვაგებულები უნდა იქნეს, როგორც მეტაფორა – მასში ასახულია იმ ევროპელის გრძობები, რომელიც თავიდან მხურვალე სიყვარულით იმსჯვალეა ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, შემდეგ კი, აცნობიერებს რა ამ ქვეყნის უმწიფრობას, გული უტყდება და იმედი უცრუდება. მაგრამ ვეჭობ, რომ ნაბოკოვს ამ ამბის შეთხზვისას მასში რაიმე სიმბოლური აზრი ჩაედო. ჩემი შეხედულებით ნაბოკოვი, ისევე, როგორც ბორხესი, სკეპტიკოსი იყო, ვისაც სძულს, ვინც არაფრად ავლებს ცხოვრებასა და იმას, რაც ახლავს. ორივე მწერალი – გონებატყვერებით აზრთა წყობის სამალავაში, წმინდა გამონაგონის მიხედვით შექმნილ წიგნებში თავშეფარებულნი, ერთსაც და მეორესაც ირონიით აღიქვამს. ქვეყნიერებისაგან განრიბეულთ, გონების იმ სასწაულებრივი თავშესაქცევების გამო განდგომილთ თავი იქ ამოიქოლეს, სადაც რეალობა სიტყვის ლაბირინთსა და მოციალე სახეებში იკარგება. და ამ ორმა მწერალმა, ვინც ასე ძალიან ჰგავს ერთმანეთს კულტურის აღქმის მანერითა თუ სამწერლო ხელობისადმი თავისი დამოკიდებულებით, შექმნა ღირსშესანიშნავი თხზულებები, რომლებიც არამც და არამც არსებულის კრიტიკა კი არა, ცხოვრებაზე ხორციის ჩამოცილების, აბსტრაქციის ნათელ მირაჟებში სიცოცხლის გაბნევის საშუალებაა.

ესაა „ლოლიტა“ – რეალობის დახვეწილი, ბაროკული შეცვლა. მაგრამ ამგვარს ის დაინახავს, ვინც არ გაიხლართება სიუჟეტის სარჩულში, ვინც შეაფასებს რომანის საიდუმლო სიღრმეებს, შეეცდება მისი გამოცანების ამოხსნას, ჩასწვდება ალუზიის დედაარსს, გაარჩევს ერთმანეთისაგან პაროდისა და დაცინვას. რომანი ხელთათმანს ისერის, მკითხველს კი შეუძლია

მიიღოს ან არ მიიღოს ეს გამოწვევა – მას ხომ წმინდა ფაბულური აღქმაც უზარმაზარ სიამოვნებას ანიჭებს... მაგრამ, თუ ვარისკავს და სხვაგვარად წაიკითხავს „ლოლიტას“, აღმოაჩენს, რომ ეს ლიტერატურული მინიშნებებისა და ლინგვისტური ფოკუსების უძირო ჭაა. და რომ სწორედ ეს არის რომანის მჭიდრო საკარკასო ბაღურა და რომ შეიძლება სწორედ მასში იყოს ის ნამდვილი ამბავი, რისი მოყოლაც ნაბოკოვს სურს, ამბავი, არანაკლებ რთული, ვიდრე ის, რაც მისსავე რომანს – „ლუჟინის დაცვას“ უდევს საფუძვლად, სადაც ნაწარმოების გმირი, შემოილილი მოჭადრაკე, დაცვის ახალ სისტემას იგონებს; ან ვიდრე „უფერულ ცეცხლში“ მოთხრობილი ამბავია, სადაც მხატვრული ტექსტი პოემის კომენტარებს იმიტირებს, ხოლო დამიფრული ფაბულა მხოლოდ მოთხრობლის წიაღსვლებში იხსნება.

„ლოლიტას“ საიდუმლო განძთა მიება მრავალ წიგნსა და დისერტაციას მისცა მასალა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხედველობაში იქ თითქმის არასოდეს მიიღება ის ოუმორი და სათამაშო საწყისი, რომლის შემვეობითაც ნაბოკოვს, ისე, როგორც ბორხესს, შეეძლო ერუდიცია (ნამდვილი თუ ფიქტიური) ხელოვნებად ქცეია.

რომანის ლინგვისტური კევილიბრისტიკა თითქმის ვერ უძლებს თარგმანის გამოცდას. ვთქვათ, ორიგინალში ჩართული ის ფრანგული სიტყვები, თავის თავში კანნიერებს და დაცინვას რომ ატარებს და რომლის აღქმა და გაცნობიერება არცთუ ისე ადვილი საქმეა. ანდა ათასიდან ის ერთი მაგალითი, როცა ჰუმბერტ ჰუმბერტი იმ კაცის მოსაკლავად ემზადება, ვინც ლოლიტა წართვა და წასვლის წინ რაღაც უცნაურ ლექსს დეკლამირებს:





Reveillez-vous, Laqueue, il est temps de mourir! („გაიღვიძეთ, Laqueue, სიკვდილის დროა!“ – ფრანგ.)

ვისადმია მიმართული და რას შეეხება იგი?

რა არის ეს – სიტყვასიტყვით მოყვანილი ციტატა თუ პერიფრაზი, რომლის მსგავსიც უამრავია წიგნში?

რატომ ეძახის მთხრობელი კლერ კუილტის Laqueue-ს? იქნებ ამ სახელის ქვეშ თავადვე იმალება?

არა, ეს ამოცანა თავის მშვენიერ გამოკვლევაში „Keys to Lolita“ პროფესორმა კარლ პროფერმა გადაჭრა. იგი ამბობს, რომ აქ შენიღბულ უხამსობაზეა ლაპარაკი, რომ La queue, ანუ „კუდი“ ფრანგულ არგო ანუ საიდუმლო ენაზე ფალოსს ნიშნავს, ხოლო „მოკვდომა“ „გადმოღვრას“. ასე და ამგვარად, ეს ფრაზა ალეგორიაა და მასში დანაშაულის შესახებ წინასწარი გაფრთხილებაა მოცემული, დანაშაულისა, რომელიც ჰუმბერტ ჰუმბერტმა უნდა ჩაიდინოს. ამასთან ერთად იხსნება ჩაფიქრებული მკვლელობის მიზეზიც (ანუ კლერ კუილტის ფალოსი, რომელიც დაჰატრონებია ლოლიტას).

აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი ალუზია და გამოცანა სინამდვილეში სხვა არა არის რა, თუ არა ჰუმბერტ ჰუმბერტის სოლიფისისტური თავშესაქცევი და იგი მოვლენათა განვითარებაზე არ ზემოქმედებს. თუმცა არის ისეთი რამ, რაც ფარულად ერთვება მოვლენათა სვლაში. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ყველა ის ცნობა და ნართაული, რომელიც რომანის ყველაზე საინტერესო პერსონაჟს – არა ლოლიტასა და არა მთხრობელს, არამედ კლერ კუილტის შეეხება – დრამატურგს, მარკო ლე სადის თავყვანისმცემელს, გარყვნილს, ნარკომანს, ლოსთა და მისივე აღიარებით, ნახევრად იმ-

პოტენტს. მისი გამოჩენა თხრობას კალაპოტიდან ავლავს, ზუსტად დოსტოვესკისებურად ახვევს რა თავს ორეულის თემას, იგი მოულოდნელი გზით მიჰყავს. სწორედ კლერ კუილტის გამო იბადება ეჭვი, რომ მიუღი ეს ამბავი სხვა არაფერია, თუ არა ჰუმბერტ ჰუმბერტის შიზოიდური წარმოსახვის ნაყოფი, კაცისა, ვინც, როგორც ადრე უკვე ეცნობა მკითხველს, რამდენჯერმე სულთი ავადმყოფთა კლინიკებშიც მკურნალობდა. კლერ კუილტი იტაცებს ლოლიტას და კვდება, მაგრამ რომანში იგი სულაც არ არის ამისთვის. მისი გამოჩენა წიგნში რაღაც განგაშის მაუწყებელი, რაღაც კითხვის შემცველია – იმსახურებს კი ნდობას სავარაუდო მთხრობელი?

მაინც ვინ არის ეს უცნაური ტიპი? იგი მატერიალიზდება მხატვრულ რეალობაში, რათა ლოლიტა კლინიკიდან თავისთან – ელფინზონში – წაიყვანოს, მაშინ როცა აქამდე, მიუღი იმ რაღაც დროის მანძილზე მხოლოდ ჰუმბერტ ჰუმბერტის დეენის მანიით შეპყრობილ ბუნდოვან სახეთა რიგს წარმოადგენდა. მანქანა, რომელიც ხან გამოჩნდება და ხან გაქრება, ცთომილი აღია, იმ კაცის გაურკვეველი სახეა, რომელმაც გოვონა-ქალთან ეს-ესაა ტენისის პარტია დაამთავრა და ახლა სადაც შორს, გორაკებს იქით იმალება; მირიადი განაცხადია, რომელთა აზრის ვაშიფვრა მხოლოდ მთხრობლის ავადმყოფურსა და იჭენეულ გონებას შეუძლია. შემდეგ კი, როცა ჰუმბერტ ჰუმბერტი გაქცეულებს დასდევს და ამერიკის მიწაზე საკუთარ მარშრუტებს იმეორებს, როცა თითქოს მაგიურ რიტუალს აღასრულებს და ცდილობს „ნიმფულასთან“ გატარებული ბედნიერების ორი წელი დაიბრუნოს, ყოველ გაჩერებაზე კლერ კუილტის საიდუმლოებით მოცულ კვალსა და ბარათებს სვდება, საიდანაც



ირკვევა, რომ ის კაცი ლამის ყოველსმცოდნეა; რაც შეეხება მთხრობელის ცხოვრებას, აზრებსა და თვისებებს, ისინი თითქოს უზენაეს თანამონაწილეთა მოდემოს ნაიესაურო კავშირით არიან დაკავშირებულნი. მაგრამ არის კი აქ ნამდვილად ორ ადამიანზე ლაპარაკი? მათ შორის მსგავსება ხომ გაცილებით დიდია, ვიდრე განსხვავება. ორივე თითქმის ერთი ასაკისაა, ორივეს ერთნაირად დაუფლებია ნიმფულას ვნება ზოგადად, ხოლო კერძოდ — ლოლიტა გვიგის მიმართ; ორივეს უყვარს ლიტერატურა და ორივე ამ საქმის პროფესიონალია (თუმცა არათანაბარი წარმატების მქონე). მაგრამ ყველაზე ნათლად ამ ორი პიროვნების სიმბოზი თავს მაშინ იჩენს, როცა შორი მანძილიდან თითქმის ჰიპნოზურ პასებს უცვლიან ერთმანეთს, ლოლიტა კი მხოლოდ საბაბს წარმოადგენს. ეს არის დახვეწილი და იღუმალი კავშირი, იგი ცხოვრებას ლიტერატურად აქცევს. ენა ავტორის ჯადოსნური ჯოხია, რომლითაც იგი გეოგრაფიულ სახელებს ეხება და რაღაც ახალ, გამოგონილ ქალაქებად და დაბებად აქცევს, გამოგონილი აშბები ცნობილ ლექსებსა და რომანებს ეხმანება, გამოგონილი გვარები პოეტურ ასოციაციებს იწვევს და ყველაფერი ეს უმკაცრესი შიფრის შესაბამისად ხდება, რომლისთვისაც გასაღების მორგება მხოლოდ ამ ორ ადამიანს ძალუძს.

რომანის კულმინაციურ სცენას ლოლიტასა და ჰუმბერტ ჰუმბერტის სიყვარულის პირველი ღამე არ წარმოადგენს, კულმინაცია კლერ კუილტის აუქჩარებელი, საბალეტო სპექტაკლივით მეტყველი მკველიობაა. ეს კი ვულკანის კრატერია, სადაც ჰუმბერტ ჰუმბერტის მთელი ცხოვრებისეული გამოცდილება თავმოყრილი. იმ ვირტოუზის საჩენებელი გამოცე-

ლაა, ოსტატურად რომ ყონგლიორობს თავისი დრამატიზმითა და იუმორით. მხატვრული რეალობის თაობაზე ჩვენი მტკიცე წარმოდგენები წიგნის ამ ფურცლებზე უცებ კარგავს თავის ურყეობას და ეჭვი გვიპყრობს. მაინც რა ხდება? ჩვენ ნამდვილად ვართ მკვლელსა და მსხვერპლს შორის გაპარული საუბრის მოწმენი თუ ეს მხოლოდ მთხრობელის ცნობიერების ავადმყოფური გაორებაა? აქი მალავს თავის თავში ამგვარ შესაძლებლობას რომანის ურთულესი სტრუქტურა — სველითა და სინდისის ქვენჯანი გატეხილი ჰუმბერტ ჰუმბერტი ფსიქიკური და მორალური დაცემის (strictu sensu) პროცესშია, ორადა გახლეჩილი — თვითვემით აღსავსე გონებად (იგი აფიქსირებს მომხდარს და განაჩენი გამოაქვს) და სუსტ, ამაზრზენ სხეულად, სადაც იმ ვნებას დაუსადგურებია, რომელსაც ემორჩილება და რომლისთვისაც ბოლომდე უცხობა როგორც ტკობა, ისე საკუთარი თავის შემწყნარებლობა. იქნებ საკუთარი თავი სძულს, იქნებ საკუთარ თავს კლავს იმ სრულიად ფანტასტიკურ სცენაში, სადაც რომანი, აკეთებს რა დიალექტიკურ ნახტომს, თითქოს შორდება იმ პირობით რეალიზმს, რომლის მიმართაც აქამდე ესოდენ ერთგული იყო, რათა წმინდა გამოწავონის სამყაროში შეებიჯებინა.

ნაბოკოვის რომანების, განსაკუთრებით კი „უფერული ცეცხლის“ არქიტექტურა იმდენად რთულია და თავსატეხი, რომ ბოლოსა და ბოლოს ჯაბნის სხვა ყველაფერს. ასეა „ლოლიტაშიც“ — აზრობრივი დატვირთულობისა და შესრულების ოსტატობის წყალობით მისი კონსტრუქცია ძლიერად გამოდის პირველ პლანზე, ფარავს თვით ფაბულასა და ამბავს, ართმევს რა სასიცოცხლო ძალასა და დამოუკიდებლობას. თუმცა





კი რომანში შინაარსი, მართალია, იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც ეწინააღმდეგება ფორმის ზეწოლას – ამ ამბის არსი ხომ ფესვებით ადამიანური ყოფის მარად ცოცხალ საგნებს სწვდება – ვნებასა და ინსტინქტს დამორჩილებულ ფანტაზიას. მაგრამ, რაღაც მომენტში „ლილიტას“ გმირებს მაინც გამოსდით ცხოვრება, ვინაიდან, მსგავსად ნაბოკოვის სხვა პერსონაჟებისა ან ბორხესისეული გმირებისა, არც

ესენი ემსგავსებიან უზუნაესი გონით მართულ ჩრდილების თეატრის ფიგურებს.

დიახ, ლოლიტა გეიზი, დოლი, ლო, ლოლიტა ორმოცი წლის ასაკშიც უწინდებულად ქორფა, მიუღწეველი, მაცდუნებელი და წარმატაცია, ტუჩებს ისევ ისე ილოკავს ენის წვევრით და გულს ისევ ისე უმძიმებს ისეთ ჰუმბერტ ჰუმბერტის მსგავს ჯენტლმენებს, რომლებსაც თავით უყვართ, გულით კი ოცნებობენ.

კრებულიდან: მარიო ვარგას ლიოსა, „სიმართლე გამონაკონთა“ (1990).

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა.



## თეატრი

## ნათელა არველაძე

## მას დიონისეც სწყალობს და აპოლონიც

ზურაბ ყიფშიძე მაღალი რანგის არტისტი. მას თითქოს დიონისეცა და აპოლონიც ერთდროულად სწყალობენ. მისი თამაში გახელებული ბაკქური თავნებობაცაა და ქურუმის სტილიზებული გარინდებაც, ფარსული თავანყვეტაცაა და მირაკლის სასწაულმოქმედებაც, გიჟმაჟი დღესასწაულიცაა და ლირიკული იდუმალბაც, მარგალიტის სინატიფეცაა და ბრილიანტის ბრწყინვალეობაც. ის სცენაზე გამოდის, როგორც ტრიუმფატორი ფორუმზე, როგორც ბაკქი მოედანზე, როგორც შამანი ბინდიან დარბაზში. მას საკარო თეატრის თლილი მანერულობაც შეენის, სამოედნო თეატრის თავაშვეებული დაურიდებლობაც და საკრალური ქმედების მიუდგომელი კდემამოსილებაც. ის სამივე სახეობის თეატრის მესაიდუმლეა, მათი თვისებების უებრო გამომხატველია, ნები-სმიერი თამაშის წესის მაუწყებელი ბერიკაა, ორგანულად რომ ითავსებს და გამოსახავს თეატრის ორსახოვან ნიღაბს – მისი კომიზმი სარკაზმის აჩრდილსაც დაატარებს, მისი ტრაგიზმი დაბინდული ღიმილის სიმსუბუქით იკვეთება, დრამის წარმოდგენისას კი ცხოვრებისეული ფერების, ბგერების, ხაზების, ინტონაციის მრავალფეროვნება ჭიატებს და

როკავს. ზურაბ ყიფშიძე თამაშობს გზნებით, დაჯერებით, გადამდებად, ლაღად, თითქოს, ოთხივე სტიქია ერთდროულად ბორგავს, გრგვინავს, ელავს და ღელავს... სინამდვილეში კი ონავარი ბაკქი – ზურაბ ყიფშიძე, თავის სცენურ რიტულს ყოველთვის არსებით მისცემია. ის თამაშის თილისმის მფლობელია, აზარტული მოთამაშეა, თავად თამაშის არსის მატარებელი, აცეტებული ბერიკაა: იდუმალიც, დაფიქრე-





დონ ფანი

ბულიც, გულჯავრიანიც... პარადოქსული ეპოქის დარად, ერთსა და იმავე დროს გულწრფელიც არის და ეშმაკურად ცბიერიც, ერთგულიც არის და თავქარიანად დროის მფლანგველიც, მართალიც არის და გამოგნებლად მერყევიც. ზურაბ ყიფშიძე, უნინარესად, ადამიანია, ადამიანურად ძლიერიც, ჯიქურიც, კერპიც, სუსტიც... უპირველესად კი ის შემოქმედის დიადემის მფლობელია, ჭეშმარიტი ბერიკული დღესასწაულის ბრწყინვალეობას რომ ასხივებს თეატრის ამბიონიდან. ზურაბ ყიფშიძე არ გამოძვრავს, არ გასწავლის როგორ იცხოვრო, იმპერატივით არ მოგიწოდებს – ის „მხოლოდ“ თამაშობს! ამ თავბრუდამხვევე, გახელებულ თამაშში ონავარივით გითრევს, ის თავის „ზღაპარს“ გიამბობს, თავის მითს ნარმოსახავს და ზებუნებრივი ძალით გაჯადოვებს, გატყვევებს, გათავისუფლებს... ის მშვენიერ ზმანებას რეალობად აქცევს და რეალობა ზმანების რანგში აჰყავს, ყველაფერს კი პირველქმნილის, სიახლის, სინორჩის პენი ამ-

კობს, ყველაფერს მშვენიერების, სილაზათის, სინატიფის ხიბლი ახლავს.

გაოცებული, ამაყი და მოხიბლული ვარ იმით, რომ მასობრივი კულტურის, ქუჩური რეალიზმის, იაფფასიანი ღამის კლუბებისა თუ დღის სანახაობათა, „ტელეშოუების“, ჯეობარების, „კლავშოუების“ მოძალების ფაშინობას როგორ იგერიებს ქართული თეატრი, ნამდვილი მსახიობები, რომელთაც შეურყვენელად გამოატარეს თავიანთი ხელობა ამ მდარე „მახვილგონიერების“ ნიაღვარში. ზურაბ ყიფშიძე ერთი მათგანია, ვინც არ აჰყავს ცდუნებას, მან შეინარჩუნა მასობრივი აღფრთოვანებისაგან თავდაცვის უნარი, მასკულტურის ქაფს განერიდა და კიდევ ერთხელ დაადასტურა ჭეშმარიტი ხელოვნების, ჭეშმარიტი პროფესიონალიზმის, ჭეშმარიტად მოაზროვნე შემოქმედის მარადიული კულტის ღირებულება. შესაძლოა, ამიტომაცაა მისი ხელოვნება ეპოქის სულისკვეთების გამომხატველიც, ეპოქის სურნელით




გაუღენთილიც და ზედროულიც, უაღრესად თანამედროვეც და ზემოდურიც. მისი პერსონაჟები უზადო გამომხატველნი არიან არამარტო ქართული მენტალიტეტისა საერთოდ, არამედ ამჟამინდელი ქართული მენტალობისა, არამარტო ჟამთა აღმწერელნი არიან ეპოქისა საერთოდ, არამედ კონკრეტულად ამჟამინდელი ყოფისა, იმ ნიუანსისა, რასაც იტყობინება სწორედ ეს დღე, საათი, წამის გაელვება. მაგრამ ამავე დროს ეს პერსონაჟები, გამოქანდაკებულნი ოსტატის მაგიური საჭრეთელითა და ფერმწერის უმდიდრესი პალიტრით, კლასიკურნი არიან თავიანთი კუთვნილებითი იერარქიით. ისინი დაღდასმულნი არიან დროის, ეპოქის, ეროვნული კულტურის ანაბეჭდით, მაგრამ გამორჩეულნიც ხდებიან მსახიობის კერძო კოდიის მსგავსი განმასხვავებელი ხარისხის ნიშნით, ინდივიდუალური პალიტრის ფერებით, შუქ-ჩრდილებით, ხაზებით, ბგერებით, ინტონაციით, რომელთა ჭკრეტა, შეცნობა, ანალიზი თავისთავად არის მოგზაურობა უცნაურსა და ფანტასმაგორიულ, მშვენიერსა და მჩქეფარე, იდუმალსა და მომწუსხველ სამყაროში. როცა ზურაბის თამაშს ხელმეორედ უკვირდები, უღრმავდები, შეფასებისთვის შეისწავლი, საოცარი შინაგანი სისავსით იმუხტები, ამ სამყაროსთან შეხება უკვე თავისთავად არის აღმოჩენათა ფიორვერკით მოგვრილი სიამე და ალტკინება.

ზურაბ ყიფშიძე პიროვნული თვისებებით, ცხოვრების წესით, მსოფლადქმით, შესაძლებელია მთელი მისი თაობის სიმბოლო-

დაც მივიჩნიოთ. ეს ის თაობაა, რომელსაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა მოუხდა უსასტიკესი საბჭოთა რეჟიმის შფოთიანი აგონიის წლებში, დაოსტატება – საბჭოთა კავშირის დემონტაჟისა და უმძიმესი პოლიტიკური კატაკალიზმების დროს, მათი პროფესიული სიმწიფის, ნიჭიერების ამოფრქვევის, სამოღვაწეო სარბიელზე დამკვიდრების ხანა კი დადემთხვა პოლიტიკური ჟამიანობის დრო-ჟამს. ასე მგონია, მათ ვერ შეძლეს სრულად გამოეყვლინათ პიროვნული და ეროვნული სატიკვარი, ამბოხი, მონოდება; ვერც ის შეძლეს, რომ სრულად დახარჯულიყვნენ თავ-თავიანთ სამოქმედო არენაზე. პოსტიმპერიული ქაოსის პირობებში არ მიეცათ ინტენსიური საქმიანობის საშუალება, განსაკუთრებით მათ, ვისი მოღვაწეობაც დაკავშირებულია საჯარო და კოლექტიურ საქმიანობასთან. არარეალიზებული თაობა – ეს არის, ჩემი აზრით, წელში გადატეხილი ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი. უპირველესი და უმძიმესი დანაკლისი, რა თქმა უნდა, პირტიტველა ბიჭების მსხვერპლშენივება, ქართველთა გენოფონდის განადგურებაა; შემდგომ კი თაობების განირვავა, მათთვის ღვთით ბოძებული მონაცემების სრულად გამოვლენის მოსპობაა; შემდეგ კი მთელი თაობის უნიგნურ, უეროვნებო ნიჰილისტებად ჩამოყალიბების მცდელობაა. ზურაბი ამ კატაკალიზმებში მოყოლილი პიროვნებაა, რომელმაც ობიექტურ პირობებთან ერთად, საკუთარი ხვედრის უკეთ წარმართვის სადავეები თვინიერად გაუშვა



დონ ჟუანი



დონ ჟუანი

ხელიდან. შემოქმედებითაც არა-რეალიზებული ზურაბ ყიფშიძე – მთელი ჩვენი სათეატრო ცხოვრების უკეთურობათა სიმბოლოდაც შეიძლება მივიჩნიოთ. როგორ დააკლდა მისი გმირები ქართულ სცენას, ამით კი ერთგვარად გაღარიბდა ჩვენი სათეატრო ყოფა. ახლა მხოლოდ მის სასცენო შემოქმედებას მივუთითებ, ვინაიდან ვთვლი, რომ კინემატოგრაფმა უფრო მეტად გამოიყენა მისი ნიჭი, ოსტატობა, ინდივიდუალობა.

სცენაზე პირველობა მისი ჯვარია, ცხოვრებაში არც კი ცდილობს ამ უპირატესობის დემონსტრაციას, არც უსარგებლია არასდროს და ამიტომაცაა დონ ჟუანის როლის ჩინებულ შემსრულებელს არცერთი მნიშვნელოვანი პრემია ან სხვა ჯილდო რომ არ ერგო, თუმცა... ზურაბ ყიფშიძე თვითნაბადი ნიჭია, არავითარ დიადემას, გვირ-

გვინს, ხელოვნურ ეპითეტს არ საჭიროებს – ბუნებრიობა, მახვილი ინტელექტი, უმშვენიერესი გარეგნული მონაცემები, გასაოცარი პლასტიკა, პროფესიული ტექნიკის ფლობა, გარდასახვისა და თამაშის თავანყვეტის შეჯერება, გემოვნება, სასცენო მიმზიდველობა, დროის შეგრძნება, ირონია, კარნავალური სკაბრეზულობა, შეუთავსებელთა შეთავსების მცდელობა – ამ თვისებათა მფლობელს მაყურებლის სიყვარული და მონატრება ერგო იმ უმაღლეს ჯილდოდ, სხვა ყოველი რომ ფერმკრთალდება მის წინაშე. ზურაბ ყიფშიძე მაყურებლის გულთამყრობელია, მათი კერპი და ტრფიალი! რა ჯილდო შეეტოლება სიტკბოების ამ ნიაღვარს, ოვაციის ამ ელვარებას, აცეტებული დარბაზის ამ აღფრთოვანებას! მაყურებლის გულწრფელ თაყვანისცემას!

\*\*\*

განგებამ იგი იმითიც გამოარჩია, რომ შეახვედრა მიხეილ თუმანიშვილს. ზურაბი ბატონი მიშას უკანასკნელი წლების ყველაზე დიდი სიხარული და ყველაზე მტკივნეული სანუხარი გახლდათ. სიხარული იმიტომ, რომ მოუთვინიერებელი ბაკქია, იმპროვიზაციის ჯადოქარია, პარტნიორებსა და დარბაზზე შემოქმედების მაგიურ ძალას ფლობს და უსაზღვროა მისი ფანტაზია. მასთან მუშაობა სიამოვნებაა რეჟისორისათვის. და კიდევ იმიტომ, რომ... „არისტოკრატი ბერიკაცაა“, დახვეწილი სასცენო კულტურითა და სცენაზე ქცევის განსაკუთრებული უნარით. ბატონ მიშას სამუშაო მაგიდის წინ, კედელზე ჰქონდა მიმაგრებული იმ პიესების ნუსხა, რომელთა დადგმასაც აპირებდა. უმეტესობა ზურაბ ყიფშიძისთვის იყო განკუთვნილი.

სანუხარი კი იმიტომ, რომ ბატონ მიშას არ ეთმობოდა ზურა კინოგადაღებებისათვის, ფილმების

გახმოვანებისათვის, დროსტარებისთვის, ნირვანასათვის; სიამეს ჰგვრიდა მასთან რეპეტიციები, რადგანაც მსახიობი თითქოს მეექვსე გრძნობით უმალ სწვდებოდა რეჟისორის ჩანაფიქრს, მის კარნახს, მის ხედვას... მსწრაფლ „გაატარებდა“ დენივით მთელ ფსიქო-ფიზიკურ, არტისტულ „აპარატში“, ალქიმისკოვით გადაადნობდა, ამსხვილებდა, აფაროთებდა, რანდავდა, თლიდა, აფერადებდა და გაათმაგებელი ძალით „უბრუნებდა“ რეჟისორს, ახლა ის „იჭერდა“ მსახიობის მიგნებას, ახლა ის თლიდა, რანდავდა, კიდევ უფრო ამუქებდა ან მაქმანის სილაზათეს ანიჭებდა მათ, მსახიობი ისევ დენივით „გაატარებდა“ თავის არტისტულ ქურაში რეჟისორის კარნახს, გაათმაგებელი ძალით „უბრუნებდა“ მას მიგნებათა მასშტაბს... ისინი განსაკუთრებულ სასაუბრო ენას ფლობდნენ, მხოლოდ მათთვის გასაგები კოდური სისტემის მსგავსს და ამ „დამიფრული“

დონ ჟუანი





ენის წყალობით იქმნებოდა ტარელკინი, დონ ჟუანი, არჩილ გამრეკელი... ამ თანამემოქმედების პროცესში ორივე ერთიანად ჩართული გახლდათ, ორივეს ენიჭებოდა სიხარული... ბატონ მიშას თითქოს წლები აკლდებოდა, რეპეტიციის შემდეგ დაღლილი კი არ ჩანდა, არამედ ახალგაზრდულად შემართული! ზურაბ ყიფშიძე არამარტო თანაავტორი ხდებოდა ამ პერსონაჟთა სასცენო ცხოვრებისა, არამედ ავტორი მათი მსოფლმხედველობისა, პლასტიკისა, ინტონაციისა. ზურაბ ყიფშიძემ მიშა თუმანიშვილის რეპეტიციებით, მისი შემნობით შეიძინა პიესის, როლის ინტერპრეტაციის უნარი, გამოცდილება, მოთხოვნილება. იგი როლის ინტერპრეტაციის ოსტატობითაც გამოირჩევა და თავისი შემოქმედებით ბიოგრაფიით ადასტურებს მიხეილ თუმანიშვილის სკოლის როლსა და მნიშვნელობას ქართული სამემსრულებლო კულტურის განვითარებისთვის. ამ ნიშნით გამოირჩევიან ბატონი მიშას შეგირდები.

ზურაბ ყიფშიძე თითქოს ნათელმხილველის გამჭრიახობით ჭვრეტს პერსონაჟის სამყაროს, ოსტატის დაჯერებით ქმნის მის სასცენო ამბავს. მსახიობი თავისუფლად „შეიჭრება“ პერსონ-

აჟის შინაგან სამყაროში, თავისუფლად დანაწარმობს ამ სამყაროს შორეულ შრეებსა თუ ხვეულებში და მერე ამ მიგნებებს ისეთი სიმსუბუქით, ჰაეროვნებით, მახვილი აზრითა და პლასტიკური მშვენიერებით აქანდაკებს, რომ ეს ერთი კერძო პირი მარადიული თანამედვეი ხდება ჩვენი შთაბეჭდილებებისა, გაცნადებისა, მეხსიერებისა. არტისტის გააზრება, ფანტაზია, გემოვნება, ხილვები სინამდვილის შემეცნებას აჩქარებს, მყარების სუბურულ შეგრძნებებსა და ასოციაციურ ნაკადს მთლიან ყაღბის უქმნის. ესაა, ჩემი აზრით, ხიბლი მისი ხელოვნებისა და მიზეზი მისი პერსონაჟების მონატრებისა. ეს არ არის ფსევდოპოპულარობა. ესაა გულთამხილველის, ინტერპრეტატორის, მსახიობის პიროვნული და ამ ნიადაგზე ამოზრდილი პერსონაჟის სულიერი სამყაროს თანაზიარობის მოთხოვნილება, რადგანაც ზურაბი თამაშობს და წარმოადგენს მთლიანად მოვლენას და არა კერძო პირს მხოლოდ! ჩვენ გვხიბლავს და გვიზიდავს არამარტო ის, თუ როგორ „გამოაქანდაკებს“ იგი ვარსკენ პიტიანს, არამედ ისიც, თუ როგორ წარმოგვიდგენს ვარსკენიზმის ფართო ცნებას; არა დონ ჟუან ტენორიოს, არამედ ქალთა ჯადოსნურ გულთამყრობებს, სიყვარულის თავისუფლების ტრუბადურს, დონ ჟუანობას საერთოდ; არა ჩინოვნიკის ერთ კერძო ტიპს, არამედ ტარელკინობას, როგორც ინტელექტუალურ შეზღუდულობას; არა ცხოვრების პრაგმატული სისასტიკის მიერ პროვინციაში მიჭყლებილ გავეს, არამედ მის უდიდებულესობა



წარსულს, წიაღს, კულტურის ნაშრევს. მისი თამაში გატყვევებს არამარტო თავისი ელვარებითა და მიგნებათა მოულოდნელობით, არამედ ხედვის, კონცეფციის, პოზიციის გამოხატვით! ასე მგონია, მისი ხელოვნება ქართული პოსტმოდერნული ეპოქის საეიზიტო ბარათიცაა, უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ქართული საშემსრულებლო სკოლის ტრადიციათა გამოხატულება. ის ქართველბერიკათა გენეტიკური კოდის მატარებელია და ამიტომაც თავად ქართველთა სანახაობითი კულტურის გამოხატველიცაა. მის თამაშში ჭიატებს სხივი ეროვნული საშემსრულებლო კულტურისა ფართო გაგებით და მიხეილთუმანიშვილის სკოლისა კერძომნიშვნელობით. ახლა მხოლოდ

რამდენიმე როლს გავიხსენებ, კინომსახიობთა თეატრში მიხეილთუმანიშვილთან შემოქმედებითი თანახმიერებით შექმნილ პერსონაჟებს.

არჩილ გამრეკელის როლიში

\*\*\*

ტარელკინი (ალექსანდრე სუხოვო-კობილინის „საქმე“, 1979 წელი). ზურაბი ტარელკინს წარმოადგენდა ალტკინებისა (როცა წარმატებით დაგვირგვინდა მისი ინტრიგა) და დაცემის (როცა გულჯავრიანი უფროსების წყრომას იძკიდა) პროცესში, კულმინაციის მომენტში ჩვენ თვალწინ მარაოსავით იშლებოდა ერთი ბეჩავი ან გაქნილი ჩინოვნიკის ამბავი. მის თამაშში იგრძნობოდა ჩინოვნიკების საიდუმლოს ფლობა, მათს შიდა სამყაროში



ჩაღრმავება და ისეთი ნიუანსისა თუ ფერის აღმოჩენა, რომელიც ხასიათს შინაგან სიმყარეს უქმნიდა. ის კი არ დადიოდა სცენაზე, არამედ კუნტრუშით, თითქოს ხტუნვა-ხტუნვით გადაადგილდებოდა, მეტისმეტად წაგრძელებული კისერი თითქოს თავისთავად იხრებოდა ან განზე გარბოდა, ნაწვეტებული თავი თან მიჰქონდა, გამხდარი ტანი კი თავისკენ ეზიდებოდა სულ წინ და განზე „გადახტომისათვის“ მზადმყოფ კისერსა და თავს. როლის მარცვალი იყო – ცბიერი მელაკუდა. ის თამაშობდა ცბიერ, ინტრიგან, ლაქუცა მოხელეს, მაგრამ ცბიერებაც, ინტრიგაც, ლაქუციც ერთი შეხედვით ციცქნა იყო, უმასშტაბო, უნიჭოდ ჩაფიქრებული. ტარელკინი ჩვეულებრივი ჩინოვნიკი ჩანდა, „უფერული“ იყო მსახიობის გამომსახველი საშუალებებიც, მაგრამ ამ უჩინო ერთფეროვნებაში ტოკავდა მოხელის „გამჭრიახოზა“ – დროზე ადრე არავის უნდა შეემჩნია მისი განსაკუთრებული

მისწრაფება უფროსობისაკენ, ფულის სიყვარულის გამორჩეული უნარი და მისი არმყოფის უტიფრობა. ზურაბი თამაშობდა მოხელის ინტელექტუალურ შეზღუდულობას... მაგრამ აი, ცხოვრების მარნუხებში აღმოჩენილი ტარელკინი, გამოაშკარავებული თაღლითი და გამოუსადეგარი ხელქვეითი, გარიყული აღმოჩნდა. ის სცენის კუთხეში, რამმასთან იყო „მიგდებული“, ჩაჩუტული ჩანდა, კისერი ისევ წინ გაურბოდა, ხელები თათბივით წინ გაეშვირა, მოქნილი სხეული იგრიხებოდა, თრთოდა, მელის ცბიერებას და მსუნაგობას განასახიერებდა, გაოგნებული იმასდა ჩიოდა: მე ხომ პროგრესის მომხრე ვარ, მე ხომ სულ პროგრესის წინ ვიყავი, ჯერ მე და მერე პროგრესი ჩანდა... მერე იმედგაცრუებული შეტორტმანდებოდა, თათბით თითქოს ჰაერს კვებდა, თავის ქნევითა და ფაფუკი ტანის რხევით სცენიდან ჩადიოდა, განაწყენებული თავის ბუნაგს მიაშურებდა... იქვე დარბაზში, სცენასთან სავარძელი იდგა, ტარელკინი-მელაკუდა მისკენ მიიწევდა, შიგ ჩაესვენებოდა, მხარს იქცევდა, დაღლილ-დაქანცული თათებს თავქვეშ ამოიდებდა და ძილს მისცემდა თავს...

ტარელკინი-მელაკუდას ეს ეპიზოდი ცალკე ეტიუდი ვახლდათ, ცალკე „საესტრადო ნომერი“, ტექსტი ტექსტში. მას მსახიობი დიდი გულმოდგინებით, მახვილგონიერებით, იუმორით, დახვეწილი პლასტიკური მონახზოთა და ღრმად გააზრებული გამომგონებლობით ასრულებდა. მთელი მოდგმის და არამარტო ამ კერძო ტარელკინის ამბავი



გამოკვეთილად და მასშტაბურად იყო ჩაფიქრებული რეჟისორის მიერ და უზადოდ შესრულებული მსახიობის მიერ.

**დონ ჟუანი** (მოლიერის „დონ ჟუანი“, 1981 წელი). სპექტაკლი ჩაფიქრებული იყო, როგორც თეატრი თეატრში. პროვინციის სცენაზე თამაშდებოდა ფრანგი კომედიოგრაფის მაღალი რანგის კომედია. ზურაბი თამაშობდა პროვინციულ მსახიობთა წარმოდგენას არისტოკრატთა ცხოვრებაზე. მაგრამ თანდათან ეს მეორე პლანი უკან იხევდა და ფიცარნაგზე იდგა სასცენო მომხიბვლელობითა და სასცენო კულტურით გამორჩეული მსახიობი. მას შეენოდა შავი მაღალყელიანი ჩექმები, თეთრი აბრეშუმის პერანგი, შავი ჟილეტი და წვერი. დადიოდა მსუბუქად, ტანის რხევით, მომაჯადოებელი ღიმილი და მომწუსხველი მზერა იდუმალების საბურველით მოსავდა მის ჩამოქნილ ფიგურას.

ზურაბი თამაშობდა ქალთა მარადიულ გულთამყრობელს, მარადიულ მიჯნურსა და სიყვარულის ნიჭით აღვსილ პიროვნებას. ტრფობის ტრუბადურს განასახიერებდა მსახიობი და ზოგჯერ გამკრთალი ირონია, წყრომა თუ მამლაყინური სუსხი კიდევე უფრო მიმზიდველს ხდიდა ზეპური საზოგადოებისგან შერისხულ ყმანვილკაცს. რამდენიმე ეპიზოდი განსაკუთრებული გამოგონებლობით გამოირჩეოდა.

მონასტრიდან გამოქცეულ, მიტოვებულ ცოლს დონ ჟუანი უნებურად გადააწყდა. კომები შეჰყარა, კუმტად ვახედა ქალს, არისტოკრატის მედღურობით გამოსატა ვაოცება – სამგზავრო

სამოსი ჯერაც არ გაციხდითო და გარიდება დააპირა. აღვსილმა ელვირამ (ნინელი ჭანკვეტაძე) ჰაერში შავი „სტეკი“ აათამაშა, მოლტივით მოიქნია, თითქოს ჟუანის განკეპლა სურდა, თვალებიდან ნაპერნკლები დასცივიდა, სიბრაზე „სტეკის“ შხუილს ააყოლა, დონ ჟუანის მომხიბვლელ ღიმილს ვერ გაუძლო და გამაგებულმა შეჰყვირა. დონ ჟუანი მიუახლოვდა, ქალი სიამაყეს ეჭიდებოდა, როგორც თავდაცვის სახსარს. ჟუანი ჩააშტერდა უჩვეულოდ გამძვინვარებულ ცოლს, მკლავებში მოიგდო და მსუბუქად წამოასკუპა სავარძელზე, სურვილით აიტაცა, შეაყენა და ეამბორა. ჟუანის ტანის სიმზურვალთი აღმოღებული ქალი მოეშვა, ბრალდებებს ახლა მექანიკურად

არჩილ გამრეკელის როლში





არჩილ გამრეკელის როლში

ისროდა, ქმარმა ისევ ჩაბედა თვალებში, ელვირა მიენდო მამაკაცის ალერს და... ჟუანი შედგა, ღიმილი აუთამამდა სახეზე. ახლა ელვირა კაპასად გაჰკიოდა: „არა! დონ ჟუან, არა!“ ჟუანს თვალში შუქი ჩაუქრა, ახლა ირონია გაკრთა პირისახეზე – დაპყრობილი ქალი უინტერესო აღმოჩნდა მისთვის! შეცბა, ერთი ნაბიჯით დაიხია და ისევ გახედა აალებულ ელვირას. ქალი ისევ გაჰკიოდა: „არა! დონ ჟუან, არა!“ ჟუანმა დაუფარავი ირონია შეაგება დამორჩილებულ ქალს. „ო, არა, არა!“ – აზვირთებული ელვირა დაბინდული მზერით შეჰყურებდა ქანდაკებასავით მდგარ დონ ჟუანს, მის ხიბლს ვერ გაუძლო, ისევ ისმოდა მისი გამყინავი ხმა: „არა, არა, არა!“ და თან აქეთ-იქით ცვიოდა პირბადე, მოსასხამი, ქვედაკაბა, სამკაული... გაცეცხა, სინანული, იმედგაცრუება გამოიხატა დონ ჟუანის ფერმიხდილ სახეზე, განერიდა ქალს, მშვიდად შედგა, ახლა უკვე ცივი, მაგრამ მიმტვებლური ღიმილით შეჰყურებდა

ვნებით გათანგულ ბანოვანს. ასე გაუცხოებული იდგა განმარტობით.

მთელი ეპიზოდი ნაქსოვი იყო მაქმანივით ჰაეროვანი ნიუანსებით, სულის მოუხელთებული თრთოლვით, ნატიფი პლასტიკური მონახაზით. მყარი ლოგიკით გაერთიანებული აზრი, გრძნობა, საქციელი მთელი სისრულით წარმოაჩენდა ქალისა და მამაკაცის „ფარული“ ურთიერთობის, ალტკინების, ცდუნების, დაშრეტის, გაუცხოების დახვეწილ დრამატურგიას. ორი ოსტატი იდგა სცენაზე, მათი თამაში უფრო მეტი იყო, ვიდრე მოლიერის მაღალი კომედის ინტერპრეტაციით წარმოქმნილი ცხოვრებისეული ნამდვილობაცა და გამომგონებლობის ელვარებაც – თამაშის წესით, გამოსახვის ფორმით, გამჭვირვალე სინრფელითა და ირონიის მკრთალი ნახავით პოსტ-მოდერნული ეპოქა „იჭყიტბოდა“ კულსებიდან. სასცენო ფიქარნაგზე კი ხტოდა აცტებული ვნებათაღელვა – მაუნყებელი მიხეილ თუმანიშვილის თეატრის კიდე ერთი ფერისცვალებისა, მსახიობთა „არტისტული არისტოკრატიზმისა“, ვირტუოზული შესრულებისა...

დახრჩობას გადაჩენილ დონ ჟუანს სოფლის მკვიდრნი ცნობის წადილით შეჰყურებდნენ. გრძნობააშლილი გოგონები თვალს ვერ აშორებდნენ. განუწული ჟუანი ცეცხლთან შრებოდა. ჯამბაზის ჩაჩი იუმორითა და ირონიით წარმოაჩენდა ქალების შეუვალ გულთამყრობელს. ის რეუსორმა მოისროლა ლეგენდის კვარცხლბეკიდან, მსახიობის იუმორიცა და ირონიაც ფაქიზი,




დახვეწილი, თბილი ფერებით იყო შეზავებული. ბაფთიანი საბანი მოსასხამივით ჰქონდა მორგებული ჩამოქნილ სხეულზე. მერე ვერ უძლებდა ცდუნებას, გოგონების თვალთა ციალს, მათ გამოშვებულ კისკისს, თეთრ საცვალზე „მოიგდებდა“ საბანს, როგორც მოსასხამს და აცეტებული ჩაერთვებოდა მათს გულუბრყვილო თამაშში. მიამიტი და მიმნდობი გოგონების გულს ადვილად ინადირებდა, ისინი თავანყვეტილი ყიჟინით მიიწვედნენ ჟუანი-საკენ. ის ტორეადორის მოსასხამივით ჰაერში ისროდა საბანს, მერე დაგეჟილ გოგონებს ხარებივით თვალნინ აუფრიალებდა საბანს, მათ შორის გასრიალდებოდა ტანის რხევით, მსუბუქად და მოხდენილად იგერიებდა მათ თავდავინყებას, განვრთნილი და დახვეწილი მოძრაობით ისევე ააფრიალებდა ჰაერში „მოსასხამს“, თანაც უჩინანი გახელებით შეჰყურებდა ბედნიერებით დამდნარ სოფლელ გოგონებს. მერე „მკაცრად“ გახედავდა მათ, ირონიული ღიმილი აუთამაშდებოდა სახეზე – „დაპყრობილი“ გოგონებისადმი ინტერესს კარგავდა...

მითი ეპიზოდი მსუბუქი ირონიით, ჰაეროვანი შესტით, უზადო პლასტიკური პარტიტურით იყო შესრულებული. მსახიობის ლალ თამაშში კომედიური გიჟმაჟი ვნებაც, ფარსის მიამიტი თავქარიანობაც, არისტოკრატის მანერულობაც ჭიატებდა და სამოედნო თეატრის თავაშვებულობაც კრთოდა. ყოველი შესტი, შეფასება, საქციელი ნაირფერად იყო შეზავებული ნიჭით, გუმანით, მახვილგონიერებით, მთავარი ზურას შესრულებაში გახლდათ

ქალთა მოდემის მშვენიერებით დონ ჟუან ტენორიოს გახლებდა: მას არ შეეძლო, არ სურდა, არ ეთმობოდა ნებისმიერი ქალი, ვერ ახერხებდა გულგრილად ჩაველო ნებისმიერი ბანოვანისა თუ „ტლუ გლუხის ქალისათვის“, ისინი სიამოვნებით ხვდებოდნენ მისი მცხუნვარე გრძნობის ბადეში იმიტომ, რომ დონ ჟუანი ტრფილის ჯადოქარი, აშკიონის ოსტატი, „პროფესიონალი“ მიჯნური გახლდათ.

ზურა თამაშობდა ლალად, იმპროვიზაციული სიმსუბუქით, არტისტული გზნებით; თამაზად დაჰყავდა პერსონაჟი სიანცით აღსავსე „სასცენო ბენვის ხიდზე“, მასში ყოოდა ეპოქის, ტრადიციის, ჟანრის თავისებურებაცა და ეროვნული ბერიკული თეატრის თავანყვეტაც, თუმანიშვილის სამსახიობო სკოლის თვისებებიც და რეჟისორული თეატრის ნიშანდობლობაც, მოლიერის ტექსტის მოულოდნელი ნაკითხვისა და რისკიანი ინტერპრეტაციის ოსტატობაც.

დავით კლდიაშვილის „ბაკუ-ლას ღორების“ მეტად ღირებული ინტერპრეტაციის წყალობით ფართოდ იშლებოდა არა ერთი სოფლის, ერთი ოჯახის, ერთი კანცელარიის, ერთი ადამიანის ბედისტრიალი და ყოფა-ცხოვრების ბატალიები, არამედ საერთოდ დაკნინებული ზნეობის, დაცემული სოციუმის, დაბრყვებული გლეხობის, უმეცარი მოხელეების, განწირული ადამიანურობის სახიერი სასცენო ამბავი; იშლებოდა ფართო პანორამა საზოგადოებრივი ყოფისა, რომელშიც ჩახატული იყვნენ ცალკეული პერსონაჟები. მათ შორის იყო





გიორგი პიპინაშვილი და ზურაბ ყიფშიძე

კანცელარიის მესვეურებთან დაახლოებული პორფირიც, ზურაბ ყიფშიძის ოსტატური შესრულებით. ის დადგმის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურა, მისი ფერადოვანი ნაწილი, მჭევრმეტყველი «ინტონაცია» გახლავთ, ზურაბი წარმოსახავდა ქრთამის «გამნესებელ» თაღლითს, თამაშობდა აზარტულად, გამომგონებლობის სიუხვით, ვატყავით, იმპროვიზაციული სითამამით. მისი ნაგრძელებული ფიგურა, მორგებული უნაგისფერი ჩოხა, დარდიმანდული თვალთმაქცობით კობტად გადაკიდებული ყაბალახი, მეძებრის გამოხედვა და მსხვერპლის აღმოჩენის უნარი, სიარული კი არა – სრიალი კანცელარიის «დარბაზებში», ადასტურებდა რაოდენ მახვილი მზერითა და უმდიდრესი გუმანით უკვირდებოდა მსახიობი ყოფას, რათა შემდგომ ჭრელა-ჭრულა ნიუანსებით გამდიდრებული ფერებით გადმოეცა პერსონაჟის სასცენო ცხოვრება. მსახიობი ფერმწერის ოსტატობით ხატავდა პერსონაჟს. მომხიბვლელი თაღლითი გახლ-


დათ პორფირი, მსახიობის მიერ იუმორითა და ირონიის ნაზავით წარმოდგენილი, მხატვრის მახვილი თვალთ აღმოჩენილი და ნიუანსის ფერადოვნებით შესრულებული. კოსტუმის ფერით, მოქნილი სხეულით, მიმინოსავით დაგეშილი მზერით, ქვეშევრდომულ-მბრძანებლური, შემპარავი ინტონაციით, ლხენისათვის მარადიული შემართებით მსახიობი ქმნიდა არა ერთი კონკრეტული პერსონაჟის შთამბეჭდავს სურათს, არამედ წარმოსახავდა ამგვარი მოდგმის სრულყოფილ პორტრეტს, მის ბიოგრაფიას, ხასიათის მრავალგვარობას.




**თორნთონ უალდერის** ჩვენნი პატარა ქალაქის (გადმოქართულებული რეზო გაბრიაძის მიერ) დადგმას ჩუქურთმასავით ამკობს ზურაბის მიერ შესრულებული არჩილ გამრეკელის სახე. სცენის ერთ კუთხეში, რამპასთან ტაძრის მაკეტი იდო. ზურაბი ამ გაყუჩებული ისტორიის, ამ საკრალური ტაძრის, ამ მდუმარე ქვათა წრფელი ლაღადისი გახლავთ: მკაცრ რეალობას გარიდებული, პროფესიისგანაც გაუცხოებული მხატვარი, პატრიოტული სულისკვეთებით აღვსილი „პროტესტანტიც“ არის და თავისი გარდაცვლილი სატრფოს ერთგული მიჯნურიც. ზურაბი თამაშობს ადამიანს, ვისაც ცხოვრების «გემო» გაუქრა, სულ სამიოდ ეპიზოდით არის შექმნილი ხასიათი, გამომზეურებულია მისი შინაგანი სამყაროს თვალთ უხილავი მოძრაობა, ხელის გულზეა გადაშლილი სულის თრთოლვა, გულის ფეთქვა, აზრის სიმახვლე, ღრმად და საგულდაგულოდ მიგნებულია, დამუშავებულია და

ნიუანსის სიფაქიზით წარმოჩენილია პერსონაჟის ბიოგრაფია, ამბავი მისი უიღბლო ყოფისა და პროტესტი პატარა, ობიექტულური ცხოვრების მიმართ. სახიერი შეფასება, გრძნობათა სისავსე, მოქნილი პლასტიკა – მეტად ტევადია ზურაბის თამაში. ამგვარი სათეატრო ესთეტიკის კლასიკურ ნიმუშად იქცა მისი არჩილი.

ზურაბი ქმნის გამოკვეთილ, ფერადოვან, სისხლსავსე ნიღაბს, რომელიც მთელი მოდგმის ნიშან-

თვისებათა მატარებელიცაა და, ამასთანავე, გამორჩეული მსახიობის უმდიდრესი აქტიორული რესურსით, უღვევი ფანტაზიითა და ხედვის განსაკუთრებული უნარით. გრძნეული იდუმალება, რიტუალის საკრალურობა, არტისტიზმის ელვარება, ნახაზის მოქნილობა – ზურაბ ყოველი ნიღბები ნიჭის, ოსტატობის, იმპროვიზაციის დღესასწაულს ქმნიან და ასხივებენ, საზეიმო განწყობით მუხტავენ მაცურებელს.





### ნიგნები

## „ნოვალის პრემიის ლაურეატები“ ლიტერატურულ პრემია „გალას“ 2009 წლის გამარჯვებული პროექტი

გამომცემლობა „ინტელექტი“ ულოცავს „ნობელის პრემიის ლაურეატების“ ყველა ტომის მთარგმნელს პროექტის წარმატებას და მადლობას მოახსენებს თანამშრომლობისათვის.

### ამ სერიის შარბლაკში შემდეგი ავტორები გამოიცა:

- |                        |                    |
|------------------------|--------------------|
| გიგელ ანაელ ასტურისანი | შვეულ ანგონი       |
| ივან ბუნინი            | ლუიჯი პირანდოლო    |
| ქოზა საბარაბაუ         | კამილუ ხოსე სელა   |
| გორის პასტერნაკი       | პარიზან პანა       |
| ჯიმიზ ზ. უოტსონი       | ისააკ ზინბარი      |
| ანატოლ ფრანსი          | ანდრა ჟიდი         |
| პანერიკ სანკვიჩი       | ჯონ სტაინბეკი      |
| ნაჯიზ მავჟუზი          | იონესკე პაუნიტუცი  |
| ალექსანდრ სოლჟენიცინი  | ჯონ მაკსველ კუტხაე |
| პერ ლაგერკვისტი        | კნუტ ჰამსუნი       |
| უილიამ ფოლკნერი        | რაინდრანთ თაგორი   |
| სელმა ლაგერლოფი        | ორჰან შამში        |
| თომას მანი             | ელფრიდა იალინეკი   |
| გაბრიელ გარსია მარკესი | გიუნტარ ბრასი      |
| დორის ლესინგი          | მარცია დელადა      |
|                        | დარიო ფო           |
|                        | ივო ანდრიჩი        |
|                        | იხრა კარტანი       |
|                        | რადიარდ კიპლინგი   |

### ოთარ ჭილაძის ახალი ნიგნები

მწერლის გარდაცვალებიდან მე-40 დღესთან დაკავშირებით გამომცემლობა „ინტელექტი“ ოთარ ჭილაძის პოეტური და პუბლიცისტური კრებულები გამოცდა. პრეზენტაცია პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მე-3 კორპუსში გაიმართა.

პუბლიცისტურ კრებულში („ნინ მარადისობა“) შესულია მწერლის ბოლოდროინდელი საგაზეთო ინტერვიუები და მის არქივში მოძიებული ჩანაწერები თვალსაჩინო მოღვაწეთა და ახალბედა შემოქმედთა

შესახებ. ნიგნის მესამე ნაწილი ეთმობა მწერლის ავტობიოგრაფიას, რომელიც ოთარ ჭილაძეს მესამე პირში აქვს დანერვილი.

პოეტური კრებული კი „ინტელექტის“ საგამომცემლო სერია „100 ლექსის“ ფარგლებში გამოიცა. ამ ახალი ტომისთვის ოთარ ჭილაძის შემოქმედებიდან 100 საუკეთესო ლექსი შეირჩა.

ახალი ნიგნების შემდგენელი და რედაქტორია ახალგაზრდა მწერალი ზვიად კვარაცხელია.

„ინტელექტი“ გთავაზობთ

2010 წელს გამოვა:



გამომცემლობა „არტანუჯი“ გთავაზობთ  
საახალწლო ღია ბარათებს



ინტელექტი  
გთავაზობს  
საახალწლო  
ღია ბარათებს

ი 43/2

**საგამომცემლო ჯგუფი**

ეთერ ბაიდოშვილი  
ბადრი ტალახაძე  
მარტა ნიკლაური  
ალექსანდრე ჯიქურიძე



**აპოლიტონი ინტელექტი**

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ

25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54

ფაქსი: 25-05-22, 91-22-83

[www.intelekti.ge](http://www.intelekti.ge) [info@intelekti.ge](mailto:info@intelekti.ge)

რედაქტორი: 8(99) 90-37-22



F 255  
2009



 ბანკი რესპუბლიკა  
BANK REPUBLIC  
ჯგუფი სტრუქტურული